

სოციალური დავები

(პროცესი, პენსია, დახმარება)

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2019, №12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2019, №12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2019, №12

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2019, №12

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

ყურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეპელი

1. შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები

სასამართლო კონტროლი მოხელის თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხზე	4
სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების გამო სამსახურიდან გათავისუფლება	20
სამუშაოდან გათავისუფლება მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო	46
ატესტაციის არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება	66
კონკრეტულ თანამდებობაზე უარის თქმის გამო შსს-დან დათხოვნის შესახებ ბრძანების კანონიერება და შსს-ს სტრუქტურაში დასაქმების საკითხი	100

2. საპენსიო დავები

შენყვეტილი პენსიის ხელახლა დანიშვნა	127; 137; 146; 156
---	--------------------

3. სოციალური დახმარება

ოჯახის ახალი დეკლარაციისა და სარეიტინგო ქულის განსაზღვრის თაობაზე დავალება	166
სარეიტინგო ქულის მინიჭების კანონიერების შემოწმება	186

**1. შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე
დაპეპი
სასამართლო კონტროლი მოხალის
თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი
განაცდურის ანაზღაურების საკითხზე**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-595-595(2კ-18)

17 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სსირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიჭვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძუ-
ლებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. პ-ემ 07.04.2017წ. სარჩელი აღძრა ბალდათის მაგისტრატ სა-
სამართლოში მოპასუხე ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის
მიმართ და მოითხოვა ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის
10.03.2017წ. №41210 ბრძანების ბათილად ცნობა, გამგეობის ... თა-
ნამდებობაზე აღდგენა და ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეო-
ბისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება გან-
თავისუფლებიდან სამსახურში აღდგენის დღემდე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ბალდათის გამგეობის ... თანამდე-
ბობაზე დაინიშნა ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის
31.12.2014წ. №41-395 ბრძანებით. მის თანამდებობრივი სარგოს 875
ლარი შეადგენდა. ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის
10.03.2017წ. №41-210 ბრძანებით განთავისუფლდა დაკავებული
თანამდებობიდან 06.03.2017წ. პერიოდიდან, „საჯარო სამსახურის
შესახებ“ კანონის 96-ე მუხლის საფუძველზე შტატების შემცირე-
ბის მოტივით, რაც მიაჩნია უკანონოდ, ვინაიდან ადგილი არ ჰქო-
ნია შტატების შემცირებას. პირიქით, ბალდათის მუნიციპალიტე-
ტის საკრებულოს 28.02.2017წ. №15 დადგენილებით 10 ერთეულით
გაიზარდა გამგეობაში რეორგანიზაციამდე არსებული 100 შტატი
და გახდა 110 შტატი. აღნიშნული გარემოება არ ქმნიდა მოსარჩე-

ლის განთავისუფლების საფუძველს, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 96.2 მუხლი იმ შემთხვევაში უშვებს მოხელის თანამდებობიდან განთავისუფლების შესაძლებლობას, თუ რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება. ვინაიდან შტატების შემცირებას ადგილი არ ჰქონია, არსებობს სზაკ-ის 60¹ მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127.5 მუხლის თანახმად მისი თანამდებობაზე აღდგენის საფუძველი. გასაჩივრებული აქტის გამოცემაზე აღმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელე ჩართო აღმინისტრაციულ წარმოებაში, რასაც ითვალისწინებს სზაკ-ის 95.2 და 98-ე მუხლების მოთხოვნები. გასაჩივრებული აქტი არ შეიცავს სზაკ-ის 53.4 მუხლით გათვალისწინებულ დასაბუთებას იმის შესახებ, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული ატესტაციის შედეგები, ან რატომ არ განხორციელდა სხვა თანამდებობის შემოთავაზება. ამასთან, მოსარჩელე 23.01.2017წ. გაფრთხილდა სამსახურიდან მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ, გაფრთხილების 1-თვიანი ვადა გავიდა 24.02.2017წ., ხოლო განთავისუფლების შესახებ აქტი გამოიცა 10.03.2017წ., რის გამოც გაფრთხილება ძალადაკარგულად, ხოლო შრომითი ურთიერთობა გაგრძელდა უნდა ჩათვლილიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97.3 მუხლის შესაბამისად. არასწორია აგრეთვე მოსარჩელის განთავისუფლება წინა თარიღით, კერძოდ, 10.03.2017წ. ბრძანებით მოსარჩელე განთავისუფლდა 2017 წლის 06 მარტიდან, რაც არღვევს სზაკ-ის 5.1 მუხლით გათვალისწინებულ კანონიერების პრინციპს. მოსარჩელე აღნიშნავს აგრეთვე, რომ უვადოდ აქვს დადგენილი მნიშვნელოვნად გამოსატყუი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი.

ბაღდათის მაგისტრეტი სასამართლოს 05.07.2017წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე სამსახურიდან განთავისუფლდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციის – გამგებლის ... თანამდებობის შემცირებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ რეორგანიზაცია განხორციელდა შტატების შემცირებით, რასაც საკანონმდებლო ცვლილება დაედო საფუძველად. აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ რეორგანიზაციას არ ჰქონია მოჩვენებითი ხასიათი და არ დადასტურდა გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველების არსებობა. აღნიშნულის გამო არ არსებობდა აგრეთვე სამსახურში აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. პ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.11.2017წ. გადაწყვეტილებით ზ. პ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს 05.07.2017წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 10.03.2017წ. №41210 ბრძანება, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მუშაობდა გამგებლის ... თანამდებობაზე, რომლის სარგო განსაზღვრული იყო 875 ლარით. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.2017წ. №15 დადგენილებით დამტკიცდა გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა, შტატების ოდენობა განისაზღვრა 110 ერთეულით, ამავე დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საკრებულოს 17.10.2014წ. №133 დადგენილება, რომლითაც ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობაში განსაზღვრული იყო 100 საშტატო ერთეული. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.2017წ. №15 დადგენილებით გაუქმდა გამგებლის ... თანამდებობა და შეიქმნა ახალი პოზიცია ახალი სახელწოდებითა და სხვა ფუნქციონალური დატვირთვით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები სწორად დაადგინა, თუმცა არასწორი შეფასება მისცა მათ. სააპელაციო პალატამ მიუთითა სზაკ-ის 53-ე, 96-ე მუხლების დანაწესზე, საკონსტიტუციო სასამართლოს №2/2-389, 26.10.2007წ. გადაწყვეტილებაზე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 30.1 მუხლზე, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნებზე და აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96.2 მუხლის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას. ამდენად, იმისათვის, რომ რეორგანიზაციის თანმხლები შტატების შემცირების საფუძველით მუშაკის სამსახურიდან დათხოვნა ჩაითვალოს კანონშესაბამისად, ერთდროულად უნდა ჰქონდეს ადგილი დაწესებულების (ორგანიზა-

ციის) რეორგანიზაციას და შტატების შემცირებას. შტატების შემცირების არარსებობა კი გამოორიცხავს ამ საფუძვლით გამოცემული ინდივიდუალური აქტის კანონშესაბამისობას. აღნიშნული ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტის გამოცემამდე ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არსებობდა მოსარჩელის თანამდებობიდან განთავისუფლების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. რეორგანიზაციის შემდეგ დამტკიცებული საშტატო ნუსხით კვლავ გათვალისწინებული იყო გამგებლის ... თანამდებობა, რომელსაც შეეცვალა სახელწოდება და ნაცვლად სახელწოდებისა – გამგებლის ... ტექნიკურ საკითხებში, თანამდებობის სახელწოდება ჩამოყალიბდა, როგორც გამგებლის ... გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში. საკასაციო სასამართლოს 08.07.2015წ. №ბს-449-442 (კ-15) განჩინებაზე მითითებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.2017წ. №15 დადგენილებით გამგებლის ... თანამდებობა შევიდა ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში (ცვლილებამდე კონკრეტულ სამსახურში გათვალისწინებული არ იყო), თუმცა მოხელის მიერ დაკავებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩა, ამასთანავე, გარდა სახელწოდების დაზუსტებისა რაიმე სახის განსხვავებული უფლებამოსილებების შესრულება მოხელეს არ დავალებია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატამ არ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება რეორგანიზაციის შედეგად გამგებლის ... საშტატო ერთეულის შემცირების/გაუქმების შესახებ, რადგან აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96.2 მუხლის წინაპირობა – დაწესებულების რეორგანიზაციისას შტატების შემცირება, რაც გამოორიცხავდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118.3 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე ზ. პ.-ის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარებოდა სასამართლოს კონტროლს, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა საჯარო დაწესებულების კომპეტენციას განეკუთვნება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ აქტის ბათილად ცნობა საკმარისია მოსარჩელის უფლებებში აღდგენისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მი-

იჩნია, რომ ზ. პ-ის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

გადანყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში – ზ. პ-ემ.

კასატორი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს გასაჩივრებულ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სასკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილისა და სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. ამასთან, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, დღეს მოქმედი კანონი, რომელსაც იურიდიული ძალა არ გააჩნდა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტისათვის და, ამავე დროს, არასწორად განმარტა კანონი.

ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს 05.07.2017წ. გადაწყვეტილება მიღებულია კანონის სრული დაცვით, იურიდიულად გამართული და დასაბუთებულია, რის გამოც არასწორია სააპელაციო სასამართლოს მიერ ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს 05.07.2017წ. გადაწყვეტილების გაუქმება. გასაჩივრებული ბრძანების გამოცემის დროს არ დარღვეულა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

კასატორი ზ. პ-ე ითხოვს გასაჩივრებულ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და სარჩელის სრულად დაკმაყოფილების თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას. კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული აქტის გამოცემის და მისი გასაჩივრების დროს მოქმედებდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ძველი რედაქცია, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა კანონის ძველი რედაქციით, რომლის 127.5 მუხლის თანახმად სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან

გადანყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. დღეს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის თანახმად სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებულ მოხელეს უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური ხელფასი იმის მიუხედავად შესაძლებელია თუ არა მისი სამსახურში აღდგენა. აღნიშნული გარემოებები გამორიცხავს ამ საკითხებთან მიმართებაში საჯარო დაწესებულების კომპეტენციას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.11.2018წ. განჩინებით ზ. პ-ის და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის (ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამონაცვლელ) საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ზ. პ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დგინდება, რომ ზ. პ-ე ტექნიკურ საკითხებში ბაღდათის გამგებლის ... თანამდებობაზე დაინიშნა ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 31.12.2014წ. №41-395 ბრძანებით, 2015 წლის 01 იანვრიდან სამთვიანი გამოსაცდელი ვადით, მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 875 ლარით. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17.10.2014წ. №133 დადგენილებით გამგეობის საშტატო ნუსხა განისაზღვრა 100 საშტატო ერთეულით და მასში გათვალისწინებული იყო გამგებლის ... ერთი საშტატო ერთეული.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 23.01.2017წ. №41 39 ბრძანების დანართით დგინდება, რომ ზ. პ-ე გაფრთხილებული იქნა სამსახურში მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. საქმეში დაცული დანართით არ ირკვევა გაფრთხილების გაცნობის კონკრეტული დრო. ზ. პ-ე აღნიშნავს, რომ იგი გაფრთხილებას 24.01.2017წ. გაეცნო.

ზ. პ-ე ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 10.03.2017წ. №41-210 ბრძანებით განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 06.03.2017წ. პერიოდიდან. ბრძანების გამოცემის სამარ-

თლებრივ საფუძვლად მიეთითა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54.1 მუხლის „ა.დ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტები, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97.1 და 109.1 მუხლები, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.2017წ. №6 დადგენილებით დამტკიცებული „ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების“ 8.5 მუხლი და ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.2017წ. №15 დადგენილებით დამტკიცებული ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა.

სადავო ბრძანების გამოცემის ერთ-ერთ საფუძვლად მითითებული ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.2017წ. №15 დადგენილების თანახმად, გამგეობაში რეორგანიზაციამდე არსებული 100 შტატი 10 ერთეულით გაიზარდა და რეორგანიზაციის შემდეგ შტატების რაოდენობა გახდა 110. ამასთან, ამავე დადგენილების თანახმად ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხით კვლავ განისაზღვრა გამგებლის ... თანამდებობა, დაზუსტდა თანამდებობის სახელწოდება და მას ეწოდა გამგებლის ... გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში. საკასაციო პალატა აგრეთვე აღნიშნავს, რომ რეორგანიზაციამდე არსებული და რეორგანიზაციის შემდეგ ჩამოყალიბებული საშტატო ნუსხების თანახმად გამგებლის ... თანამდებობა იყო უფროსი საჯარო თანამდებობა (ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26.02.16წ. №10 და 28.02.17წ. №15 დადგენილებები).

სადავო ბრძანების გამოცემის კანონიერებას არ ადასტურებს ბრძანების გამოცემის საფუძვლად მითითებული, სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97.1 მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობას დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.2017წ. №15 დადგენილებით მოხდა შტატების გაზრდა. ამდენად, რეორგანიზაციის ფაქტი თავისთავად არ ქმნის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს. გათავისუფლება დასაშვებია რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე განთავისუფლდა რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების საფუძველით, თუმცა საქმის მასალებით დასტურდება, რომ რეორგანიზაციის შედეგად ... შტატი არსებითად უცვლელად იქნა დატოვებული, მისი შტატის შემცირება არ მომხდარა, ხოლო შტატის მხოლოდ სახელის ან დაქვემდებარების ცვლილება არ ქმნიდა განთავისუფ-

ლებისათვის საკმარის საფუძველს (სუსგ 31.01.2019წ. №ბს-667-667 (2კ-18)).

საჯარო სამსახურის დაწესებულების რეორგანიზაცია არის საჯარო დაწესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შესაძლოა მოსდევდეს დაწესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება. საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციონალური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად პირის მიერ სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული და ა.შ. რეორგანიზაციის შედეგად ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა შესაძლოა შეიცვალოს, გაიყოს და კონკრეტული სამსახურები განსხვავებულად ჩამოყალიბდეს, მაგრამ მოხელის მიერ დაკავებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩეს, ანუ იყოს იმავე იერარქიულ საფეხურზე, თუნდაც სხვა უწყების დაქვემდებარებაში და ითვალისწინებდეს იმავე უფლება-მოვალეობების შესრულებას. შესაბამისად, კონკრეტული თანამდებობების იდენტიურობის დადგენის მიზნით უნდა შეფასდეს: მათი ადგილი ადმინისტრაციული ორგანოს სამსახურებრივ იერარქიაში; ძირითად უფლებათა წრე (მდგომარეობას არ ცვლის ფორმალურად ზოგიერთი ფუნქციის მოკლება ან რაიმე უმნიშვნელო მოთხოვნის დამატება); მოთხოვნები, რომლებიც რეორგანიზაციის შემდგომ საჭიროა კონკრეტული თანამდებობის დასაკავებლად; ზოგიერთ შემთხვევაში – შრომის ანაზღაურება. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.17წ. №15 დადგენილებით გამგებლის ... თანამდებობის ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შესვლის მიუხედავად (ცვლილებამდე ... თანამდებობა არ იყო გათვალისწინებული კონკრეტულ სამსახურში) მოხელის მიერ დაკავებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩა. ადმინისტრაციულ ორგანოს არ დაუსაბუთებია რეორგანიზაციის შედეგად გამგებლის ...ათვის განსხვავებული ფუნქციების განსაზღვრა, აღნიშნული თანამდებობისათვის განსხვავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების წამოყენება, აგრეთვე ახალი საშტატო ნუსხით გამგებლის ...ათვის დაკისრებული ფუნქციის ზ. პ-ის მიერ შესრულების შეუძლებლობა. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი შესაგებელის ზოგადი მითითება იმის შესახებ, რომ ახალი საშტატო ნუსხით გამგებლის ...თვის დადგინდა განსხვავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები

და ფუნქციები, არ არის დასაბუთებული. საქმის მასალებით და-დასტურებულია რეორგანიზაციის შედეგად შტატების 10 ერთეულით ზრდა და მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობის კვლავ არსებობა, ხოლო მოპასუხე – ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ არც სადავო აქტში და არც საქმის განხილვის განმავლობაში არ მოუყვანია ... ერთეულის ფუნქციონალური ცვალებადობის დამადასტურებელი არგუმენტაცია. მოპასუხემ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც განერილი იქნებოდა გამგებლის ... ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები. მოპასუხის მიერ არ წარმოდგენილა აგრეთვე ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.17წ. დადგენილებით დამტკიცებული ახალი საშტატო ნუსხით გათვალისწინებული გამგებლის ... (გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში) თანამდებობის ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების აღწერა. ამდენად, არ დასტურდება ... თანამდებობის გაუქმება, ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების ცვლილება. მუშაკის პროფესიული ჩვევების შეუსაბამობა დაკავებულ თანამდებობასთან ობიექტური მონაცემებით უნდა დასაბუთდეს, დავის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრია შეუსაბამობის მტკიცების ტვირთი. შტატების ოდენობის გაზრდის გათვალისწინებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევები არ იწვევს უცილობლად მუშაკის სამსახურიდან დათხოვნას, გათავისუფლების გარდა შესაძლებელია განისაზღვროს კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადების ან გადამზადების საჭიროების დადგენა, დაქვეითება, ალტერნატიული სამსახურის შეთავაზება.

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი განამტკიცებს შრომის თავისუფლებას, რომელიც მოიცავს ინდივიდის არა მხოლოდ სამუშაოს არჩევის, არამედ ასევე ამ სამუშაოს განხორციელების, შენარჩუნებისა და დათმობის უფლებას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 28.02.1997წ., №2/4-24, 26.10.07წ. №2/4-24 გადაწყვეტილებები). ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 6.1 მუხლის, ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის თანახმად სახელმწიფოს ვალდებულებას შეადგენს შრომითი უფლებების დაცვისათვის ქმედითი მექანიზმების შექმნა. სახელმწიფოს მიერ ხსენებული ვალდებულების ზედმინწინით განხორციელება განსაკუთრებით აქტუალურია საჯარო სექტორში, სადაც სახელმწიფო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ, თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო

მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავად გვევლინება დამსაქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმებულ საჯარო მოხელეთა უფლებების, განსაკუთრებით კი შრომითი უფლებების დაცვის სავალდებულო ხარისხს. საჯარო მოსამსახურე კონკრეტული გადანყვეტილების, მით უფრო საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გადანყვეტილების მიღებისას შეზღუდულია კანონიერების პრინციპით, რომლის მიხედვით საჯარო მოსამსახურე თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად (სზაკ-ის მე-5 მუხ.). ამდენად, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მოხელის გათავისუფლებამდე საქმის გარემოებები ყოველმხრივ, ობიექტურად უნდა გამოეკვლია, ამ ვალდებულების შეუსრულებლობა სზაკ-ის 60¹ მუხლის მიხედვით არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თავისი ბუნებით გამგეობა ერთდროულად არის თვითმმართველობის და ადმინისტრაციული ორგანო. შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო უნდა ხელმძღვანელობდეს როგორც თვითმმართველობის განხორციელებისათვის, ასევე ადმინისტრაციული ორგანოსათვის დადგენილი პრინციპებით, ორივე შემთხვევაში კანონიერების პრინციპის დაცვა გადაუდებელ იმპერატივთა რიგს განეკუთვნება. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს მუშაობის ორგანიზაცია და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირთა მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები უნდა გამომდინარეობდეს ნორმატიული აქტებიდან და მიღებულ იქნეს მათ აღსასრულებლად. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა აღნიშნული პრინციპის შესაბამისად.

რეორგანიზაციამდე და რეორგანიზაციის შემდეგ დამტკიცებულ ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის და გამგეობის დებულებების თანახმად გამგეობის თანამდებობის პირები არიან: გამგებელი, გამგებლის მოადგილე და გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. მათ შორის მითითებული არ არის გამგებ-

ლის ..., სარჩელზე მოპასუხეს არ დაუსაბუთებია გამგებლის ...ათვის იმგვარი ფუნქციის განსაზღვრა, რაც უპირობოდ შექმნიდა გამგებლის თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში გამგებლის ... თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველს. არ დასტურდება გამგებლის ... მიერ ფუნქციის შესრულების გამგებლის/მერის პერსონაზე დამოკიდებულება (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ №3/5/626, 17.10.2017წ. გადაწყვეტილება, §39), არ დასტურდება ... მიერ პოლიტიკური მიმდინარეობის კურსის წარმართვა, მის მიერ სახელისუფლებო ფუნქციების შესრულება (№3/5/626, 17.10.2017წ. გადაწყვეტილება, §49).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მართებულია გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი (ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 04.12.17წ. №44 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 27.03.17წ. №21 დადგენილებით დამტკიცებული მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება და დამტკიცდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება). კასატორი – ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია ვერ ასაბუთებს სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გადაწყვეტილების უსწორობას, საკასაციო საჩივარში მოყვანილი ზოგადი მოსაზრებები გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის შესახებ არ ქმნის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს. სასკ-ის 32.1 მუხლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო სასკ-ის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ აქტის კანონიერება უნდა დადგინდეს სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობით, რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნების დანარჩენ ნაწილს, კერძოდ, სამსახურში აღდგენის და იძულებითი განაცდურის ნაწილში დავა უნდა გადაწყდეს დავის განხილვის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის, 01.07.17წ. ძალაში შესული „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.15წ. კანონის საფუძველზე. დაუსაბუთებელია კასატორების მოსაზრე-

ბები სააპელაციო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტის უკუძალის შესახებ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 24.1 მუხლის დანაწესის დარღვევის თაობაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონის მოქმედება, როგორც წესი, ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა კანონის იურიდიულ ძალაში შესვლის შემდგომ. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით (24.1 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში კანონს ამგვარი (ნამდვილი) უკუძალა არ გააჩნია, მოცემულ შემთხვევაში ახალი კანონი ზემოქმედებს კანონის მიღებამდე წარმოშობილი სამართალურთიერთობების მომავალში განვითარებაზე, კანონი ცვლის სამართალურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან (ნორმის გადაუდებელი მოქმედება). მოცემულ შემთხვევაში ნორმა ეხება ანმყოფი მიმდინარე და ჯერ კიდევ დაუსრულებელ სამართლებრივ ურთიერთობებს და ფაქტებს (სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება), სახელდობრ ამ თვალსაზრისით არის შესაძლებელი საუბარი განსახილველ შემთხვევაში უკუქცევით ძალაზე (კანონის ე.წ. არანამდვილი (რეტროაქტიული) უკუძალის მინიჭება კანონისთვის), რომელიც საჯარო სამართალში დასაშვებია (სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კანონმდებლობის სფეროს გარდა). კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან უფლება-მოვალეობებზე ზემოქმედება მისი საყოველთაობის გამოვლენაა და არ არის დამოკიდებული საკანონმდებლო აქტში მისი მოქმედების წესის აღნიშვნაზე. ახალი კანონი ვრცელდება არა მხოლოდ მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე, არამედ აგრეთვე მის ძალაში შესვლამდე წარმოშობილ მიმდინარე სამართალურთიერთობაზე, ახალი კანონი ზემოქმედებს უფლება-მოვალეობებზე მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. ამდენად, ადგილი არ აქვს სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავო ურთიერთობების გადანყვეტას არასათანადო ნორმის საფუძველზე, თუმცა დავის ობიექტური გადანყვეტისათვის მნიშვნელობა აქვს ნორმის სწორ განმარტებას.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში აღინიშნა, რომ ამჟამად მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118.3 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე ზ. პ-ის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარებოდა სასამართლოს კონტროლს. სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული საკითხის გადანყვეტა საჯარო დაწესებულების კომპეტენციას განეკუთვნება, სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ აქტის ბათილად

ცნობა საკმარისია მოსარჩელის უფლებებში აღდგენისათვის, აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზ. პ-ის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. საკასაციო პალატა თვლის, რომ ხსენებულ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტი სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში ითვალისწინებდა მოხელის დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი უარს ამბობდა აღდგენაზე. პალატა აღნიშნავს, რომ მსგავსი შინაარსის დებულებებს შეიცავს ამჟამად მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. ამასთანავე, ხსენებული ნორმა ითვალისწინებს სამსახურში აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევებს (თანამდებობის არარსებობის ან ამ თანამდებობის სხვა პირის მიერ დაკავების გამო). იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო საჯარო დაწესებულებამ უნდა მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში პირი ირიცხება მოხელეთა რეზერვში და მას ეძლევა განაცდური შრომითი გასამრჯელო და კომპენსაცია თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით 6 თვის განმავლობაში.

მოხელის სამსახურში აღდგენის საკითხზე სასამართლო კომპეტენციის არარსებობის შესახებ სააპელაციო პალატის მოსაზრება ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს პრაქტიკას (იხ. სუსგ №376-376 (2კ-18), 11.12.2018წ.; №ბს-234-234(2კ-18), 27.09.2018წ.). სასამართლოს წინაშე დასმული საკითხის სასამართლოსადმი არაქვემდებარეობის გამო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა არ ემყარება პროცესუალურ კანონმდებლობას, სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის არარსებობა იწვევს სასარჩელო მოთ-

ხოვნის აღნიშნულ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტას და არა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, სსკ-ის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მუშაკის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის საკითხი არ განეკუთვნება ადმინისტრაციის ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა რიგს, სანინაალმდეგო პირის უფლებებში აღდგენაზე სასამართლო კონტროლის გამორიცხვას უთანაბრდება. სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, ზ. პ-ის სამსახურში აღდგენის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია მისი თანამდებობის ვაკანტურობის ან ამავე დანესებულებაში ტოლფასი თანამდებობის არსებობის საკითხი, რის შემდეგაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118.3 მუხლის შესაბამისად გადაენწყვიტა ზ. პ-ის სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხი (სუსგ №376-376 (2კ-18), 11.12.2018წ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილია სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუციის საკითხის ერთი სასამართლოწარმოების ფარგლებში გადაწყვეტა, რათა დასაქმებულს უფლებებში აღდგენის მიზნით არ მოუწიოს კანონით გათვალისწინებული სამი სხვადასხვა საშუალებიდან (პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენა, ტოლფასი სამუშაოთი უზრუნველყოფა, კომპენსაცია) სასამართლოსადმი რამდენიმეჯერ მიმართვა თითოეული მათგანის მოსაპოვებად. მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანების სასამართლო წესით ბათილად ცნობის შემდგომ საჯარო სამსახურის მიერ აღდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა მოხელეს მძიმე მდგომარეობაში აყენებს, რადგანაც მან უფლების აღდგენის მიზნით ხელახლა უნდა მიმართოს სასამართლოს, ამცირებს მართლმსაჯულების ეფექტურობას. ამდენად, სასამართლო საქმის განხილვისას ვალდებულია გამოიკვლიოს პირის უფლებებში აღდგენის ყველა შესაძლებლობა, რათა დაადგინოს მოსარჩელის უფლებრივი რესტიტუციის საუკეთესო გზა. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ილუზორულს ხდის მოსარჩელის უფლების აღდგენას, სააპელაციო პალატა შემოიფარგლა ადმინისტრაციის უფლებებზე მითითებით და არ იქონია მსჯელობა მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შესაძლებლობაზე.

ადმინისტრაციული სამართალწარმოებით გათვალისწინებული უფლების დროებით დაცვის სამართლებრივი საშუალებების (სასკ-ის 29-ე, 31-ე მუხ.) გამოყენების შემთხვევაში, სადავო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა უცილობლად იწვევს მოხელის დაუყოვნებლივ თანამდებობაზე აღდგენას, რამდენადაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გამორიცხავს თანამდებობაზე სხვა პირის დანიშვნას. ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში ხსენებული საპროცესო საშუალებების გამოყენება არ მომხდარა, არ გამორიცხავდა სააპელაციო პალატის ვალდებულებას შეესწავლა მოსარჩელის ... თანამდებობაზე აღდგენის შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში თუ გათავისუფლებამდე ზ. პ-ის მიერ დაკავებულ ... თანამდებობაზე სხვა პირი არ არის დანიშნული, მოსარჩელე ექვემდებარება აღდგენას. იმ შემთხვევაში თუ ... თანამდებობა დაკავებულია სხვა მოხელის მიერ და მისი დანიშვნის კანონიერება არ არის სადავო, ზ. პ-ე ექვემდებარება ტოლფას თანამდებობაზე აღდგენას, ვინაიდან მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტი კანონსაწინააღმდეგოა, რაც ქმნის სამსახურში აღდგენის სამართლებრივ საფუძველს. სააპელაციო პალატამ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედი ინკვიზიციური პრინციპის გათვალისწინებით (სასკ-ის მე-4, მე-19 მუხ.) მტკიცებულებათა გამოთხოვისა და შესწავლის გზით, უნდა გააანალიზოს ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა, ფუნქციონალური დატვირთვა, დაადგინოს დაწესებულებაში მსგავსი დატვირთვისა და ფუნქციონალური მახასიათებლების მქონე თანამდებობის არსებობა, ტოლფას თანამდებობაზე მოსარჩელის აღდგენის შესაძლებლობა. გათავისუფლების პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად, შტატების შემცირების გარეშე რეორგანიზაცია შესაძლოა გამხარიყო სამუშაოზე გადაყვანის საფუძველი (43-ე მუხ.). რეორგანიზაციის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამორიცხება მოხელის გადაყვანა სხვა, მათ შორის რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ ახალ თანამდებობაზე, თუნდაც რანგით უფრო დაბალზე, რაზეც მოსარჩელე სასარჩელო განცხადების, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების შინაარსიდან გამომდინარე არ იყო წინააღმდეგი. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია საჯარო-შრომითი ურთიერთობის ამ მიმართებით გარდაქმნის შესაძლებლობაზე. ვინაიდან საქმეზე არ იყო გამოკვლეული სამსახურში აღდგენის ყველა შესაძლებლობა, დაუსაბუთებელია აგრეთვე განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს სასამართლო მოკლებულია ახალი მტკიცებულებების მოპოვების და შეფასების შესაძლებლობას, იგი არ

არის საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლო. საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოში ფაქტობრივი გარემოებების დადგენის და მტკიცებულებების მიღების შესაძლებლობას. სსკ-ის 377.1 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამდენად, ვინაიდან საკასაციო სასამართლო ვერ იქონიებს მსჯელობას ზ. პ-ის სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხზე ზემოთმითითებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე, არსებობს სსსკ-ის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად საქმის ხელახალი განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. პ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე აღნიშნულ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე და 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ზ. პ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.11.2017წ. გადაწყვეტილება ზ. პ-ის თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.11.2017წ. გადაწყვეტილება;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების
გამო სამსახურიდან გათავისუფლება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-954(2კ-18)

23 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-
რივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალე-
ბა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ზ-ემ 2015 წლის 6 ივლისს სარჩელით მიმართა თბილისის სა-
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მო-
პასუხის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ. მოსარ-
ჩელემ მოითხოვა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის
29 მაისის №2143 ბრძანების ბათილად ცნობა და მისთვის 2010 წლის
17 მაისს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცემული კერძო აღ-
მასრულებლის სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის (№39) აღ-
დგენის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქარ-
თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის
მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქარ-
თველოს იუსტიციის სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2016 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ზ-ის
სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს
იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015
წლის 29 მაისის №2143 ბრძანება კერძო აღმასრულებლის მ. ზ-ის
მიმართ პასუხისმგებლობის ზომის სახით სააღსრულებო საქმიან-
ობის ლიცენზიის გაუქმების თაობაზე და დაევალა მოპასუხე მ. ზ-
ისათვის კერძო აღმასრულებლის სააღსრულებო საქმიანობის ლი-
ცენზიის აღდგენა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს

სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ და საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, რომელთაც მოითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ივნისის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 14¹⁴ მუხლის „ზ“ პუნქტზე, რომლის თანახმად, სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძვლები, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საფუძვლებისა, არის ამ კანონით და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვნად ან სისტემატურად დარღვევა, რაც არსებით ზიანს აყენებს კერძო ან საჯარო ინტერესებს. ასევე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 21 ივლისის №140 ბრძანებით დამტკიცებულ „კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესით“, განსაზღვრულია კერძო აღმასრულებელთა პასუხისმგებლობის საფუძვლები და ზომები, კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ძირითადი პრინციპები. აღნიშნული წესის მე-3 მუხლის თანახმად, კერძო აღმასრულებლის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გაფრთხილება ან სააღსრულებო წარმოების ლიცენზიის გაუქმება. ამავე წესის 4.1. მუხლის თანახმად, ამ წესის შესაბამისად, კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგს პირთა განცხადებების, საჩივრებისა და შეტყობინებების, აგრეთვე სხვა ნებისმიერი გზით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, ხოლო 5.1. მუხლის თანახმად, გენერალური ინსპექცია წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად განცხადების, საჩივრის, შეტყობინების, აგრეთვე სხვა ნებისმიერი გზით ინფორმაციის მიღებიდან ერთი თვის ვადაში, სსიპ აღსრულების ეროვნუ-

ლი ბიუროს შესაბამის სამსახურს წარუდგენს დასაბუთებულ დასკვნას კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანშეწონილობის თაობაზე. ამავე წესის მე-6 მუხლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის ზომის შერჩევისას ითვალისწინებს დარღვევის შინაარსსა და სიმძიმეს, იმ შედეგებს, რომლებიც მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა ასეთ დარღვევას, კერძო აღმასრულებლის საქმიან და მორალურ რეპუტაციას.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების სამართლებრივი საფუძველი მხოლოდ მაშინ შეიძლება არსებობდეს, როდესაც კერძო აღმასრულებლის მიერ ჩადენილი გადაცდომები მნიშვნელოვან ზიანს აყენებს კერძო ან საჯარო ინტერესებს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ აქტის გამოცემისას უნდა დაადასტუროს მიყენებული ზიანის არსებობა, ასევე უნდა მიუთითოს, დამდგარი შედეგით მიადგა თუ არა ზიანი კერძო თუ საჯარო ინტერესს და კონკრეტულად რაში გამოიხატა იგი.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, მ. ზ-ის გენერალურ ინსპექციაში გამოუცხადებლობა, მის წარმოებაში არსებული (მიმდინარე) 47 წარმოებიდან დარღვევის აღმოჩენა 45 წარმოებაში და გენერალურ ინსპექციაში მოქალაქე ქ. თ-ის 2013 წლის 4 ივნისის №01/9214 განცხადებაში მითითებული სააღსრულებო წარმოება, სადაც, ასევე დადასტურდა კერძო აღმასრულებლის მხრიდან სააღსრულებო საქმის დარღვევებით წარმოების ფაქტები, არ ამართლებდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ, რადგან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გენერალურ ინსპექციაში კერძო აღმასრულებლის გამოუცხადებლობის თაობაზე მის მიერ წარდგენილია ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ასევე ქ. თ-ის განცხადების საფუძველზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, გენერალურმა ინსპექციამ შეწყვიტა კერძო აღმასრულებლის მ. ზ-ის მიმართ მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმება, რადგან მიიჩნია, რომ აღნიშნული განცხადების საფუძველზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად არ დადასტურდა მოსარჩელის ქმედებით არსებითი ზიანის მიყენების ფაქტი განმცხადებლისათვის.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტით მხარეთა შორის ამ ადმინისტრაციულ წარმოე-

ბასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობაც დასრულდა, შესაბამისად, დაუშვებელია ერთი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სამსახურებრივი გადაცდომის გამოვლენა სხვა ადმინისტრაციულ წარმოებაში პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლად იქნეს გამოყენებული, ხოლო გადაცდომის გამოვლენის დროს ქმედება არ იქნეს მიჩნეული გადაცდომად, თუკი სამსახურებრივ გადაცდომას ადგილი ექნებოდა მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მიეღო შესაბამისი ზომები, მოცემულ შემთხვევაში კი ადმინისტრაციულმა ორგანომ სამსახურებრივ გადაცდომად არ ჩათვალა მ. ზ-ის გამოუცხადებლობა გენერალურ ინსპექციაში ახსნა-განმარტების მისაცემად. ამდენად, მითითებული საფუძვლით მ. (მი.) ზ-ისათვის კერძო აღმასრულებლის ლიცენზიის გაუქმება მიიჩნია არასწორად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მ. ზ-ის მიმართ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ აწარმოა ორი ადმინისტრაციული წარმოება. პირველს სამსახურებრივ შემონმებას საფუძვლად დაედო მოქალაქე ქ. თ-ის განცხადება და მასში მითითებული გარემოებები. ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც დაიწყო აღნიშნული განცხადების საფუძველზე, დასრულდა წარმოების შეწყვეტით, ვინაიდან არ გამოვლინდა მ. (მი.) ზ-ის მიერ განხორციელებული გადაცდომები. ხოლო მორიგი სამსახურებრივი შემონმება დაიწყო 2013 წლის 3 ივნისს, გენერალური ინსპექციის სამსახურებრივი შემონმების სამმართველოს უფროსის მოხსენებით ბარათის საფუძველზე ამდენად, უსაფუძვლოა სადავო აქტის საფუძვლად ქ. თ-ის განცხადების მითითება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ფაქტობრივ საფუძვლად მოპასუხემ ასევე მიიჩნია კერძო აღმასრულებლის წარმოებაში არსებული 47 საქმიდან 45 საქმეში დარღვევის გამოვლენა, თუმცა კონკრეტულად არ მიუთითა, მ. ზ-ის რომელი ქმედებით რა სახის ზიანი მიადგა კერძო პირებს ან/და საჯარო ინტერესს.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქმეზე ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ ზედაპირულად მიუთითებს, თუ რომელ საქმეში კონკრეტულად რომელი ქმედებით შეილახა კერძო თუ საჯარო ინტერესი, სააღსრულებო საქმიანობის განხორციელების პროცესში შესაძლებელია კერძო აღმასრულებლის მიერ დაშვებულ იქნეს გარკვეული სახის გადაცდომები, თუმცა აღნიშნული მოითხოვს ზედმიწევნით შესწავლა/შეფასებას, რათა აღნიშნულ გადაცდომებზე მიღებულ იქნეს ადეკვატური პასუხისმგებლობის ზომები, არ მოხდეს შრომითი უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც მოხდა მოსარჩელისათვის სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება, აუარესებს მის სამართლებრივ მდგომარეობას. ამდენად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ვალდებული იყო მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების შესახებ დაინტერესებული პირის სათანადოდ ინფორმირებით და მისი პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფით მიეღო გადაწყვეტილება, რაც არ იქნა უზრუნველყოფილი. პალატის მოსაზრებით, სადავო აქტის საფუძვლად მითითებული გარემოებები არ წარმოადგენდა მიღებული გადაწყვეტილების საკმარის საფუძველს და სადავო გადაწყვეტილებით უსაფუძვლოდ იქნა შეზღუდული მოსარჩელის კანონიერი ინტერესები, რაც მიღებული გადაწყვეტილების კანონსაწინააღმდეგო ხასიათზე მიუთითებდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ და საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და დადგინილ გარემოებებს არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია კანონდარღვევით და უნდა გაუქმდეს, ვინაიდან სასამართლომ ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, კერძოდ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი.

კასატორი აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ემსჯელა შემდეგ საკითხებზე: გაფრთხილებული იყო თუ არა მ. ზ-ე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში მის მიმართ მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით, ადგილი ჰქონდა თუ არა კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ის მხრიდან დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვნად ან სისტემურად დარ-

დღევას, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა საჯარო ინტერესებს, ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში წარდგენილი იყო თუ არა მოქალაქეთა საჩივარ-განცხადებები კერძო აღმასრულებლის – მ. ზ-ის მიმართ, იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება კონკრეტული პირის ვინაობა, რომელმაც განმარტა, რომ კერძო აღმასრულებლის – მ. ზ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვნად ან სისტემურად დარღვევას.

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით 2015 წლის 15 მაისს №42582 წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მოეწოდებინა აღნიშნული ინფორმაცია. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2015 წლის 28 მაისის №4148 წერილით მიღებულ იქნა დეტალური ინფორმაცია კერძო აღმასრულებლის მ. ზ-ის მიმართ ჩატარებულ სამსახურებრივ შემოწმებასთან დაკავშირებით.

აღსრულების ეროვნული ბიურო არ ეთანხმება სასამართლოს მოსაზრებას, იმის თაობაზე, რომ მ. ზ-ისათვის არ იყო ცნობილი გენერალურ ინსპექციაში მიმდინარე წარმოების შესახებ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან მიღებული მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელისათვის კარგად იყო ცნობილი მის მიმართ მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმების თაობაზე და უფრო მეტიც, მას არაერთხელ ეცნობა აღნიშნულის შესახებ სატელეფონო შეტყობინებითა თუ წერილობითი ფორმით. კერძოდ, საქმის მასალებიდან დგინდება, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მრჩეველი – გ. ა-ი, 2013 წლის 29 აპრილს ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდა კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ეს, რაზეც შედგა გასაუბრების ოქმი და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის მიზნით დაიბარა გენერალურ ინსპექციაში. ამავე ოქმიდან დგინდება, რომ მ. ზ-ემ უარი განაცხადა შეთავაზებულ დროს მისვლაზე და თავადვე დანიშნა შეხვედრის დრო, კერძოდ, 2013 წლის 2 მაისი, 14:00 საათი. 2013 წლის 2 მაისის გასაუბრების ოქმიდან დგინდება, რომ 2013 წლის 2 მაისს, 14:15 საათზე გენერალური ინსპექციის მრჩეველს – გ. ა-ს დაუკავშირდა მ. ზ-ის მამა – ა. ზ-ე, რომელმაც განმარტა, რომ მ. ზ-ე იმყოფებოდა საავადმყოფოში, რის გამოც ვერ შეძლო გენერალურ ინსპექციაში გაცხადება.

2013 წლის 8 მაისს, №48341 წერილით, კერძო აღმასრულებელს კვლავ ეცნობა, რომ მის მიმართ მიმდინარეობდა სამსახურებრივი წარმოება და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის მიზნით გენერალურ ინსპექციაში დაბარებულ იქნა იმავე წლის 16 მაისს 12:00 სა-

ათზე. აღნიშნული წერილის საპასუხოდ, 2013 წლის 16 მაისს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას №01/6300 წერილით მიმართა მ. ზ-ემ და განმარტა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეუძლებელია გამოცხადდეს 2013 წლის 16 მაისს, ამასთან მიუთითა, რომ აღნიშნული შეტყობინების გარდა მას სხვა არ ჩაბარებია და გენერალურ ინსპექციაში გამოცხადდებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე. წერილს თან ერთვის ცნობა, რომლის თანახმადაც მ. ზ-ე იმყოფება გამოკვლევაზე 2013 წლის 15 მაისიდან. აღნიშნულის შემდგომ, 2013 წლის 12 ივლისის №70506 წერილით კერძო აღმასრულებელს კვლავ ეცნობა, რომ მის საქმესთან დაკავშირებით გენერალურ ინსპექციაში, მიმდინარეობდა სამსახურეობრივი შემოწმება და ეთხოვა 2013 წლის 20 ივლისამდე გამოცხადებულიყო და წარედგინა ამ დრომდე მისი გამოუცხადებლობის მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

კასატორის მოსაზრებით, დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობის უფლება, გამოყენებულ და განმარტებულ უნდა იქნეს მისი მიზნებიდან გამომდინარე და არ უნდა მოხდეს ამ უფლების ბოროტად, ანუ იმგვარად გამოყენება, რომ საფრთხე შეექმნას სხვა კანონიერ ინტერესს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელისთვის რამდენჯერმე მიცემული შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო ადმინისტრაციულ წარმოებაში, არ რეალიზდა მოსარჩელისავე ბრალით. ამდენად, გენერალური ინსპექციის მიერ სრულიად კანონიერად, საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსის საფუძველზე და დისციპლინური წარმოების მნიშვნელობის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება წარმოების ჩატარებისა და დასრულების თაობაზე.

ამასთან, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარის ჩაურთველობა ან მის მიერ მონაწილეობის მიუღებლობა არ ქმნის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის იმთავითვე უკანონოდ მიჩნევის საფუძველს. კანონმდებელმა ცალსახად განსაზღვრა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საბოლოო აქტის გამოცემისას „დარღვევის“ ის დასაშვები ხერხი, „რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებულ იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება“. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებულ ბრძანებას საფუძველად დაედო მოსარჩელის წარმოებაში არსებულ 47 საქმიდან 45-ზე დარღვევის აღმოჩენა, რაც სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში მეტყველებს იმაზე, რომ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიღებული ვერ იქნებოდა. მოსარჩელეს საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების საშუალება საქმესთან დაკავშირებით ჰქონდა არა მარტო გენერალური ინსპექციის მიერ

მისი საქმის განხილვის ეტაპზე, არამედ შემდეგაც, მათ შორის დასკვნის გამოცემის ეტაპზე, ასევე, სარჩელის წარდგენის დროს. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, მ. ზ-ეს ამ შესაძლებლობით არ უსარგებლია. შესაბამისად, მოსარჩელის მუდმივი აპელირება, რომ მას არ ჰქონდა პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა, არ შეესაბამება სინამდვილეს.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სამსახურებრივი შემოწმების დროს გენერალური ინსპექციის მიერ შესწავლილ იქნა კერძო აღმასრულებლის – მ. ზ-ის წარმოებაში არსებული მიმდინარე საქმეები სრულად, რომელთა შორისაც გენერალური ინსპექციის დასკვნის მიხედვით 47 წარმოებიდან დარღვევა აღმოჩნდა 45 წარმოებაში. კერძოდ, დადგინდა, რომ საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში არ იყო ატივითული შემდეგი დოკუმენტები: აღსრულების დაწყების საფუძველი, 7-დღიანი წინადადების ჩაბარების დამადასტურებელი ხელწერილი, ექსპერტის დასკვნა, კრედიტორის განცხადება წარმოების შეწყვეტის თაობაზე, კრედიტორის განცხადება წარმოების შეჩერების თაობაზე, სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შესახებ ოქმი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პასუხი მიმართვაზე, პასუხი კომერციული ბანკებიდან, პასუხი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან. აღნიშნული ქმედებით კერძო აღმასრულებელმა მ. ზ-ემ დაარღვია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 30 სექტემბრის №221 ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებით ყველა დოკუმენტი, გარდა სააღსრულებო მოქმედების ადგილზე შექმნილი დოკუმენტისა, ბიუროში საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის ამოქმედების შემდეგ, ექვემდებარება ამ პროგრამით სავალდებულო რეგისტრაციას. რიგ სააღსრულებო საქმეებზე მ. ზ-ემ დაგვიანებით მოახდინა მოვალის მოვალეთა რეესტრში რეგისტრაცია, რითაც მან დაარღვია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19¹ მუხლის პირველი ქვეპუნქტის იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, „პირი მოვალეთა რეესტრში შეიტანება დაუყოვნებლივ, მას შემდეგ, რაც მის წინააღმდეგ დაიწყება სააღსრულებო წარმოება“. ასევე, მ. ზ-ემ დაარღვია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნა, კერძოდ: „თანხის გადახდევინების კატეგორიის საქმეზე, წინადადების ჩაბარებასთან ერთად (ან თუ წინადადების ჩაბარება დროულად ვერ ხერხდება) აღმასრულებელი დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების მოძიებას, აღწერას და მასზე ყადაღის დადებას“ ხემოაღნიშ-

ნულ საქმეთა ნაწილზე ქონების მოძიება და აღწერა-დაცადადება საერთოდ არ განხორციელებულა, ხოლო ცალკეულ საქმეებზე, განხორციელდა ვადის დარღვევით, რაც წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნის დარღვევას. მაგალითად, №A110011910 სააღსრულებო წარმოება დაიწყო 2011 წლის 28 თებერვალს, ხოლო მოვალის ქონების აღწერა-დაცადადება განხორციელდა 2011 წლის 30 მარტს, რის შემდეგაც, მოვალის ქონება იძულებით აუქციონზე კერძო აღმასრულებელმა არ გაიტანა; №A1014126 სააღსრულებო წარმოება დაიწყო 2011 წლის 15 მარტს, ხოლო მოვალის ქონების აღწერა-დაცადადება განხორციელდა 2011 წლის 4 აპრილს, რის შემდეგაც მოვალის ქონება იძულებით აუქციონზე კერძო აღმასრულებელმა ისევ არ გაიტანა. მსგავსი დარღვევებია მ. ზ-ის წარმოებაში არსებულ სხვა საქმეებშიც, რომლებიც მითითებულია გენერალური ინსპექციის დასკვნაში: №A12058041, №A12058063, №A12007445, №A12007064, №A12048064, №A11073692, №A12005515, №A12043039, №A13032280, №A13028655, №A13017986, №A13016261, №A12059133, №A1248915, №A12006085 და №A11065297.

ზემოაღნიშნული ფაქტები ადასტურებს, რომ კერძო აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო საქმიანობა სისტემატიურად, მნიშვნელოვანი დარღვევებით ხორციელდებოდა. ამასთან, მის მიერ განხორციელებული საქმიანობის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, აღნიშნული სისტემატიური დარღვევა ზიანს აყენებს საჯარო ინტერესებს, ვინაიდან კერძო აღმასრულებელი აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. შესაბამისად, სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ არ დგინდებოდა ჰქონდა თუ არა ადგილი კერძო აღმასრულებლის მხრიდან დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვნად ან სისტემატიურად დარღვევას, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა საჯარო ინტერესებს, კასატორი განმარტავს, რომ 47 საქმიდან 45 საქმის დარღვევით წარმოება არის სისტემატიური დარღვევა, რაც შეეხება დარღვევის მნიშვნელობას, ყოველი სააღსრულებო საქმე დაკავშირებულია კონკრეტული ინდივიდის ქონებრივ უფლებასთან, რომლის დაცვით კერძო აღმასრულებელი საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას იღებს. შესაბამისად, მის მიერ იმ პროცედურული ნორმების დარღვევა, რომელიც დროში აგვიანებს ან შესაძლოა საერთოდ შეუძლებელი გახადოს ამ უფლების რეალიზება, წარმოადგენს მნიშვნელოვანს არა მარტო კონკრეტული სუბიექტისთვის, არამედ არსებით ზიანს აყენებს იმ საჯარო ინტერესს, რომლის დროულად და სწორად განხორციელების უზრუნველსაყოფადაც

სახელმწიფომ შექმნა კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი.

კასატორი მიუთითებს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹⁴ მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს ამ კანონით და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვნად ან სისტემატიურად დარღვევა რაც არსებით ზიანს აყენებს კერძო ან საჯარო ინტერესს.

აქედან გამომდინარე, აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიერ სადავო აქტის გამოცემისას არ დაურღვევია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

კასატორი – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არ იზიარებს სასამართლოს შეფასებას, რომ საქმეზე არ დგინდება რა გარემოებები გახდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მკაცრი ზომის – სააღსრულებო წარმოების ლიცენზიის გაუქმების, გამოყენების საფუძველი და მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოს კითხვას, თუ რატომ იქნა გამოყენებული პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომა, სამინისტრომ პასუხი გასცა ყველა ეტაპზე – როგორც სადავო აქტის გამოცემისას, ასევე, სასამართლო განხილვისას და მათ შორის, სადავო დოკუმენტში, როდესაც მითითება გააკეთა დარღვევების რაოდენობაზე, მასშტაბზე, სისტემურობასა და ხარისხზე, რომელიც გამოვლენილ იქნა დისციპლინური წარმოებისას. იუსტიციის სამინისტროს მიაჩნია, რომ არსებული მოცემულობის მხედველობაში მიღებით მოსარჩელისათვის სწორედ „გაფრთხილების“ შეფარდება იქნებოდა დისკრეციული უფლებამოსილების არაპროპორციულად განხორციელების მაგალითი.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ თუ წარმოდგენილი დარღვევები სასამართლოსათვის იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ საკმარისი იქნებოდა „გაფრთხილების“ შეფარდება, მაშინ სასამართლოს სულ მცირე უნდა გამოეყენებინა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და ადმინისტრაციული ორგანოსათვის სამსჯელოდ დაებრუნებინა სადავო აქტი. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, აქტის სრულად ბათილად ცნობით სასამართლომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ დაუტოვა შესაძლებლობა, ემსჯელა დარღვევისა და სახდელის პროპორციულობაზე, რაც ცალსახად წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციას. აღნიშნულით სასამართლო, ფაქტობრივად, ჩაერია სამინისტროს დისკრეციულ უფლებამოსილებაში და შესაბამისად, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც თავის მხრივ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების არსებითი წი-

ნაპირობაა.

კასატორი აღნიშნავს, რომ იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას კანონით აქვს მინიჭებული განსაკუთრებული საზედამხედველო ფუნქცია კერძო აღმასრულებლის საქმიანობაზე. შესაბამისად, რომელიმე კონკრეტული საჩივარი არ წარმოადგენს აუცილებელ საფუძველს შემონმების დასაწყებად, ვინაიდან წარმოების დაწყება შესაძლებელია სხვა ნებისმიერი გზით მიღებული ინფორმაციის საფუძველზეც. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურებრივი შემონმების სამმართველოს უფროსის – ნ. ა-ის 2013 წლის 3 ივნისის №10-03/07-2013 მოხსენებითი ბარათიდან დგინდება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, შემონმების დაწყების საფუძველი გახდა აღმასრულებლის მიმართ, დროის მცირე მონაკვეთში წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა. ამდენად, საჩივარი არ გამხდარა სამსახურებრივი შემონმების შედეგის – მ. ზ-ის განთავისუფლების თაობაზე ბრძანების გამოცემის საფუძველი. ასეთი საფუძველი არის მოსარჩელის მიმართ არსებული არაერთი საჩივარი/განცხადება და აღნიშნულიდან გამომდინარე ლეგიტიმურად შექმნილი ვარაუდი, რომ კერძო აღმასრულებლის მიერ საქმის წარმოება ხდებოდა დარღვევით. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამავე ფორმალური საფუძვლის გათვალისწინებით შემონმდა არა მარტო მოსარჩელის, არამედ იმ დროს მოქმედი თითქმის ყველა კერძო აღმასრულებლის საქმე.

შესაბამისად, სასამართლოს მითითება, იმის თაობაზე, რომ ქ. თ-ის განცხადების საფუძველზე ჩატარებულ იქნა სხვა ადმინისტრაციული წარმოება, რომელსაც არ მოჰყვა შედეგი, მოცემული დავისთვის საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, რადგან მ. ზ-ის მიმართ საჩივრების სიჭარბემ, რომელიც დაფიქსირდა დროის საკმაოდ მოკლე პერიოდში, განაპირობა მისი საქმიანობის მიმართ შემონმების დაწყება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იუსტიციის სამინისტროს მიაჩნია, რომ დავა მოიცავს მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და სწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. კერძოდ, საკითხი ეხება მეტად მნიშვნელოვან თემატიკას – დისციპლინურ წარმოებას, რომლის კანონიერების გამოკვლევის დროს ქვედა ინსტანციების სასამართლოებმა მრავლად დატოვეს შესაფასებელი საკითხები და ასევე, შეუსაბამო კანონმდებლობაზე დაყრდნობით მიიღეს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. მათ შორის სადავო განჩინებიდან არ დგინდება ადმინისტრაციული ორგანოს ესა თუ ის კონკრეტული პრეტენზია რატომ არ იქნა გაზიარებული სასამართლოს მიერ ან რა ფაქტორები იქნა გათ-

ვალისწინებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილებისას, როდესაც თავად სასამართლო რამდენიმე ადგილას მსჯელობს გამოსაკვლევ გარემოებაზე. აღნიშნული კი თავის მხრივ წარმოადგენს მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვან დარღვევას, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებული დავის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 ნოემბრის განჩინებით, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივრები, უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავოა კერძო აღმასრულებლის მ. ზ-ის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის სახით სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 29 მაისის №2143 ბრძანების კანონიერების საკითხი. სადავო ბრძანების გამოცემის საფუძვლად მითითებულია „კერძო აღმასრულებლის მ. ზ-ის მიმართ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების – შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2013 წლის 16 აგვისტოს №44-2013 დასკვნა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება.

საქმეზე დადგენილია, რომ მ. ზ-ე კერძო აღმასრულებლის საქმიანობას ახორციელებდა კერძო აღმასრულებლის სააღსრულებო საქმიანობის 2010 წლის 17 მაისის №39 სალიცენზიო მოწმობის საფუძველზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2013 წლის 14 ივნისის №27-2013 დასკვნით დადგენილია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში 2013 წლის 15 მარტს დაინყო სამსახურებრივი შემოწმე-

ბა კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ის მიერ შესაძლო კანონდარღვევის ჩადენის ფაქტზე. სამსახურებრივ შემონმებას საფუძველად დაედო ქ. თ-ის წარმომადგენლების – ზ. ე-ისა და ბ. მ-ის №01/1372260, №01/35569, №01/36572, №01/9214 განცხადებები. ზემოაღნიშნულ განცხადებებში მითითებული იყო მ. ზ-ის მიერ სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობისას განხორციელებულ სხვადასხვა კანონდარღვევებზე, რის გამოც ზიანი ადგებოდა კრედიტორ ქ. თ-ის ინტერესებს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2013 წლის 14 ივნისის №27-2013 დასკვნით გენერალური ინსპექციის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კერძო აღმასრულებლის მ. ზ-ის მიმართ სამსახურებრივი შემონმების შეწყვეტა მის ქმედებებში, როგორც კერძო, ასევე საჯარო ინტერესისთვის არსებითი ზიანის მიყენების ფაქტის დაუდასტურებლობის გამო.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურებრივი შემონმების სამმართველოს უფროსის 2013 წლის 3 ივნისის №10-03/07-2013 მოხსენებით ბარათის საფუძველზე, 2013 წლის 3 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ დაიწყო კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ის წარმოებაში არსებული საქმეების სამსახურებრივი შემონმება, კერძო აღმასრულებლის საქმიანობის პროცესში შესაძლო დარღვევების გამოვლენის მიზნით. შემონმების შედეგებზე გამოიკა 2013 წლის 16 აგვისტოს №44-2013 დასკვნა, რომლის თანახმად, შესწავლილ იქნა კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ის წარმოებაში არსებული მიმდინარე საქმეები, (47 საქმიდან დარღვევა აღმოჩნდა 45 საქმის წარმოებაში), რომელთა შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში არ იყო ატვირთული შემდეგი დოკუმენტები: აღსრულების დაწყების საფუძველი, 7-დღიანი წინადადების ჩაბარების დამადასტურებელი ხელწერილი, ექსპერტის დასკვნა, კრედიტორის განცხადება წარმოების შეწყვეტის თაობაზე, კრედიტორის განცხადება წარმოების შეჩერების თაობაზე, სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შესახებ ოქმი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პასუხი მიმართვაზე, პასუხი კომერციული ბანკებიდან, პასუხი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან. მ. ზ-ე გენერალურ ინსპექციაში შესული მოქალაქის განცხადებასთან დაკავშირებით დაბარებული იყო განმარტების მისაცემად 2013 წლის 2 და 16 მაისს, (ქ. თ-ის განცხადების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებისას), თუმცა იგი გენერალურ ინსპექციაში არ გამოცხადდა. ზემოაღნიშნულ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებით განმარტების მიცემისა და ელექტრონულ პროგრამაში აუტვირთა-

ვი მასალების წარდგენის მიზნით, აღმასრულებელი მ. ზ-ე წერილობით კვლავ დაიბარეს 2013 წლის 12-20 ივლისს, რასაც ასევე შედეგი არ მოჰყოლია. კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანშეწონილობის თაობაზე დასკვნა გადაეგზავნა აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ 2013 წლის 20 აგვისტოს გამოცემა №989 ბრძანება კერძო აღმასრულებლის – მ. ზ-ისათვის პასუხისმგებლობის ზომის სახით სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების თაობაზე, აღნიშნული აქტის გასაჩივრების შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 27 დეკემბრის №3/3405-13წ. გადაწყვეტილებით მ. ზ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2013 წლის 20 აგვისტოს №989 ბრძანება კერძო აღმასრულებლის – მ. ზ-ის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის სახით სააღსრულებო წარმოების ლიცენზიის გაუქმების შესახებ და დაევალა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს საქმისათვის არსებული მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელე მ. ზ-ესთან მიმართებაში, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში. გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ გენერალურ ინსპექციაში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე ეცნობა მოსარჩელე მ. ზ-ეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურებრივი შემონმების სამმართველოს უფროსის ნ. ა-ის 2013 წლის 12 ივლისის №70506 წერილით, ვინაიდან გარდა მოპასუხის ახსნა-განმარტებისა, საქმეში არ იყო წარდგენილი აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება. გადაწყვეტილებით ასევე განიმარტა, რომ კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის სახით სააღსრულებო წარმოების ლიცენზიის გაუქმების თაობაზე აღსრულების ეროვნული ბიუროს, 2013 წლის 20 აგვისტოს №989 ბრძანების გამოცემისას არ გამოუკვლევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, არ უმსჯელია იმ საკითხთან დაკავშირებით, გაფრთხილებული იყო თუ არა მოსარჩელე მ. ზ-ე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით, ადგილი ჰქონდა თუ არა კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ის მხრიდან დადგენილი მოთხოვნების მნიშვნე-

ლოვნად ან სისტემურად დარღვევას, რამაც არსებითი ზიანი მიაცენა საჯარო ინტერესებს; ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში წარდგენილი იყო თუ არა მოქალაქეთა საჩივარ-განცხადებები კერძო აღმასრულებლის – მ. ზ-ის მიმართ, იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა კონკრეტული პირების ვინაობა, რომლებმაც განმარტეს, რომ კერძო აღმასრულებლის – მ. ზ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვნად ან სისტემურად დარღვევას, რამაც არსებითი ზიანი მიაცენა საჯარო ინტერესებს. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 15 მაისის №42582 წერილით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს ეცნობა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილებით განსაზღვრული საკითხების გამოკვლევა სცილდება აღსრულების ეროვნული ბიუროს კომპეტენციის ფარგლებს, ითხოვა ინფორმაციის მიწოდება ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2015 წლის 28 მაისის №4148 წერილით აღსრულების ეროვნულ ბიუროს 2015 წლის 15 მაისის №42582 წერილის პასუხად გაეგზავნა 2013 წლის 18 იანვრის №01/1372260, 2013 წლის 20 მარტის №01/35569 და №01/36572, 2013 წლის 4 ივნისის №01/9214 განცხადებები. ამასთან, გაეგზავნა კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ესთან 2013 წლის 29 აპრილს შემდგარი სატელეფონო გასაუბრების ოქმი, რომლითაც სამინისტრო ადასტურებდა, რომ მ. ზ-ე ინფორმირებული იყო მის მიმართ მიმდინარე წარმოების შესახებ და მიწვეული იყო გენერალურ ინსპექციაში ახსნა-განმარტების მისაცემად იმავე წლის 2 მაისს. 2013 წლის 2 მაისის სატელეფონო გასაუბრების ოქმის თანახმად, მ. ზ-ე არ გამოცხადდა გენერალურ ინსპექციაში ავადმყოფობის მიზეზით, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტი მას არ წარუდგენია. მას შემდეგ, რაც კერძო აღმასრულებელი მ. ზ-ე ახსნა-განმარტების მიცემის მიზნით არ გამოცხადდა გენერალურ ინსპექციაში, მას გაეგზავნა 2013 წლის 8 მაისის №48341 წერილი და იგი კვლავ იქნა მიწვეული გენერალურ ინსპექციაში. წერილის პასუხად მ. ზ-ემ გენერალურ ინსპექციას მიმართა 2013 წლის 16 მაისის №01/63100 წერილით, რომლის თანახმად ის იმყოფებოდა გამოკვლევებზე და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე გამოცხადდებოდა გენერალურ ინსპექციაში. აღნიშნულის შემდგომ, 2013 წლის 12 ივლისს მ. ზ-ეს კვლავ

გაეგზავნა წერილი (№70506), რომლითაც განმეორებით ეთხოვა იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გამოცხადება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2013 წლის 16 აგვისტოს №44-2013 დასკვნა ადასტურებს კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სისტემატურად დარღვევის ფაქტს. დასკვნის თანახმად, შემონმების მომენტისათვის მ. ზ-ის წარმოებაში არსებული (მიმდინარე) 47 საქმიდან დარღვევა აღმოჩნდა 45 საქმის წარმოებაში. სამინისტრომ მიიჩნია, რომ საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის მხრიდან მითითებული რაოდენობის დარღვევა არსებით ზიანს აყენებს საჯარო ინტერესს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 3 ივნისის სამსახურებრივი შემონმება დაიწყო არა მოქალაქეთა საჩივარ – განცხადებების საფუძველზე, არამედ იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურებრივი შემონმების სამმართველოს უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იყო იმ სავარაუდო დარღვევებზე, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონოდა 14 კერძო აღმასრულებლის (მათ შორის მ. ზ-ის) საქმიანობაში. მ. ზ-ის მიმართ 2013 წლის 3 ივნისს დაწყებულ დისციპლინურ წარმოებაში ასევე შესწავლილ იქნა გენერალურ ინსპექციაში მოქალაქე ქ. თ-ის 2013 წლის 4 ივნისის №01/9214 განცხადებით გათვალისწინებული სააღსრულებო წარმოება, სადაც ასევე დადასტურდა კერძო აღმასრულებლის მხრიდან სააღსრულებო საქმის დარღვევებით წარმოების ფაქტები.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 29 მაისის №2143 ბრძანებით, კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ის მიმართ პასუხისმგებლობის სახით გამოყენებულ იქნა სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის (ლიცენზია №39) გაუქმება.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უმეტეს შემთხვევაში იზიარებს მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. ასევე მიიჩნევს, რომ არ არსებობს მ. ზ-ის მიერ კერძო აღმასრულებლის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მრავლობითი დარღვევების არსებობის შესახებ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების გაზიარების კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ კონკრეტულად არ დგინდება, მ. ზ-ის რომელი ქმედებით რა სახის ზიანი მიაღწა კერძო პირებს ან/და საჯარო

რო ინტერესს. ამასთან, სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია, რომ კერძო აღმასრულებლის მიერ დაშვებულ იქნეს გარკვეული სახის გადაცდომები, თუმცა აღნიშნული გადაცდომების შესწავლა/შეფასების საფუძველზე გადაცდომებზე მიღებულ უნდა იქნეს ადეკვატური პასუხისმგებლობის ზომები და არ მოხდეს შრომითი უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი ზემოაღნიშნული დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, კანონით გათვალისწინებული ობიექტური შეფასებიდან და დასაშვებად მიიჩნევს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „ლიცენზიების და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 86-ე პუნქტის თანახმად, ლიცენზიის სახეა – სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია, ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტით ლიცენზიის გაცემის, მის გაცემაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება აღმინისტრაციული აქტია და უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით აღმინისტრაციული სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს. განსახილველ შემთხვევაში, სადავოა სწორედ სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 29 მაისის №2143 ბრძანების კანონიერება.

საკასაციო პალატა დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ შეფასდეს კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, ადგილი ჰქონდა თუ არა მ. ზ-ის მხრიდან ისეთი დარღვევის არსებობას, რაც საკმარისი იყო სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გასაუქმებლად.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 14^ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კერძო აღმასრულებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას – სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ამდენად, კერძო აღმასრულებელი წარმოადგენს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ პირს, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს „ლიცენზიები-

სა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 86-ე პუნქტით გათვალისწინებული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე. ამდენად, დადგენილია, რომ მ. ზ-ე იყო საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი, საჯარო მოსამსახურე, რომელიც წარმოადგენდა საჯარო ვალდებულებებით და უფლებამოსილებებით აღჭურვილ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ასევე, ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება. შრომის თავისუფლება საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით ნიშნავს არა მხოლოდ ადამიანის უფლებას თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო, არამედ სახელმწიფოს ვალდებულებასაც იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები (საკონსტიტუციო სასამართლოს 26.10.2007წ. გადაწყვეტილება საქმეზე №2/2-389). შრომის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას სათანადო, კანონიერი საფუძვლის გარეშე არ დაუშვას დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. ამასთანავე, შრომის უფლება არ არის აბსოლუტური, აღნიშნული უფლებით დაცული სფერო შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. შრომის უფლების დაცვა არ გულისხმობს დამსაქმებლის აბსოლუტურ შეზღუდვას კანონით გათვალისწინებული საფუძვლის შემთხვევაში გაათავისუფლოს დასაქმებული. ამდენად, ვინაიდან გასაჩივრებული აქტით შეიზღუდა მოსარჩელის – მ. ზ-ის კონსტიტუციით დაცული შრომითი უფლება – კერძო აღმასრულებლის საქმიანობის განხორციელების უფლება, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია დადგინდეს უფლებაში ჩარევას ჰქონდა თუ არა სათანადო სამართლებრივი საფუძველი, რაც ასევე განაპირობებს მოსარჩელის მიმართ სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის აღდგენის მოთხოვნის საფუძვლიანობას.

„კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 21 ივლისის №140 ბრძანება, განსაზღვრავს კერძო აღმასრულებელთა პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და ზომებს, კერძო

აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს. ამავე წესის მე-3 მუხლის თანახმად, კერძო აღმასრულებლის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გაფრთხილება ან სააღსრულებო წარმოების ლიცენზიის გაუქმება. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 14¹⁶ მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს კერძო აღმასრულებლის ვალდებულებას, სააღსრულებო საქმის წარმოება განახორციელოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრული პირობებითა და ფორმით. „კერძო აღმასრულებლების მიერ სააღსრულებო საქმის წარმოების განხორციელების პირობებისა და ფორმის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №88 ბრძანების პირველი მუხლის თანახმად, კერძო აღმასრულებლებმა სააღსრულებო საქმის წარმოება უნდა განახორციელონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 30 სექტემბრის №221 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით გათვალისწინებული ფორმით – სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით.

კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო „კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 21 ივლისის №140 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, რომელიც მონიტორინგს ახორციელებს პირთა განცხადებების, საჩივრებისა და შეტყობინებების, აგრეთვე სხვა ნებისმიერი გზით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მ. ზ-ის საქმიანობის მონიტორინგის განხორციელებას საფუძვლად დაედო იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურებრივი შემოწმების სამმართველოს უფროსის 2013 წლის 3 ივნისის მოხსენებითი ბარათი. აღნიშნული ბარათის საფუძველზე განხორციელებული შემოწმების შედეგად მიღებულია 2013 წლის 16 აგვისტოს №44-2013 დასკვნა. დასკვნაში ასახულია კერძო აღმასრულებლის – მ. ზ-ის საქმიანობის პროცესში გამოვლენილი არსებითი ხასიათის დარღვევები, რომლების გათვალისწინებით გასაჩივრებული ბრძანებით გაუქმდა კერძო აღმასრულებლის საქმიანობის ლიცენზია. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მიიჩნია, რომ კერძო აღ-

მასრულებლის მ. ზ-ის, როგორც საჯარო უფლებამოსილების განმხორციელებელი პირის მიერ მის წარმოებაში არსებულ 45 საქმეზე მნიშვნელოვნად და სისტემატიურად დაირღვა „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის, ამავე კანონის 25-ე მუხლის მე-9 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 69-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები. ასევე ლიცენზიის გაუქმების საფუძვლად მითითებულია „საალსრულებო წარმოებათა შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 30 სექტემბრის №221 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-9 – მე-12 მუხლების დარღვევა და „კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 21 ივლისის №140 ბრძანების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა. განსახილველ საქმეზე უტყუარად დგინდება, რომ იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2013 წლის 16 აგვისტოს №44-2013 დასკვნაში ასახულ დარღვევებს ადგილი ჰქონდა შემომნების მომენტისათვის მ. ზ-ის წარმოებაში არსებული (მიმდინარე) 47 საქმიდან 45 საქმის წარმოებაში.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტზე, რომელსაც აქვს არა მარტო საპროცესო სამართლებრივი, არამედ მატერიალურსამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად, გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში (სასკ. მუხლი 17.1). მითითებული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ

მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები). ამასთან, სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტის საფუძველზე. ფაქტის დადასტურებას აქვს არა მარტო საპროცესო, არამედ მატერიალურსამართლებრივი მნიშვნელობა. მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნას ძირითადად ამყარებდა იმ გარემოებაზე, რომ არ მიეცა შესაძლებლობა წარედგინა 2013 წლის 16 აგვისტოს №44-2013 დასკვნაში ასახულ დარღვევებზე მისი არაბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამასთან, მოსარჩელე სადავოდ ხდის მისი გათავისუფლების ბრძანების ფორმალურ კანონიერებას და მიუთითებს სადავო აქტის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული წესის დარღვევით დასაბუთებაზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ შეასრულა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით მასზე დაკისრებული ვალდებულება. მოპასუხის მიერ უტყუარად დადასტურდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში კერძო აღმასრულებლის – მ. ზ-ის მიმართ მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების შესახებ დაინტერესებული პირის არაერთგზის გაფრთხილების ფაქტი. ასევე, დადასტურდა, „კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 21 ივლისის №140 ბრძანების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა, რაც გულისხმობს მიღებული განცხადების, საჩივრის, შეტყობინებისა და ინფორმაციის შესწავლა-გადამოწმების მიზნით კერძო აღმასრულებლის ვალდებულებას, გენერალური ინსპექციის მოთხოვნისთანავე გამოცხადდეს შესაბამისი ახსნა-განმარტებისათვის და წარადგინოს მოთხოვნილი მასალები. კერძო აღმასრულებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა (დროულად შეუსრულებლობა), თუ ეს წარმოადგენს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹⁴ მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, შეიძლება გახდეს კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. ამდენად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის უზრუნველსაყოფად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, დაინტერესებული მხარის მიერ არ შესრულდა იმავე კოდექსის 96-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით მასზე და-

კისრებული მოვალეობა გამოცხადებულიყო ადმინისტრაციულ ორგანოში, ეთანამშრომლა ადმინისტრაციულ ორგანოსთან და კანონით დადგენილი წესით მიეცა ახსნა-განმარტებები მის უფლება-მოსილებაში შემავალი საკითხების შესახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 14¹⁴ მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძვლები, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საფუძვლებისა, არის ამ კანონით და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვნად ან სისტემატურად დარღვევა, რაც არსებით ზიანს აყენებს კერძო ან საჯარო ინტერესებს. ლიცენზიის გაუქმების მითითებული ნორმა შეიცავს პირობას, იმის თაობაზე, რომ ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვნად ან სისტემატურად დარღვევა არსებით ზიანს უნდა აყენებდეს კერძო ან საჯარო ინტერესებს. შემონების შედეგად გამოვლენილი საქმეთა ძირითად ნაწილში სააღსრულებო საქმიანობის დარღვევით განხორციელება, ქმნის საფუძველს მტკიცებისათვის, რომ ადგილი აქვს საჯარო ინტერესის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას და ამ შემთხვევაში არ არსებობს აუცილებლობა ეს ზიანი გამოსახული იყოს კონკრეტული პირის მიმართ დამდგარ უარყოფით შედეგში. საჯარო ინტერესის წინააღმდეგ მიმართული ქმედება ვლინდება უფლება-მოვალეობათა არაჯეროვან, კანონსაწინააღმდეგო შესრულებაში ან უფლებამოსილების შეუსრულებლობაში, ხოლო თუ ეს დარღვევა აისახება კონკრეტული განმცხადებლის მიმართ სააღსრულებო საქმიანობის კანონდარღვევით განხორციელების გამო დამდგარ შედეგში, ასეთი შედეგი წარმოადგენს კერძო ინტერესისათვის მიყენებულ ზიანს და თავის მხრივ წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას ზიანის ანაზღაურების კუთხით.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტით, მხარეთა შორის ამ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობაც დასრულდა და დაუშვებელია ერთი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სამსახურებრივი გადაცდომის გამოვლენა სხვა ადმინისტრაციულ წარმოებაში პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველად იქნეს გამოყენებული, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, მ. ზ-ის მიმართ განთავისუფლების საფუძველად მითითებული გარემოებები, ასახულია 2013 წლის 16 აგვისტოს №44-2013 დასკვნაში, რომელიც არ უკავშირდება მხოლოდ ქ. თ-ის განცხადების გამო განხორციელებულ წარმოებას და ადასტურებს

კერძო აღმასრულებლის საქმიანობაში კონკრეტული დარღვევების არსებობას, მ. ზ-ის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების არაერთგზის დარღვევას. შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლების დაცვით, სადავო ბრძანებით განხორციელდა მოსარჩელის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის (საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება) განსაზღვრა. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ აღმასრულებლის წარმოებაში არსებული 47 საქმიდან 45 საქმეში გამოვლინდა არსებითი ხასიათის დარღვევა, საკასაციო პალატა არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ კონკრეტულად არ მიუთითა მ. ზ-ის, რომელი ქმედებით რა სახის ზიანი მიადგა კერძო პირებს ან/და საჯარო ინტერესს. შესაბამისად, გამოვლენილ მრავლობით დარღვევებზე პასუხისმგებელ პირს, მასზე კანონის საფუძველზე დაკისრებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, წარმოადგენდა კერძო აღმასრულებელი მ. ზ-ე და მის მიერ მასზე ნორმატიული აქტით დაკისრებული უფლებამოსილების შეუსრულებლობითა და არაჯეროვანი შესრულებით დაირღვა სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები. შესაბამისად, მ. ზ-ის მიერ მასზე დაკისრებული საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების შეუსრულებლობამ და არაჯეროვანმა შესრულებამ გამოიწვია კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის ძირითადი მიზნის – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადანაცვლებების იძულებით აღსრულების არაერთგზის შეფერხება, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს ინტერესებთან შეუსაბამო ქმედებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაცია მნიშვნელოვნად არის განპირობებული სასამართლო ხელისუფლების როლით, სასამართლოს მიერ ობიექტური, მიუკერძოებელი და კვალიფიციური მართლმსაჯულების განხორციელებით, ვინაიდან სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას – მართლმსაჯულებას, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ეს მოიცავს არა მხოლოდ კონკრეტული კონფლიქტების (დავები) გადანაცვლებას, არამედ – სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა საქმიანობაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებას. მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია ადმი-

ნისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილებების, ხელშეკრულებების, ქმედებების/მოქმედება, უმოქმედობა/გასაჩივრება საერთო სასამართლოში, რა დროსაც სასამართლოს ობიექტურობას, მიუყერძობლობასა და დამოუკიდებლობას განუზომელი მნიშვნელობა აქვს, რათა აღადგინოს დარღვეული წონასწორობა პირსა და ოფიციალურ სტრუქტურას შორის. სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებებზე უზრუნველყოფს დარღვეული უფლების აღდგენას, კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ნორმებით მკაცრად რეგლამენტირებულ ჩარჩოში მოქცევას, ეფექტური დაცვის რეალიზაციას და ა.შ. სახელმწიფო გარანტირებული უნდა იყოს ადმინისტრაციული აქტების კონტროლით, სრულად ემორჩილებოდეს კანონს და იმავდროულად, უზრუნველყოფდეს ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოების ეფექტურ მუშაობას. თუმცა მმართველობის არსი არასწორად არ უნდა იქნეს გაგებული, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე სასამართლო კონტროლი არ უნდა ლახავდეს ადმინისტრაციული ორგანოს დამოუკიდებლობის ხარისხს, უნდა ჯდებოდეს მათი უფლებამოსილების ფარგლებში და შეესაბამებოდეს ხელისუფლების დანაწილებისა და ურთიერთგანაწონასწორების კონსტიტუციურ პრინციპს. მართლმსაჯულების განხორციელების შედეგად ხელი არ უნდა შეეშალოს ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონირებას.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის მოსაზრებით საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარისი იყო იმის დასადგენად, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ადმინისტრაციულმა ორგანომ შეაფასა საქმის გარემოებები და ისე მიიღო გადაწყვეტილება გამოვლენილი დარღვევების შინაარსისა და სიმძიმის გათვალისწინებით, მოჰასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებული დისციპლინარული სახდელი – სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება შესაბამისობაშია „კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 21 ივლისის № 140 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. მითითებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი კერძო აღმასრულებლისათვის სახელმწიფოს მიერ დე-ლეგირებული საპასუხისმგებლო უფლებამოსილების კონტროლის რეგულირების შესაძლებლობას განსაზღვრავს და გარკვეულწილად ქმნის ისეთი სახის ზიანის პრევენციის საშუალებას, რომლის დადგომამ შესაძლოა გამოიწვიოს სისხლის სამართლის კოდექსის

332-ე და 342-ე მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტი შესაბამისობაშია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 21 ივლისის № 140 ბრძანების მე-6 მუხლის მოთხოვნებთან, ვინაიდან აღნიშნული ნორმა აღსრულების ეროვნულ ბიუროს განუსაზღვრავს ვალდებულებას კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის ზომის შერჩევისას გაითვალისწინოს დარღვევის შინაარსი და სიმძიმე, ის შედეგები, რომლებიც მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა ასეთ დარღვევას, კერძო აღმასრულებლის საქმიან და მორალურ რეპუტაციას. მ. ზ-ის სამსახურებრივი სტატუსიდან გამომდინარე, სააღსრულებო საქმიანობის განხორციელების პროცესში ზედმინევენით უნდა დაეცვა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კერძო აღმასრულებლის საქმიანობისათვის დადგენილი მოთხოვნები, ნორმატიული აქტით დადგენილი წესით მოთხოვნისთანავე გამოცხადებულიყო გენერალურ ინსპექციაში შესაბამისი ახსნა-განმარტებისათვის და წარედგინა მოთხოვნილი მასალები. თუმცა, მ. ზ-ის მხრიდან მისთვის დაკისრებული მოვალეობების ჯეროვან შესრულებას ადგილი არ ჰქონია, მის მიერ ჩადენილი ქმედებები მიმართულია საჯარო მოსამსახურისათვის – კერძო აღმასრულებლისათვის დადგენილი პროფესიული ნორმების წინააღმდეგ. ამასთან, მოსარჩელის მიერ არც სამართალწარმოების რომელიმე ეტაპზე ყოფილა წარმოდგენილი საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი, საქმეში დაცული დოკუმენტების გამაქარწყლებელი უტყუარი მტკიცებულებები. ამდენად, ჩარევის კანონიერი საფუძვლისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს ლეგიტიმური მიზნის გათვალისწინებით, დასაბუთებულია კასატორების პოზიცია კერძო აღმასრულებლის – მ. ზ-ის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის სახით სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების კანონიერად მიჩნევის თაობაზე, რამდენადაც დადასტურებულია მ. ზ-ის მხრიდან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების არსებითი დარღვევა, რომლებიც ატარებდა არაერთჯერად, სისტემატიურ ხასიათს და საქმიანობის შესრულების დროს ქმნიდა მნიშვნელოვან რისკებს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. სადავო აქტი შეესაბამება, მისი გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილ როგორც ფორმალურ, ასევე მატერიალურ მოთხოვნებს, რაც საკასაციო საჩივრების დასაბუთებულად მიჩნევისა და მათი დაკმაყო-

ფილების წინაპირობაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორ სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს უნდა აუნაზღაუროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 450 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ზ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მოსარჩელეს – მ. ზ-ეს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და

საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – (150+300) 450 ლარის ანაზღაურება;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამუშაოდან გათავისუფლება მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-857-853(კ-17)

20 ივნისი, 2019წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელოსა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

14.09.2016წ. მოსარჩელე ბ. ო-მა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდეგ მოითხოვა გამოცემის მომენტიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 29.08.2016წ. №31 1164 ბრძანების ბათილად ცნობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ბ. ო-ის გამგეობის ...ის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენის დავალება; იძულებითი შრომითი განაცდურის გადახდა და მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის გამო, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის მორალური ზიანის, 500 ლარის, გადახდის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის 17 სექტემბრიდან მუშაობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, საიდანაც წყალტუბოს მუნიციპალიტე-

ტის გამგებლის 29.08.2016წ. ბრძანებით უკანონოდ გაათავისუფლეს. ხსენებული ბრძანება არ შეიცავს დასაბუთებას სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზის თაობაზე. გასათვალისწინებელია, რომ ბ. ო-ის მიმართ გათავისუფლებამდე რაიმე დისციპლინური ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა. მოსარჩელე თვლის, რომ ბრძანების გამოცემის საფუძველი გახდა 08.10.2016წ. არჩევნებში მისი „...“ მაჟორიტარობის კანდიდატად მონაწილეობა, რითაც დაირღვა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მოთხოვნები, მის მიმართ განხორციელდა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დასკვნა კანონის მოთხოვნათა დარღვევით არის მიღებული, რადგან დასკვნაში მითითებული გეგმიური შემომწმების ჩატარების შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის სამსახურის უფროსს (ბ. ო-ს) შეტყობინება არ მიუღია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 19.09.2016წ. განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა წყალტუბოს მაგისტრატ სასამართლოს.

წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლოს 10.04.2017წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტად ბათილად იქნა ცნობილი ბ. ო-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 29.08.2016წ. №31 1164 ბრძანება; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბ. ო-ი 2014 წლის 17 სექტემბრიდან მუშაობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში ...ის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 29.08.2016 წ. №31 1164 ბრძანებით ბ. ო-ი გათავისუფლდა სამსახურიდან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის, 60.4 მუხლისა და 59.2 მუხლის საფუძველზე, ბრძანებაში გათავისუფლების საფუძველად მითითებული არ ყოფილა გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 25.08.2016წ. დასკვნის თაობაზე. ...ის სამსახურის საქმიანობაში მოქმედი რეგულაციების მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამოვლენის შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის დ. კ-ის მიერ ხელმო-

წერილი 25.08.2016წ. შედგენილი დოკუმენტით (დასკვნით) 2016 წლის პირველ და მეორე კვარტალში შესრულებული სამუშაოები ერთმნიშვნელოვნად შეფასდა უარყოფითად, დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების სისტემატურად, არაჯეროვნად შესრულების გამო, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გამგეობისის სამსახურის უფროსის ბ. ო-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის დაყენება. დოკუმენტს ერთვოდა 26.08.2016წ. ოქმი, რომლის მიხედვით ბ. ო-მა უარი განაცხადა დასკვნაში მითითებული დარღვევების თაობაზე თავისი პოზიციის დაფიქსირებაზე, დასკვნის გაცნობის აქტზე ხელის მოწერასა და ხელისმოწერაზე უარის თქმის მიზეზის განმარტებაზე. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის თათბირების ოქმებიდან გამომდინარე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გამგეობის სამსახურის უფროსებს და მათ შორის ბ. ო-ს 2016 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში გამგებლის მიერ მიეცათ დავალება, უზრუნველყოთ ვადების დაცვით წერილების შესრულება, აღნიშნულ ოქმებში სამსახურის უფროსების მიმართ თავიანთი უფლებამოსილებების არაჯეროვნად შესრულების ან სამსახურეობრივი უფლებამოსილებების სისტემატურად დარღვევის ფაქტის თაობაზე, არ არის მითითებული რაიმე სახის შენიშვნა, 29.07.2016წ. განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის.....ის სამსახურის 2016 წლის პირველ-მეორე კვარტალში განეული მუშაობა შეფასდა დადებითად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის სამსახურის მიერ 2015 წლის ბოლოს სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა მიმართ ერთჯერადი ფულადი დახმარების განევის მიზნით, შედგენილ იქნა ბიუჯეტის პროექტი, რომელსაც ხელი მოაწერა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ი. გ-ამ. პროექტს საფუძვლად დაედო სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ზეპირი ინფორმაცია ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ. 2016 წლის იანვრის თვეში გამგეობაში გათვალისწინებულზე მეტი განცხადების შემოსვლისთანავე სამსახურის უფროსმა ბ. ო-მა და სამსახურის სპეციალისტმა ნ. ჩ-ემ ინფორმაცია გადაამოწმეს ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრში, საიდანაც იგივე პასუხი მიიღეს, თუმცა შემდგომში ოფიციალურად გაგზავნილი წერილით ბენეფიციართა რაოდენობა სამჯერ მეტი აღმოჩნდა. არასრული ინფორმაციის საფუძველზე ბიუჯეტის არასწორი დაგეგმის გამო ბენეფიციართა განცხადებები ვადების დარღვევით დაკმაყოფილდა. აღნიშნულის თაობაზე 2016 წლის იანვრის თვეში უკვე იცოდნენ გამგებელმა და მისმა პირველმა მოადგილემ, თუმცა ბ. ო-ის ან სხვა პირების პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. დადგინდა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეო-

ბისის სამსახურის მიერ შესასრულებლად გადანეროდ განცხადებების ნაწილზე, დარღვეული იქნა შესრულების ვადები. დარღვევების არსებობის შესახებ გამგეობისთვის თებერვლის თვეში გახდა ცნობილი, თუმცა აღნიშნული დარღვევების გამომწვევი მიზეზების თაობაზე რაიმე სახის მოხსენებითი ბარათები მუნიციპალიტეტის გამგებელთან არ წარდგენილა. ამასთანავე, ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემაზე სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების მიერ გამგეობაში წარდგენილი ყველა განცხადება დაკმაყოფილდა, თუმცა აღნიშნული განხორციელდა ვადების დარღვევით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სზაკ-ის 96.1 მუხლი ცალსახად ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების, ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ ყოფილა გამოკვლეული. აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში (სზაკ-ის 95.2 მუხლი).

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა ბ. ო-ის მხრიდან სამსახურეობრივი უფლებამოსილების არაჯეროვნად შესრულების ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენას, ასევე არ დასტურდება მოსარჩელის მონაწილეობის ფაქტი ადმინისტრაციულ წარმოებაში. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ორგანოს მხრიდან ბ. ო-ის შემოწმების ხასიათზე და აღნიშნა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ შედგენილი დოკუმენტის მიხედვით გამგეობის ...ის სამსახურის გეგმიური შემოწმება ჩატარდა, რა დროსაც გამოვლინდა სამსახურეობრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების ფაქტები. სასამართლო სხდომაზე მოპასუხეთა განმარტების მიხედვით კი, შემოწმებას ჰქონდა „მოულოდნელი“ ხასიათი. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული წინააღმდეგობა გაურკვეველს ხდის 2016 წლის აგვისტოში ბ. ო-ის „მოულოდნელი“ შემოწმების მიზეზს მაშინ, როდესაც გამგეობის პა-

სუხისმგებელი პირებისათვის ჯერ კიდევ თებერვალში იყო ცნობილი გარკვეული დარღვევების შესახებ და ამ ფაქტებს რეაგირება არ მოჰყოლია. ამასთანავე, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური უფლებამოსილი არ იყო ბ. ო-ის მონაწილეობის გარეშე, შესაბამისი მოხსენებითი ბარათის მიუღებლად, შეედგინა დასკვნა, რომელიც მოპასუხის წარმომადგენლის ზეპირი ახსნა-განმარტების თანახმად, გახდა ბ. ო-ის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ორგანოს მითითება დისკრეციულ უფლებამოსილებაზე არარელევანტურია, რადგან დისკრეციის გამოყენება ხდება წარმოების ჩატარების შემდეგ, განსახილველ შემთხვევაში კი, წარმოება არ ჩატარებულა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაუწყვეტად ბათილად იქნა ცნობილი ბ. ო-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 29.08.2016წ. №31 1164 ბრძანება, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სასამართლომ აღნიშნა აგრეთვე, რომ გამოკვლევას საჭიროებდა ბ. ო-ის ბრალეულობის საკითხი და დამდგარი შედეგის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობები.

წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლოს 10.04.2017წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. ბ. ო-მა მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს 10.04.2017წ. გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოითხოვა ბ. ო-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლოს 10.04.2017წ. გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.07.2017წ. გადაწყვეტილებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლოს 10.04.2017წ. გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ბ. ო-ს უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, სზაკ-ის 53-ე მუხლზე, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ მე-3, მე-6 მუხლებზე, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 5.1, 23.1, 23.2,

48.1, 48.2, 52.1, 54.1, 56.2, 59-ე. 60.1, 60.4 მუხლებზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავო იყო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტის დასაბუთების საჭიროება. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 60.1 მუხლის მიხედვით გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი/მერი. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია გამგებლის/მერის წინაშე. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პირის შერჩევა არ ხდება კონკურსის წესით, მას თანამდებობაზე ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ნიშნავს გამგებელი/მერი, რაც უდავოდ მოწმობს, რომ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი უნდა სარგებლობდეს გამგებლის ნდობის მაღალი ხარისხით. სააპელაციო პალატამ მიუთითა უზენაესი სასამართლოს განჩინებაზე (№ბს-638-613(კ-13)), რომლის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ თავიანთი უფლებამოსილებების ფარგლებში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება ემყარება თვითმმართველობის პოლიტიკურ იდეას. თვითმმართველობა წარმოადგენს ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელიც საკუთარ საქმეებს საკუთარი პასუხისმგებლობით აწესრიგებს. პალატამ მიიჩნია, რომ გამგებელი/მერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებას, ამასთან ის პასუხისმგებელია საკრებულოს წინაშე. გამგებლის/მერის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებაც მნიშვნელოვნად ემყარება თვითმმართველობის პოლიტიკურ იდეას, რაც ამ პროცესში აფართოებს თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირის დაკისრებული უფლებამოსილების არეალს. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელი უფლებამოსილი იყო გასაჩივრებულ აქტში მითითებული საფუძვლით მიეღო გადაწყვეტილება გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.07.2017წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ. ო-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სას.კ-ის 393.2, 394-ე მუხლების მოთხოვნები, რადგან არასწორად შეაფასა საქმის მასალები, გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია. სააპელაციო პალატას არ უმსჯელია სააპელაციო სა-

ჩივრის მოტივებზე. ბ. ო-ი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არ გულისხმობს მართლმსაჯულების ფორმალურად განხორციელებას. აღნიშნული პროცესუალური უფლებამოსილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სსკ-ის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციას. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს გადაწყვეტილება სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით, სააპელაციო საჩივარში ასახული მოტივების გათვალისწინებით. სადავო ბრძანება კასატორის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ არ შეიცავს დასაბუთებას მისი გამოცემის საფუძვლებთან დაკავშირებით. ბ. ო-მა მხოლოდ შესაგებლით გაიგო, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებას, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 25.08.2016წ. დასკვნა დაედო საფუძვლად. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ აღნიშნული დასკვნა არ არის კანონის შესაბამისად გამოცემული და იგი ეწინააღმდეგება გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების მე-4 მუხლს, რომლის თანახმად სამსახური ვალდებულია შიდა აუდიტორული შემოწმების დაწყებამდე შიდა აუდიტის ობიექტს წარუდგინოს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი შემოწმების ხასიათიდან და კონკრეტული საქმის მასალების თავისებურებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შემოწმების ჩატარება შემოწმების ობიექტის წინასწარ ინფორმირების გარეშე. აღნიშნული პროცედურა დაცული არ ყოფილა, უფრო მეტიც, სათაურის არ არსებობის გამო, გაურკვეველია 25.08.2016წ. დოკუმენტი შუალედური ანგარიშის პროექტია თუ საბოლოო დასკვნა.

ბ. ო-ი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ დასკვნას არ გააჩნია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული სავალდებულო რეკვიზიტები. აგრეთვე მოწინააღმდეგე მხარემ ვერ წარადგინდა კანონით დადგენილი წესით შედგენილი მოხსენებითი ბარათი ან სხვა დოკუმენტი. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილი ელექტრონული საქმის წარმოების წესის თანახმად, რეგისტრაციას ექვემდებარება გამგეობაში შექმნილი ან/და სხვა დანესებულებიდან, აგრეთვე ფიზიკური პირისგან შემოსული ყველა დოკუმენტი, მათ შორის ელექტრონული ფორმით. გამგეობაში დოკუმენტების რეგისტრაცია ხდება მხოლოდ ერთხელ – შემოსვლის ან ხელმოწერის დამტკიცების დღეს. წინასწარი განხილვისა და ელექტრონულ ფორმატში გადაყვანის შემდეგ შემოსული დოკუმენტი მიმდგრებული დანართით სარეზოლუციოდ გადაეგზავნება გამგეობის ხელმძღვა-

ნელობას ან უშუალოდ შემსრულებელს, რაც განსახილველ შემთხვევაში დაცული არ ყოფილა. თუმცა სააპელაციო სასამართლომ ეს ფაქტობრივი გარემოება დასაბუთების გარეშე დატოვა. შესაბამისად, სახეზეა გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

ბ. ო-ი თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორი შეფასება მისცა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 60.1 მუხლს, რადგან არ შეიძლება გამგებლის/მერის უფლებამოსილება განხორციელდეს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „თვითმმართველობის ევროპული ქარტიისა“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის პრინციპების დარღვევით. როდესაც საქმე ეხება, სამსახურობრივი მოვალეობების არაჯეროვნად და არაკეთილსინდისიერად შესრულების გამო, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას, გამგებელი/მერი ვალდებულია დაასაბუთოს რაში მდგომარეობს მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების ფაქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში გამგებლის/მერის გადაწყვეტილება მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. მით უფრო, როდესაც მოსარჩელე უთითებს პოლიტიკური შეხედულებების გამო გათავისუფლებაზე, ასეთ დროს აქტი დასაბუთების უფრო მაღალ სტანდარტს უნდა პასუხობდეს. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ სააპელაციო პალატას არ უმსჯელია დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადასტურების შესახებ ბ. ო-ის მოთხოვნაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლის შესწავლის და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ ბ. ო-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული გადაწყვეტილება საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას სააპელაციო საჩივრების მოტივებზე, ბ. ო-ის სააპელაციო საჩივარი უარყოფილ იქნა აპელანტის მოსაზრებების გაქარწყლების გარეშე, ხოლო გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივრის მხოლოდ ერთი მოსაზრების – გამგეობის დისკრეციული უფლებამოსილების გაზიარების გამო, სააპელაციო საჩივრის დანარჩენ მოტივებზე მსჯელობის გარეშე. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილი შედგება სზაკ-ის 53-ე მუხლის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ მე-3, მე-6 მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-5, 23-ე, 48-ე, 52-ე, 59-ე, მე-60 მუხლების ციტირებები-

საგან, ასევე №ბზ-638-613(კ-13) საქმეზე საკასაციო სასამართლოს განჩინების მოტივაციის ნაწილის ციტირებისაგან და აღნიშნულის საფუძველზე სააპელაციო პალატის დასკვნისაგან, რომ გამგებლის/მერის მიერ აქტის მიღება მნიშვნელოვანწილად ემყარება თვითმმართველობის პოლიტიკურ იდეას, რაც აფართოებს თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირის დისკრეციული უფლებამოსილების არეალს. აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელი უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბ. ო-ი დასაქმებული იყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.11.2017წ. №42 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14.07.2004წ. №20 დადგენილება და დამტკიცდა „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულება“, ამდენად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამონაცვლეა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია). წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 29.08.2016წ. №31 1164 ბრძანებით მოსარჩელე, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 54.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 60.4 და 59.2 მუხლების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მითითებული ბრძანების გამოცემის დროისათვის მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 60.1 მუხლის თანახმად, გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი/მერი. 2017 წლის 1-ელ ივლისს ამოქმედდა ზემოხსენებული მუხლის ახალი რედაქცია, რომლის თანახმად გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი/მერი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, აღნიშნულ ნორმას უკუქცევითი ძალა არ აქვს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 17.10.2017წ. №3/5/626 გადაწყვეტილებით საქართველოს კონსტი-

ტუციის იმჟამად მოქმედი რედაქციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 2017 წლის 1-ელ ივლისამდე მოქმედი რედაქციის 60.1 მუხლი, კერძოდ გამგებლის/მერის უფლებამოსილება გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში.

საქმეში დაცულია „წყალტუბოს გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების დროს „გამგეობის ...ის სამსახურის“ საქმიანობაში, მოქმედ რეგულაციებთან შეუსაბამობის გამოვლენის შესახებ“ 25.08.2016წ. დასკვნა, რომლის თანახმადაც, შემოწმების დროს გამოვლინდა სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების სისტემატურად დარღვევის ფაქტები. დასკვნის შესაბამისად, გამგეობის ...ის სამსახურის უფროსის მიერ 2016 წლის პირველ და მეორე კვარტლებში შესრულებული სამუშაოები ერთმნიშვნელოვნად შეფასდა მხოლოდ უარყოფითად და მიზანშეწონილად ჩაითვალა სამსახურის უფროსის – ბ. ო-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის განხილვა. აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 29.08.2016წ. №31 1164 ბრძანებაში გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ზემოსვენებული დასკვნისა და მოსარჩელის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების სისტემატურად დარღვევის ფაქტების თაობაზე მითითებული არ არის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო აქტის გამოცემისას მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 11.1 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება, გარდა ამ მუხლის 1¹ და 1² პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ვრცელდება და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრზე, მუნიციპალიტეტის გამგებელზე/მერზე, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მოადგილეზე, მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მოადგილეზე, გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებელზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა/გათავისუფლების წესი და საფუძვლები განისაზღვრებოდა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“. კოდექსის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 60.1 მუხლის თანახმად გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხე-

ლე, მას თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი/მერი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობრივი შეუთავსებლობის, აგრეთვე უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები წესრიგდება 58-ე და 59-ე მუხლების შესაბამისად. კოდექსის 59.2 მუხლის მიხედვით გამგებლის/მერის პირველ მოადგილესა და მოადგილეს უფლებამოსილებები უწყდებოდათ აგრეთვე გამგებლის/მერის მიერ თანამდებობებიდან მათი გათავისუფლების შემთხვევაში.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გამგებლის/მერის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება მნიშვნელოვანწილად ემყარება თვითმმართველობის პოლიტიკურ იდეას, რაც ამ პროცესში აფართოებს თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირის დისკრეციული უფლებამოსილების არეალს. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არის საჯარო მოხელე, რომელიც წარმართავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ ერთეულისთვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებისათვის, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი უნაწილებს ფუნქციებს სტრუქტურული ერთეულის მოხელეებს, განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესებს, ფორმებსა და მეთოდებს, სტრუქტურული ერთეულის მოხელეთა თანამდებობრივ მოვალეობებს, წარუდგენს მერს სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, პერიოდულად წარუდგენს მერს ანგარიშს სტრუქტურული ერთეულის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია მერის წინაშე („ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-60 მუხ.). ამავეს ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14.07.2014წ. №20 დადგენილებით დამტკიცებული „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება“. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 01.02.2016წ. №31 106 ბრძანებით დამტკიცებული „წყალტუბოს გამგეობის ...ის სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივი ინსტრუქციის“ თანახმად, სამსახურის უფროსი უზრუნველყოფს სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მობილიზებას, მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაზე ზედამხედველობას, სოციალურ სფეროში თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხორციელების უზრუნ-

ველყოფას, უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით წინადადებების მომზადებას კომპეტენციის ფარგლებში და უსახლკაროთა რეგისტრაციის წარმოებაზე ზედამხედველობას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, მიზნობრივი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე ზედამხედველობასა და სხვ.. შესაბამისად, ხსენებული თანამდებობის პირი არ განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ძირითად, პოლიტიკურ მიმართულებებს, არამედ ის ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში, ხელმძღვანელობას უწევს კონკრეტული დარგის განვითარებასა და ხელშეწყობას. მისი სამსახურებრივი მოვალეობა არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უკვე განსაზღვრული პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია, შესაბამისად, გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი წარმოადგენს პროფესიულ და არა პოლიტიკურ თანამდებობის პირს.

თანამდებობის სახეობებს შორის არის როგორც პოლიტიკური ნიშნით გამორჩეული, ისე წმინდად პროფესიული ბუნებით იდენტიფიცირებადი თანამდებობები. პროფესიული თანამდებობის პირები არ იღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, არ ხდება მათ მიმართ პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრება, პროფესიული თანამდებობის მქონე პირის ფუნქციებში ნაკლებადაა მიზანშეწონილობის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები და კონკრეტული დისკრეციული უფლებამოსილებები უმთავრესად კანონის მიერ არის ზღვარდადებული და არ მოიცავს პოლიტიკური მიზანშეწონილობის ფარგლებში პოლიტიკური პასუხისმგებლობით გადაწყვეტილების მიღებას. პროფესიული თანამდებობის პირის მიერ დაკისრებული ფუნქციების შესრულება მხოლოდ სამართლებრივი პასუხისმგებლობის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს. სტრუქტურული ერთეულები წარმოადგენენ იმ ერთეულებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის გამგეობას/მერიას, ხოლო ეს უკანასკნელი განეკუთვნება გამგებლის/მერის უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველყოფ ორგანოს. თითოეული სტრუქტურული ერთეულის არსებობა, მისი ფუნქციონირება, საბოლოოდ, სწორედ გამგებლის/მერის უფლებამოსილებათა აღსრულებას ემსახურება. გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არის გამგეობის/მერიის თანამდებობის პირი, რომელიც ითვლება ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ (საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 60.1 მუხ.). სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის საქმიანობა, მისი უფლებამოსილებები შემოიფარგლება კონ-

კრეტული, მის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულის ეფექტური ფუნქციონირების და ამ ერთეულის ორგანიზაციული გამართულობის უზრუნველყოფით, მისი ძირითადი მოვალეობაა სწორედ სტრუქტურული ერთეულის შიგნით კონკრეტულ შესასრულებელ ამოცანათა განაწილება და მათი შესრულების ორგანიზება. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი წარმოადგენს იმ საჯარო თანამდებობის პირს, რომელიც საკუთარი, კანონით განერილი უფლებამოსილებებისა და ფუნქციების ფარგლებში ეხმარება გამგებლის/მერის ამოცანათა პრაქტიკულ რეალიზაციას. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის საქმიანობაში უმთავრესია კონკრეტული დავალების, უფლებამოსილების სრულყოფილი, მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულება, მიუხედავად შემსრულებელი პირის პოლიტიკური მსოფლმხედველობისა. სწორედ შესასრულებელ ფუნქციათა/დავალებათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება შეიძლება გახდეს მისი პასუხისმგებლობის საფუძველი. მართალია, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი წარმოადგენს გამგებლის/მერის წინაშე პასუხისმგებელ პირს, თუმცა ის არის დამოუკიდებელი ფუნქციების მქონე თანამდებობის პირი, მას გააჩნია დამოუკიდებელი ამოცანები, მოქმედების არეალი, სფერო, მისი ფუნქციები, თანამდებობის არსი, მიზანი არ დაიყვანება მხოლოდ ზემდგომი თანამდებობის პირის ფუნქციების შესრულების ფორმალურ ხელშეწყობამდე, ერთეულის ხელმძღვანელის ფუნქციონალურ დატვირთვას თვითმყოფადი ბუნება აქვს, ამ თანამდებობის არსი გულისხმობს არა კონკრეტული პოლიტიკური გუნდისა თუ გამგებლის/მერის პოლიტიკური შეხედულებებისადმი ერთგულებას, არამედ მისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის კანონმდებლობის შესაბამისად გაძღოლას. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროს მოქმედი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-60 მუხლი არაორაზროვნად ადგენდა, რომ გამგებლის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი/მერი. ამასთანავე, კანონი არ შეიცავდა არანაირ მითითებას სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გათავისუფლებასთან დაკავშირებით გამგებლის დისკრეციის შეზღუდვაზე. ამასთანავე, სადავო აქტის გამოცემის დროს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურიდან გათავისუფლების წესი ექსკლუზიურად ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით წესრიგდებოდა (შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 60.1 მუხლის განახლებული რედაქცია ით-

ვალისწინებს მერის მიერ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნას და გათავისუფლებას „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის საფუძველზე). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 17.10.2017წ. №3/5/626 გადაწყვეტილებით, იმჟამად მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-60 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები „და თანამდებობიდან ათავისუფლებს“ და მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 59-ე მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „გამგებლის/მერის პირველ მოადგილესა და მოადგილეს უფლებამოსილებები უწყდებთ აგრეთვე ახალი გამგებლის/მერის არჩევისას (უფლებამოსილების დაწყებისას)“ გავრცელებას გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიმართ.

საერთო იურისდიქციის სასამართლოები კონკრეტული საქმეების გადაწყვეტისას არ არიან უფლებამოსილი მისცენ ნორმას ისეთი მნიშვნელობა, განმარტება, რომელიც სცილდება, ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განჩინებაში გამოვლენილ მნიშვნელობას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების გამოცხადებიდან, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლით არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. იმის გამო, რომ აქტის არაკონსტიტუციურობა არ ვრცელდება არაკონსტიტუციურად გამოცხადებამდე აქტით მოწესრიგებულ სამართალურთიერთობებზე, ერთი და იგივე ურთიერთობა შესაძლოა განსხვავებულად იქნეს მოწესრიგებული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობამდე და მის შემდეგ. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა საერთო წესის მიხედვით არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე საერთო სასამართლოების მიერ ადრე გამოტანილი, კანონიერ ძალაში მყოფი და აღსრულებული გადაწყვეტილების გაუქმებას (სუსგ 17.07.03წ. №3გ/ად-187-კ-02; 22.04.04წ. №ბს-1074-15-ა-03). ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ იძლევა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის უკუქვევითი ძალის მინიჭების შესაძლებლობას, ვინაიდან არ ითვალისწინებს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტების საფუძველზე საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვის მექანიზმს. ამასთანავე, მიუხედა-

ვად იმისა, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი საერთო სასამართლოების განჩინებები და გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება გაუქმებას, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, საერთო სასამართლოების ასეთი გადაწყვეტილებები და განჩინებები, რომლებიც ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობამდე არ აღსრულებულა, არ ექვემდებარებიან აღსრულებას. რაც შეეხება მოცემულ შემთხვევას, მოცემულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება მიღებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, თუმცა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ძალაში არ შესულა, ის საკასაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო პრაქტიკაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება, საერთო სასამართლოები არ არიან უფლებამოსილი მოახდინონ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსაბამო განმარტება. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 7.4 მუხლის თანახმად, თუ საქმის განმხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციას არ შეესაბამება ნორმატიული აქტი, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად. ამდენად, ის გარემოება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, არ ადასტურებს მის მართლზომიერებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ წყალტუბოს გამგებელი მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას შეუზღუდავი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას არ ადასტურებს სააპელაციო პალატის მითითება საკასაციო სასამართლოს 13.03.2014წ. განჩინებაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის მიერ მითითებული უზენაესი სასამართლოს განჩინება ეხებოდა განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოლეგიური ორგანოსათვის – საკრებულოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ განსაკუთრებულ, ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება განსახილველი შემთხვევისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის მართებული სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ სადავო ურთიერთობაზე უნდა გავ-

რცელდეს საკასაციო სასამართლოს მიერ 13.03.2014წ. №ზს-638-613(კ-13) განჩინებაში მოყვანილი მსჯელობა.

მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა არა გამგებლის არჩევის გამო უფლებამოსილების შეჩერება/შენწყვეტას (სადავო აქტის გამოცემის პერიოდში მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 60.4, 59.1 მუხ.), არამედ უფლებამოსილების შეწყვეტას გამგებლის მიერ თანამდებობიდან გათავისუფლების გამო (60.4, 59,2 მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტის გამოცემის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით მერს/გამგებელს ჰქონდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გათავისუფლების შესაძლებლობა და არა იმპერატიული ვალდებულება. ამასთანავე, მოპასუხე ორგანო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ბ. ო-ის მიერ მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება და არა მისი პოლიტიკური შეხედულებები. საქმეში დაცული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაგებლის, სააპელაციო საჩივრის და საქმის განხილვის განმავლობაში მოპასუხის მიერ გაჟღერებული მოსაზრებების თანახმად, ბ. ო-ის თანამდებობიდან გათავისუფლება მის მიერ მოვალეობების არაჯეროვანმა შესრულებამ განაპირობა. მოპასუხის მიერ წარმოდგენილია წყალტუბოს გამგეობის „შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების დროს გამგეობის ...ის სამსახურის საქმიანობაში მოქმედ რეგულაციებთან შეუსაბამობის გამოვლენის შესახებ“ 25.08.2016წ. დასკვნა, რომელიც წინ უსწრებს სადავო ბრძანების გამოცემას და რომლის მიხედვითაც გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ბ. ო-ის თანამდებობიდან გათავისუფლება. მოპასუხის მოსაზრებით, სწორედ აღნიშნული დასკვნა ადასტურებს ბ. ო-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვან შესრულებას და, შესაბამისად, მისი თანამდებობიდან გათავისუფლების მართლზომიერებას. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა თავის სააპელაციო საჩივარში სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო აქტის საფუძვლად უთითებდა არა მხოლოდ ერთპიროვნული პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უნარზე და თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირის დისკრეციული უფლებამოსილების გაფართოების არეალზე, არამედ უპირველეს ყოვლისა ბ. ო-ის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სისტემატიურ არაჯეროვან შესრულებაზე, თვეების განმავლობაში სამსახურის მუშაობის რიგი დარღვევებით წარმართვაზე, აღნიშნულის შესახებ გამგებლის მიერ არაერთგზის თათბირებზე ყურადღების გამახვილებაზე და სხვ. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გა-

დანყვეტილება საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას ზემოხსენებულ გარემოებებთან დაკავშირებით. პალატას არ უმსჯელია ბ. ო-ის გათავისუფლების იმ ფაქტობრივ საფუძვლებზე, რომლებითაც მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ასაბუთებდა სადავო ბრძანების კანონიერებას. ზემოაღნიშნული, აგრეთვე ბ. ო-ის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ხასიათი და ფუნქციონალური დატვირთვა, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გარკვევისათვის ცალსახად ადასტურებდა მოსარჩელის საქმიანობის მიმართ არსებული პრეტენზიების მართლზომიერების და საფუძვლიანობის გარკვევის საჭიროებას, რასაც სააპელაციო სასამართლომ თავი აარიდა და შემოიფარგლა ადმინისტრაციის დისკრეციული უფლებამოსილებების განხორციელებაზე მითითებით.

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს შრომის თავისუფლებას, რომელიც მოიცავს ინდივიდის არა მხოლოდ სამუშაოს არჩევის, არამედ ასევე ამ სამუშაოს განხორციელების, შენარჩუნებისა და დათმობის უფლებას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 28.02.1997წ. №2/4-24, 26.10.07წ №2/4-24 გადაწყვეტილებები). ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 6.1 მუხლის, ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია შეადგენს შრომითი უფლებების დაცვისათვის ქმედითი მექანიზმების შექმნა. სახელმწიფოს მიერ ხსენებული ვალდებულებების ზედმიწევნით განხორციელება განსაკუთრებით აქტუალურია საჯარო სექტორში, სადაც სახელმწიფო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ, თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს, ხოლო მეორე მხრივ, იგი თავად გვევლინება დამსაქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმებულ საჯარო მოხელეთა უფლებების, განსაკუთრებით კი შრომითი უფლებების დაცვის სავალდებულო ხარისხს. საჯარო მოსამსახურე კონკრეტული გადანყვეტილების, მით უფრო საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას შეზღუდულია კანონიერების პრინციპით, რომლის მიხედვით საჯარო მოსამსახურე თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად (სზაკ-ის მე-5 მუხ.). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენს დის-

ციპლინური პასუხისმგებლობის უკიდურეს ზომას და მისი გამოყენების აუცილებლობა უტყუარი მტკიცებულებებით უნდა დასაბუთდეს. „წყალტუბოს გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების დროს „გამგეობის ...ის სამსახურის“ საქმიანობაში, მოქმედ რეგულაციებთან შეუსაბამობის გამოვლენის შესახებ“ 25.08.2016წ. დასკვნის თანახმად, რომლის საფუძველზეც გამოიცა სადავო აქტი, შემოწმების დროს გამოვლინდა სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების სისტემატიურად დარღვევის ფაქტები, კერძოდ, დასკვნის თანახმად სამსახურის უფროსის მხრიდან, მასზე მინიჭებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ბრალეული შეუსრულებლობით უგულებელყოფილი იქნა კანონმდებლობის მოთხოვნები, სახეზე იყო ადმინისტრაციული წარმოების ვადის გადაცილებით დასრულებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის კომისიისათვის დაგვიანებით გადაცემის ფაქტები, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყვლადი ფენის (სოციალურად დაუცველი ოჯახების) მიმართ გულგრილი დამოკიდებულების ფაქტები, რაც მათი განცხადებების ვადის გადაცილებით განხილვაში გამოიხატა. წყალტუბოს გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მოსაზრებით, ბ. ო-ს დასკვნაში მითითებული დარღვევების აღმოსაფხვრელად არ განუხორციელებია რაიმე სახის პრევენციული ღონისძიება. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩაითვალა მისი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის განხილვა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დასკვნის მის გათავისუფლებამდე არსებობას და აღნიშნავდა, რომ იგი სადავო ბრძანების გამოცემის შემდეგ შეიქმნა. ამ პირობებში, სააპელაციო პალატას საქმეში წარმოდგენილ სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთკავშირში უნდა შეეფასებინა ზემოხსენებული დასკვნა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 140.3 მუხლის, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ 26.03.2010წ. კანონის 19.3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 21.9 მუხლის თანახმად შიდა აუდიტის განხორციელებამდე შიდა აუდიტორი ვალდებულია შიდა აუდიტის ობიექტს წარუდგინოს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა, ამასთანავე აუდიტის შედეგების ამსახველი შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი უნდა წარდგენილიყო შიდა აუდიტის ობიექტისათვის, ობიექტის მოსაზრება აისახება საბოლოო შიდა აუდიტორულ ანგარიშში, თუ შიდა აუდიტის სუბიექტი და შიდა აუდიტის ობიექტი ვერ თანხმდებიან საბოლოო შიდა აუ-

დიტორულ ანგარიშში ასახულ რეკომენდაციებზე, შიდა აუდიტის სუბიექტი შეუთანხმებელ რეკომენდაციებს შესაბამისი გადანყვეტილების მისაღებად უგზავნის დაწესებულების ხელმძღვანელს (23-ე მუხ.). სააპელაციო სასამართლოს არ გაურკვევია ხსენებული წესების დაცვით შიდა აუდიტის ჩატარება. სააპელაციო პალატის მიერ საქმეზე არ დადგენილა დასკვნის მოსარჩელისათვის გაცნობის ფაქტი, მოსარჩელე უარყოფს გაცნობაზე უარის განცხადებას. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის 2016 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული იყო „გამგეობის ...ის სამსახურის“ შემონმება აგვისტოს თვეში, ამასთანავე, მოპასუხე აღნიშნავს, რომ ადგილი ჰქონდა აუდიტის მოულოდნელ შემონმებას. სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს მთავრობის 30.07.2010წ. №1014 განკარგულებით დამტკიცებული „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის“ თანახმად, უკიდურესი აუცილებლობისას აუდიტის მოულოდნელად ჩატარების შემთხვევაში აუდიტის ობიექტს არ ეგზავნება აუდიტის დაწყების შესახებ ოფიციალური წერილი. შემონმების ჩატარება შემონმების ობიექტის წინასწარი ინფორმირების გარეშე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15.07.2014წ. №35 დადგენილებით დამტკიცებული „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების“ მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინვესტ შემონმების ინდივიდუალური გეგმის წარუდგენლად შემონმების ჩატარებას, აღნიშნული არ ათავისუფლებს შემონმებელს შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტის შემონმების ობიექტისათვის გაგზავნისაგან, რათა მან წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება და არგუმენტირებული პასუხი ანგარიშში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც უნდა აისახოს საბოლოო ანგარიშში (ხსენებული დებულების მე-4 მუხ. „გ“ ქვ.პ.). სააპელაციო პალატამ დავა გადანყვიტა შემონმების სახეობის, სამსახურის მოულოდნელად შემონმების სამართლებრივი საფუძვლების დადგენის გარეშე, არ გარკვეულა შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის დასკვნასა და „წყალტუბოს გამგეობის ...ის სამსახურის მიერ 2016 წლის I-II კვარტალში განუქული მუშაობის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29.07.2016წ. №94 განკარგულებას შორის კარდინალური სხვაობის მიზეზები (უკანასკნელის მიერ გამგეობის ...ის სამსახურის საქმიანობა დადებითად შეფასდა, საკრებულოს განკარგულება მიღებულ იქნა გამგეობის საკრებულოს წევრთა სრული მხარდაჭერით (მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0)). სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ბენეფიციართა განცხადებებზე ვადის დარღვევით რეაგირების თაობაზე გამგებელი და მისი

პირველი მოადგილე ინფორმირებულები იყვნენ ჯერ კიდევ 2016 წლის იანვრის თვეში, სააპელაციო პალატას არ გაურკვევია რეაგირების დაგვიანების მიზეზები. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ბ. ო-ი თანამდებობიდან გათავისუფლებას მისი არჩევნებში მონაწილეობის ფაქტს უკავშირებს. სააპელაციო პალატას არც აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით უმსჯელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას საქმე უნდა დაუბრუნდეს ხელახალი განხილვისთვის.

სსკ-ის მე-9 მუხლის, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სსკ-ის 55.3 მუხლის თანახმად, სასამართლო ხარჯის ორივე მხარის გათავისუფლების შემთხვევაში ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს, აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეებს არ ეკისრებათ სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. ბ. ო-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცია-

ციულ საქმეთა პალატის 06.07.2017წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ატანტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების გამო დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება

გადანყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-997(კ-18)

20 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 13 ნოემბერს მ. ჯ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2012 წლიდან მუშაობდა ქალაქ თბილისის მერიის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო 2013 წელს კონკურსის შედეგად დაიკავა იგივე თანამდებობა. 2014 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარებული ატესტაციის ფარგლებში მან ტესტირების ეტაპზე მოიპოვა 57 ქულა, ხოლო გასაუბრების ეტაპზე მიიღო უარყოფითი შეფასება და საბოლოოდ, 2014 წლის 17 ნოემბერს გათავისუფლდა სამსახურიდან.

მოსარჩელის მითითებით, სასამართლო გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი მისი სამ-

სახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების გამოკვლევის შემდეგ გამოეცა ახალი გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მ. ჯ-ასთან გაიმართა შეხვედრა, თუმცა რეალურად იგი არ წარმოადგენდა ხელახალ გასაუბრებას. შესაბამისად, ატესტაციის არადამაკმაყოფილებლად გავლის გამო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა 2016 წლის 15 ნოემბერს გამოსცა ბრძანება მ. ჯ-ას 2014 წლის 17 ნოემბრიდან თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

ამდენად, მოსარჩელემ მ. ჯ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 15 ნოემბრის №4240 ბრძანების ბათილად ცნობა, აგრეთვე, მოპასუხისათვის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მ. ჯ-ას გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მ. ჯ-ას სასარგებლოდ იძულებითი განაცდუმის, მისი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან მოცემულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე პერიოდისათვის, ყოველთვიურად 1700 ლარის ოდენობით ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. ჯ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის 2012 წლის 2 ნოემბრის №1388 ბრძანებით, მ. ჯ-ა, 2012 წლის 2 ნოემბრიდან, დაინიშნა ქალაქ თბილისის მერიის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლად.

ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის 2013 წლის 1 ოქტომბრის №1871 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მერიის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი მ. ჯ-ა, 2013 წლის 1 ოქტომბრიდან დაინიშნა ქალაქ თბილისის მერიის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, 2 თვის გამოსაცდელი ვადით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-სატესტაციო კომისიის 2014 წლის 17 ოქტომბრის №1 სხდომის ოქ-

მით, კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს შესათან-ხმებლად წარუდგინა: ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-რიის მოხელეთათვის ატესტაციის ჩატარების გრაფიკი დანართი 1-ის შესაბამისად; ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთათვის ატესტაციის ჩატარების ფორმები, პირობები და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მი-ღების ფორმა დანართი 2-ის თანახმად; გ) ქალაქ თბილისის მუნი-ციპალიტეტის მერიის მოხელეთათვის ატესტაციის პირველი ეტა-პის – ტესტირების მინიმალური გამსვლელი ზღვარის თაობაზე ინ-ფორმაცია, რომელსაც საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მო-საზრებით, მიზანშეწონილი იყო შეედგინა მოხელის მიერ გაცემუ-ლი სწორი პასუხების 75%, კერძოდ, 60 კითხვიდან არანაკლებ 45 სწორი პასუხი.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული ოქმის და-ნართებით დგინდებოდა, რომ მოხელის შეფასება ხდებოდა ორ ეტა-პად: 1. ტესტირება და 2. გასაუბრება, რომლის შეფასება ხდებოდა ორი კრიტერიუმით: ა) განუღი საქმიანობის შეფასება (შესაფა-სებლად გამოიყენება დადგენილი ფორმებით წარმოდგენილი მო-ხელის ხელმძღვანელის წერილობითი დახასიათება და მოხელის ინ-ფორმაცია); ბ) დასმულ შეკითხვებზე მიღებული პასუხების მიხედ-ვით პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება.

სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 ოქტომბრის №1182 ბრძანებით, ქალაქ თბილისის მუნიცი-პალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილი-სის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატეს-ტაციო კომისიას მიეცა თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალი-ტეტის მერიის მოხელეთათვის ატესტაციის პირველი ეტაპის – ტეს-ტირებისათვის მინიმალური გამსვლელი ზღვარის, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთათვის ატესტაცი-ის ჩატარების ფორმების, პირობების და საკონკურსო-საატესტა-ციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმის განსაზ-ღვრაზე, დანართების შესაბამისად.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, 2014 წლის 9 ოქტომბრის მოხელის მიერ განუღი სამუშაო ანგარიშით დგინდებოდა, რომ მ. ჯ-ამ მონაწილეობა მიიღო განყოფილების მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებაში, აგრეთვე, იყო ჯგუფის უფროსი სამსა-ხურის მიერ განხორციელებული ბალების, ხელოვნების სკოლების და სხვა აუდიტორულ შემონმებებში.

ამასთან, სასამართლოს აღნიშვნით, ბ. გ-ის 2014 წლის 10 ოქ-

ტომბრის მოხელის დახასიათებით დგინდებოდა, რომ მ. ჯ-ა გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით და გუნდური მუშაობის უნარით, იყო პრინციპული და პუნქტუალური. 1-დან 10-მდე სკალაზე მისი შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობაზე შეფასდა 8 ერთეულით.

სასამართლომ ინდივიდუალური შეფასების ფორმებით, აგრეთვე, დადგენილად მიიჩნია, რომ 2014 წლის 11 ნოემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული კომისიის 6 წევრის მიერ გასაუბრების ეტაპის ორივე ნაწილში ა) განუხლები საქმიანობის შეფასება და ბ) დასმულ შეკითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება, მ. ჯ-ა შეფასდა უარყოფითად, ხოლო 1 წევრის მიერ „ა“ ნაწილში მან შეფასება მიიღო „კარგი“, ხოლო „ბ“ ნაწილში – „დამაკმაყოფილებელი“.

სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ატესტაციის საკონკურსო-საატესტაციო საპრეტენზიო კომისიამ (საპრეტენზიო კომისია), 2014 წლის 14 ნოემბრის №1 სხდომაზე 5 წევრის მონაწილეობით ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მ. ჯ-ას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სასამართლომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 ნოემბრის №1783 ბრძანებიდან ამონაწერით, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განყოფილების უფროსი მ. ჯ-ა ატესტაციის არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის №3/1923-15 გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 ნოემბრის №1783 ბრძანება ატესტაციის არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო მ. ჯ-ას გათავისუფლების ნაწილში და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის №33/1806-15 განჩინებით

უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის №33/-1806-15 განჩინებით გაზიარებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და აღინიშნა, რომ საქმეში არ იყო დაცული გასაუბრების მიმდინარეობის, დასმული შეკითხვებისა და მათზე გაცემული პასუხების ამსახველი მტკიცებულებები იმ დროს, როდესაც მეორე ეტაპზე მოხელის შესაფასებლად არსებითი მნიშვნელობა დასმულ შეკითხვაზე მოხელის მიერ გაცემულ პასუხებს ენიჭებოდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 დეკემბრის №ბს-769-761(კ-16) განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის №33/-1806-15 განჩინება.

სასამართლომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2016 წლის 21 სექტემბრის №12 სხდომის ოქმით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით კომისიის თავმჯდომარის მიერ უნდა შექმნილიყო სპეციალიზებული კომისია, რომელშიც პროფესიული პრინციპით წარმოდგენილი იქნებოდნენ კომისიის წევრები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ... საქალაქო სამსახურიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურიდან. ამავე ოქმით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საკადრო რესურსების სამსახურს დაევალა, უზრუნველყო მ. ჯ-ას მონვევა საკითხის განმხილველ კომისიაზე.

სასამართლომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობის 2016 წლის 2 ნოემბრის სხდომის №1 ოქმით დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ჯ-ასთან ჩატარდა გასაუბრება, რომლის მიმდინარეობაც აისახა აუდიო-ვიდეო მასალით.

ამასთან, საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ

გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებულმა შემადგენლობამ 2016 წლის 2 ნოემბრის სხდომაზე მ. ჯ-ას შეკითხვები დაუსვა მის მიერ საანგარიშო პერიოდში განეულ საქმიანობასთან, ასევე, მის ფუნქციებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით.

ინდივიდუალური შეფასების ფორმების (დანართი №1) მიხედვით, კომისიის 6-მა წევრმა მ. ჯ-ა, გასაუბრების ეტაპზე, ორივე ნაწილში („ა – განეული საქმიანობის შეფასება“, „ბ – დასმულ შეკითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება) შეაფასეს უარყოფითად; შეფასების ფორმის (დანართი №2) თანახმად, მ. ჯ-ამ მიიღო სპეციალიზებული კომისიის უარყოფითი შეფასება – მოხელე არ შეესაბამება დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობას; ხოლო დასკვნის (დანართი №3) შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით, მ. ჯ-ა არ შეესაბამებოდა დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობას.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა მუდმივმოქმედმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ, 2016 წლის 9 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №13) მ. ჯ-ას ინდივიდუალური შეფასების ფორმების (დანართი №1), გასაუბრების ამსახველი სხდომის ოქმებისა და კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობის საბოლოო შეფასების ფორმის (დანართი №2) საფუძველზე, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მ. ჯ-ას უარყოფითად შეფასების თაობაზე. ამავე ოქმით, კომისიამ დაადგინა, რომ დასკვნის სახით (დანართი №3) მიღებული გადაწყვეტილება უნდა წარდგენოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 15 ნოემბრის №4240 ბრძანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განყოფილების უფროსი მ. ჯ-ა, 2014 წლის 17 ნოემბრიდან, ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების გამო, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

სასამართლომ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36¹ მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო დაწესებულებაში იქმნება შესაბამისი მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტა-

ციო კომისია, ხოლო ამავე 36⁴ მუხლის მიხედვით, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესი, აგრეთვე კომისიის მონვეულ წევრთა შრომის ანაზღაურების პირობები და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

სასამართლო მიუთითა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №411 დადგენილებაზე, რომლითაც დამტკიცდა „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესი“, რომელიც განსაზღვრავს საჯარო მოხელეთა ატესტაციის პრინციპებს, პროცედურებს, ფორმებსა და პირობებს. წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ატესტაცია არის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოხელის სამსახურებრივი საქმიანობის, პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირადული თვისებების შესაბამისობის შეფასება დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ატესტაციას ექვემდებარება: ა) მოხელე, ვ წელიწადში ერთხელ (საატესტაციო პერიოდი); ბ) კანდიდატი, მოხელის თანამდებობაზე, თუ თანამდებობა კონკურსის წესით უნდა დაიკავოს.

მითითებული წესის მე-3 მუხლის შესაბამისად, ატესტაციის მიზნებია: ა) ატესტაციას დაქვემდებარებული პირის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პროფესიული თვისებების შესაბამისობის განსაზღვრა დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან; ბ) მოხელის მიერ საატესტაციო პერიოდში შესრულებული პროფესიული სამსახურებრივი საქმიანობის შეფასება; გ) საკლასო ჩინისა და სპეციალური ნოდების მინიჭებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება; დ) მოხელის პროფესიული დონის გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა; ე) მოხელის კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადების ან გადამზადების საჭიროების დადგენა; ვ) მოხელის პროფესიული ზრდის სტიმულირება. ხოლო მე-4 მუხლის შესაბამისად ატესტაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ა) კანონიერება; ბ) სამართლიანობა; გ) საჯაროობა; დ) გამჭვირვალობა; ე) არადისკრიმინაციულობა; ვ) ობიექტურობა; ზ) მიუკერძოებლობა; თ) კოლეგიალურობა.

სასამართლო აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ოქტომბრის №11-22 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ატესტაცია შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს: ა) ტესტირება, რომელიც

შეიძლება მოიცავდეს როგორც ზოგადი უნარ-ჩვევების, ასევე პროფესიულ ტესტს და წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრული ფორმით შედგენილ წერილობით ან ელექტრონულ დავალებას; ბ) წერილით დავალება, რომელიც შეიძლება ჩატარდეს თავისუფალი ფორმით და შეიძლება მოიცავდეს როგორც ზოგადი უნარჩვევების, ასევე პროფესიულ საკითხებს; გ) გასაუბრება, რომლის დროსაც მიიღება ინფორმაცია მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №411 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ატესტაციის პროცესის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელის უშუალო ხელმძღვანელი ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში წარადგენს ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელის დახასიათებას წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით. წინასწარ განსაზღვრულ ფორმას ავსებს და წარადგენს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელე. ამასთან, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ატესტაციის ჩატარების ფორმებს, შესაბამისი შეფასების ფორმულარებს, სატესტო მეთოდოლოგებსა და თემატიკას, მოხელის მიერ დაკავებული თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს კომისია, დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად კი, გასაუბრების პროცესში, დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობასთან ატესტაციას დაქვემდებარებული პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, კომისია ისმენს მოხელის ანგარიშს საატესტაციო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ, ამონმებს ატესტაციას დაქვემდებარებული პირის პროფესიულ დონესა და კვალიფიკაციას დადგენილ თემატიკასა და სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებულ საკითხებში.

სასამართლომ, ასევე, მიუთითა ხსენებული წესის მე-9 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, კომისიის გადწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები. ატესტაციის შედეგების მიხედვით, კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა: ა) მოხელე შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და ექვემდებარება დანიშნულებას; ბ) ატესტაციას დაქვემდებარებული პირი შეესაბამება დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობას; გ) მოხელე

ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (საჭიროებს კვალიფიკაციის ამაღლებას); დ) ატესტაციას დაქვემდებარებული პირი არ შეესაბამება დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობას. წესის მე-10 მუხლის შესაბამისად, კომისია ვალდებულია, თითოეული ატესტაციას დაქვემდებარებული პირის ატესტაციის შედეგების შესახებ მოამზადოს დასკვნა. დასკვნა ფორმდება სხდომის ოქმით და მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები. ატესტაციის შედეგები შეტანილ უნდა იქნეს საატესტაციო ფურცელში, რომელიც ივსება ერთ ეგზემპლარად და დახასიათებულთან ერთად ერთვის ატესტაციის დაქვემდებარებული პირის პირად საქმეს. საატესტაციო ფურცელს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები. კომისია დაწესებულების ხელმძღვანელს მოახსენებს ატესტაციის შედეგებს, ატესტაციის პროცესის დასრულებიდან ერთ კვირაში. დაწესებულების ხელმძღვანელი, კომისიის დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე, ატესტაციის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იღებს გადაწყვეტილებას, მოხელის პირად საქმეში ასახვით, მოხელისათვის სპეციალური წოდების ან/და საკლასო ჩინის მინიჭების, მოხელის დანიშნურების, მოხელის კვალიფიკაციის ამაღლების, მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ან მოხელის მიმართ ატესტაციის შედეგის პირად საქმეში ასახვის შესახებ (იმ შემთხვევაში, თუ მოხელე შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას).

სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 ნოემბრის №1783 ბრძანებით მ. ჯ-ა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება სადავო საკითხის გადაწყვეტის გარეშე ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით, რომელიც შევიდა კანონიერ ძალაში. ამავე სასამართლო გადაწყვეტილებით მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სასამართლოს მითითებით, ასევე, დადგენილი იყო, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, გაზიარებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება. პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში არ იყო დაცული გასაუბრების მიმდინარეობის, დასამული შეკითხვებისა და

მათზე გაცემული პასუხების ამსახველი მტკიცებულებები იმ დროს, როდესაც მეორე ეტაპზე მოხელის შესაფასებლად არსებითი მნიშვნელობა დასმულ შეკითხვაზე მოხელის მიერ გაცემულ პასუხებს ენიჭებოდა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლზე, რომელიც ადგენს სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები სავალდებულოა საქართველოს ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო სანარმო სათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

სასამართლოს აღნიშვნით, საქმეში არსებული მასალებით დგინდებოდა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ეხებოდა სწორედ ატესტაციის ბოლო ეტაპის – გასაუბრების ხელახლა ჩატარებას მ. ჯ-ას მიმართ. სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ საქმეში დაცული არ იყო გასაუბრების მიმდინარეობის, დასმული შეკითხვების და მათზე გაცემული პასუხების ამსახველი მტკიცებულებები. სასამართლომ მიიჩნია, რომ მშრალი, არაინფორმაციული ხასიათის მატარებელი მასალები არ იძლეოდა გასაუბრების პროცესის ანალიზის შესაძლებლობას. სწორედ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს ამ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ მ. ჯ-სთან ჩაატარა ხელახალი გასაუბრება და განახორციელა მისი აუდიო-ვიდეო ჩანერა. სასამართლომ ამ უკანასკნელის შეფასების შედეგად დადგინდად მიიჩნია, რომ მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო სპეციალიზებული კომისიის წევრებმა მ. ჯ-ას დაუსვეს შეკითხვები საანგარიშო პერიოდში მის მიერ განეულ საქმიანობასთან, ასევე, მის ფუნქციებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე დადგინილი იყო, რომ სპეციალიზებულმა კომისიამ მ. ჯ-ა შეაფასა უარყოფითად და მიიჩნია, რომ იგი არ შეესაბამებოდა დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობას.

სასამართლომ ზემოაღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სასამართლოს მითითებისამებრ მ. ჯ-ასთან ხელახლა ჩატარებული გასაუბრების ეტაპი წარმართა გამჭვირვალედ და ობიექტურად, კერძოდ, განახორციელა გასაუბრების აუდიო-ვიდეო ჩანერა, რამაც შესაძლებელი გახადა დასმული შეკითხვებისა და გაცემული პასუხების მიხედვით დადგენილიყო, თუ რამდენად ობიექტურად მოხდა მ. ჯ-ას შეფასება. აღნიშნულის შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დასმული შეკითხვები ემსახურებოდა მ. ჯ-ას დაკავებულ თანამდებო-

ბაზე შესაბამისობის დადგენას, ვინაიდან ძირითადად ეხებოდა უშუალოდ მის საქმიანობას, რასაც ახორციელებდა დაკისრებული ფუნქციების ფარგლებში.

რაც შეეხება მოსარჩელის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიის წევრებს არ ჰქონდათ უფლება დაესვათ პროფესიული შეკითხვები, სასამართლომ აღნიშნული მოსაზრება არ გაიზიარა და განმარტა, რომ ატესტაციის მიზანს წარმოადგენდა სწორედ ატესტაციას დაქვემდებარებული პირის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობის განსაზღვრა დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან, რომლის დადგენა გასაუბრების ეტაპზე პროფესიასთან დაკავშირებული შეკითხვების დასმის გარეშე შეუძლებელი იყო. შესაბამისად, დაუსაბუთებელი იყო მ. ჯ-ას მითითება მიზანმიმართულად პროფესიულ და თეორიულ შეკითხვებზე პასუხების გაუცემლობის ანდა პროფესიული დონის შესამოწმებლად მხოლოდ ტესტირებაზე მიღებულ შედეგებზე დაყრდნობის თაობაზე.

სასამართლომ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო ატესტაციის შედეგების საფუძველზე.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, დადგენილ გარემოებას წარმოადგენდა, რომ უფლებამოსილი კომისიის დასკვნის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 15 ნოემბრის №4240 ბრძანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განყოფილების უფროსი – მ. ჯ-ა, ატესტაციის არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გათავისუფლდა თანამდებობიდან, 2014 წლის 17 ნოემბრიდან.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ გადаныვეტილება კანონიერად იყო მიღებული და თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანებაში მითითებული სამართლებრივი საფუძველი შეესაბამებოდა სადავო პერიოდში მოქმედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონს.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯობრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზ-

ღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. აღნიშნული ნორმის შინაარსი გულისხმობს იმას, რომ მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ განკარგონ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები, აგრეთვე, მხარეთა უფლებას, მიუთითონ ფაქტებზე თავიანთი მოთხოვნების დასასაბუთებლად და წარმოადგინონ მტკიცებულებები ამ ფაქტების დადასტურება-დამტკიცებისათვის. ამავ ე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარის მიერ მიცემული ნებისმიერი ახსნა-განმარტება სადავო ურთიერთობის ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად უნდა ჩაითვალოს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ პრინციპებს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე იმ გარემოებას, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას საქმე არ იქნა შესწავლილი და გამოკვლეული საფუძვლიანად, ასაბუთებდა სასამართლოსათვის მიცემული ზეპირი ახსნა-განმარტებით, რაც საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ვერ იქნებოდა გაზიარებული. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ჯ-ს სარჩელი უსაფუძვლო იყო, რადგან ადგილი არ ჰქონდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით გათვალისწინებული კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა – ქა-

ლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 15 ნოემბრის №4240 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადანყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან კანონმდებლობა საჯარო მოსამსახურის სამსახურში აღდგენას ცალსახად უკავშირებდა მისი დათხოვნის/გათავისუფლების უკანონობას, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, არ არსებობდა მოსარჩელის – მ. ჯ-ას თანამდებობაზე აღდგენის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ასევე დასაბუთებული იყო მოსარჩელის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო; ასევე, იმავე კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში.

ამდენად, სასამართლომ განმარტა, რომ რამდენადაც განაცდური ხელფასი ანაზღაურდებოდა დაწესებულების მიერ მოხელის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში, ხოლო სასამართლომ ბათილად არ ცნო გასაჩივრებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 15 ნოემბრის №4240 ბრძანება და ასევე, უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა სამსახურში აღდგენის შესახებ, შესაბამისად, არ არსებობდა საფუძველი იმისა, რომ მოპასუხეს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელე მ. ჯ-ასათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება დავალებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2017 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ჯ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით მ. ჯ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. ჯ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მ. ჯ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 15 ნოემბრის №4240 ბრძანება; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს დაევალა მ. ჯ-ას გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მ. ჯ-ას სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის, სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან (2014 წლის 17 ნოემბერი) სამსახურში აღდგენის დღემდე ყოველთვიურად მისაღები ანაზღაურების 1700 (ათას შვიდასი) ლარის ოდენობით ანაზღაურება დაევალა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 ნოემბრის №1783 ბრძანებით, მ. ჯ-ა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება სადავო საკითხის გადაწყვეტის გარეშე ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით, რომელიც შევიდა კანონიერ ძალაში. ამავე სასამართლო გადაწყვეტილებით მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ზემოაღნიშნული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ცალსახა იყო, რომ იგი ეხებოდა სწორედ ატესტაციის ბოლო ეტაპის – გასაუბრების ხელახლა ჩატარებას მ. ჯ-ას მიმართ. ამდენად, სააპელაციო სასამართლოსაც სწორედ ზემოაღნიშნულ ნაწილში უნდა შეეფასებინა გასაჩივრებული აქტის კანონიერება.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 17 ოქტომბრის №1 სხდომის დანართებით დგინდებოდა, რომ მოხელის შეფასება ხდებოდა ორ ეტაპად: 1. ტესტირება და 2. გასაუბრება, რომლის შეფასება ხდებოდა ორი კრიტერიუმით: ა) განეული საქმიანობის შეფასება (შესაფასებლად გამოიყენება დადგენილი ფორმებით წარმოდგენილი მოხელის ხელმძღვანელის წერილობითი დახასიათება და მოხელის ინფორმაცია); ბ) დასმულ შეკითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ოქტომბრის №11-22 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ატესტაცია შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს: ა) ტესტირება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც ზოგადი უნარ-ჩვევების, ასევე პროფესიულ ტესტს და წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრული ფორმით შედგენილ წერილობით ან ელექტრონულ დავალებას; ბ) წერიტი დავალება, რომელიც შეიძლება ჩატარდეს თავისუფალი ფორმით და შეიძლება მოიცავდეს როგორც ზოგადი უნარ-ჩვევების, ასევე პროფესიულ საკითხებს; გ) გასაუბრება, რომლის დროსაც მიიღება ინფორმაცია მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, უდავო იყო, რომ მ. ჯ. ამ ატესტაციის პირველი ეტაპი – ტესტირება, გადალახა წარმატებით, მაქსიმალური 60 ქულიდან მიიღო 57 ქულა და ამ ნაწილში შეფასდა როგორც – ძალიან კარგი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 ოქტომბრის №1182 ბრძანების დანართი №1-ის თანახმად, გასაუბრების ეტაპი შედგებოდა 2 ნაწილისაგან, კერძოდ, გასაუბრება: (შეფასება „ა“) – განეული საქმიანობის შეფასება (შესაფასებლად გამოიყენება დადგენილი ფორმებით წარმოდგენილი მოხელის ხელმძღვანელის წერილობითი დახასიათება და მოხელის ინფორმაცია) და გასაუბრება: (შეფასება „ბ“) – დასმულ კითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პი-

როვნული თვისებების შეფასება.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, უდავო იყო, რომ კომისიის მიერ სამსახურიდან პირველად გათავისუფლებამდე მ. ჯ-ა ზემოაღნიშნულ შეფასება „ა“-ში შეფასდა უარყოფითად, თუმცა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ ამ ნაწილში ინდივიდუალური შეფასებები უკანონო იყო, რადგან ისინი ემყარებოდნენ არა კანონმდებლობით განსაზღვრულ დოკუმენტებს – დახასიათებას და ანგარიშს, რომლებიც ცალსახად დადებითი იყო, არამედ რაღაც სხვა ინფორმაციას; ასევე, სასამართლოს მიერ აქტი სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი შეფასება „ბ“-ს აუდიო-ვიდეო საშუალებებით დაუფიქსირებლობის გამო. ამდენად, სააპელაციო პალატის მითითებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შინაარსი ცხადყოფდა, რომ შეფასება „ა“-ს ნაწილთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის თავიდან შესწავლისას ცალსახად დადებითი შეფასება უნდა მოეხდინა; თუმცა, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩატარებული გასაუბრების შედეგად, კომისიამ მ. ჯ-ას შეფასება „ა“-შიც უარყოფითი შეფასება დაუნერა, რაც, სააპელაციო პალატის აზრით, მოცემული დავის მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კომისიას დასმულ კითხვებზე მიღებული პასუხებით უნდა გაერკვია მოხელის პროფესიული ჩვევები, კვალიფიკაცია, შესაძლებლობები და პიროვნული თვისებები. კომისიამ დაუსვა სათანადო კითხვები კანდიდატს, თუმცა მან პრინციპული უარი განაცხადა პასუხების გაცემაზე, რაც კომისიის მიერ სრულიად სამართლიანად შეფასდა უარყოფითად, თუმცა ამავე დროს, შეფასება „ბ“-ში უარყოფითი შეფასების გამო კომისიამ იმსჯელა შეფასება „ა“-ზეც და ხსენებულშიც უარყოფითად იქნა კანდიდატი შეფასებული, რისი უფლებამოსილებაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, კომისიას არ გააჩნდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, რომ არა ზემოაღნიშნული დარღვევა, ატესტაციის შედეგების გამო მ. ჯ-ა არ დაექვემდებარებოდა სამსახურიდან განთავისუფლებას შემდეგ გარემოებათა გამო: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ატესტაციის ჩატარების ფორმებისა და პირობების, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმის განსაზღვრაზე და ატესტაციის პირველი ეტაპის – ტესტირების მინიმალური გამსვლელი ზღვარის დადგენაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 ოქტომბრის №1182 ბრძანების №1 დანართის

მე-7 მუხლის თანახმად, სპეციალიზებული კომისიის თითოეული დამსწრე წევრი აღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად, ახდენს ატესტაციას დაქვემდებარებული პირის ჯამურ შეფასებას..., შემდეგი წესით: ა) არანაკლებ 2 ძალიან კარგი (არც ერთი დამაკმაყოფილებელი ან უარყოფითი) – ძალიან კარგი; ბ) არაუმეტეს ერთი დამაკმაყოფილებელი (არც ერთი უარყოფითი) – კარგი; გ) „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისაგან განსხვავებულ შეფასებათა ნებისმიერი თანაფარდობა, მხოლოდ მათ შორის არაუმეტეს 1 უარყოფითი – დამაკმაყოფილებელი; დ) 2 უარყოფითი – უარყოფითი. მე-8 პუნქტის თანახმად, ატესტაციის შესაბამისი ეტაპის დასრულებისთანავე, მოხელის დაუსწრებლად, სპეციალიზებული კომისია, კომისიის წევრთა ინდივიდუალური შეფასების მიხედვით, ავსებს სპეციალიზებული კომისიის შეფასების ფორმას შემდეგი სახით: ა) სპეციალიზებული კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობის შეფასება ძალიან კარგი (არც ერთი დამაკმაყოფილებელი ან უარყოფითი) – ძალიან კარგი; ბ) სპეციალიზებული კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობის შეფასება ნებისმიერი შეფარდებით კარგი და ძალიან კარგი (არც ერთი უარყოფითი) – კარგი; გ) სპეციალიზებული კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობის შეფასება „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულის გარდა, ნებისმიერი შეფარდებით დამაკმაყოფილებელი, კარგი და ძალიან კარგი (მაგრამ არაუმეტეს კომისიის დამსწრე წევრთა უმცირესობის უარყოფითი შეფასებისა) – დამაკმაყოფილებელი; დ) სპეციალიზებული კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობის შეფასება – უარყოფითი – უარყოფითი.

სააპელაციო პალატამ, აგრეთვე, მიუთითა მე-9 პუნქტზე, რომლის თანახმად, ატესტაციის შედეგების გათვალისწინებით, სპეციალიზებული კომისია იღებს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ შემაჯამებელ გადაწყვეტილებას: ა) სპეციალიზებული კომისიის შეფასება – ძალიან კარგი – მოხელე შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და ექვემდებარება დანიინაურებას; ბ) სპეციალიზებული კომისიის შეფასება – კარგი – მოხელე შეესაბამება დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობას; გ) სპეციალიზებული კომისიის შეფასება – დამაკმაყოფილებელი – მოხელე ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (საჭიროებს კვალიფიკაციის ამაღლებას); დ) სპეციალიზებული კომისიის შეფასება – უარყოფითი – მოხელე არ შეესაბამება დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დადგინილი იყო, რომ მ. ჯ-ამ კომისიის წევრთა ინდივიდუალური უარყოფითი შეფასებები, გარდა შეფასება „ბ“-სა, მიიღო შეფასება „ა“-შიც, რაც საბოლოო ჯამში აისახა სპეციალიზებული კომისიის საბოლოო შეფასე-

ბაზე – უარყოფითი. ვინაიდან კომისია, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შინაარსის თანახმად, ვალდებული იყო დადებითად შეეფასებინა „ა“ კომპონენტი, საბოლოოდ, ახალი შეფასებით მ. ჯ-ამ ყველა შემფასებლის მიერ მიიღო უარყოფითი შეფასება; რომ არა ზემოაღნიშნული, იგი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მიიღებდა შეფასებას – უარყოფითი – მოხელე არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და არ დაექვემდებარებოდა სამსახურიდან განთავისუფლებას. ყოველივე ეს კი, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, წარმოადგენდა გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა 2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე.

ანალოგიური შინაარსის დებულებებს შეიცავს დღეს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ. ჯ-ას მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობას წარმოადგენდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამმართველოს უფროსის თანამდებობა; მოსარჩელე აკმაყოფილებდა აღნიშნული თანამდებობისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; ხოლო მ. ჯ-ას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება წარმოადგენდა კანონსაწინააღმდეგო აქტს. მითითებული გარემოებები ქმნიდა მ. ჯ-ას გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე აღდგენის ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველებს. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა დავალებოდა მ. ჯ-ა მითითებულ თანამდებობაზე აღდგენა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მოქმედ „საჯა-

რო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მითითებული ნორმა წარმოადგენდა დასაქმებული პირის სამართლებრივ გარანტიას, რომ იგი უკანონოდ გათავისუფლებისა და შემდგომ სამსახურში აღდგენის შემთხვევაში, სრულად დაკმაყოფილებოდა კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამო მიუღებელი შემოსავლით.

პალატის მითითებით, დადგენილი იყო, რომ მ. ჯ-ას შრომითი ანაზღაურების მოცულობა იყო ხელზე ასაღები 1700 (ათას შვიდასი) ლარი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ჯ-ას სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი ხელფასის სახით ყოველთვიურად 1700 (ათას შვიდასი) ლარის ოდენობით, უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ამდენად, საქმის გარემოებების ანალიზიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული წარმოება არ ჩატარდა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, რასაც შედეგად მოჰყვა კანონსაწინააღმდეგო აქტის გამოცემა. აღნიშნული კი მ. ჯ-ას სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას და განმარტავს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 ოქტომბრის №1182 ბრძანების თანახმად, მეორე ეტაპი მოიცავს როგორც მოხელის წერილობითი ინფორმაციისა და ხელმძღვანელის წერილობითი დახასიათების შეფასებას კომისიის მიერ, ასევე, განუული საქმიანობის შეფასებას, რაც ნიშნავს იმას, რომ კომისია განუული საქმიანობის შეფასებისას ხელმძღვანელობს აღნიშნული დახასიათებებით, თუმცა საბოლოო შეფასებას კომისია ახორციელებს. კასატორის მითითებით, აღნიშნული გამომდინარეობს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №411 დადგენილების მე-8 მუხლის მე-6 პუნქტიდან, რომლის თანახმად, კომისია გასაუბრების პროცესში ატესტაციას დაქვემდებარებუ-

ლი პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით ისმენს მოხელის ანგარიშს საატესტაციო პერიოდში განეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნული ადასტურებს იმ გარემოებას, რომ კომისიის წევრი ინდივიდუალური შეფასების ფორმაში მოცემულ შეფასება „ა“-ს შევსებისას იყენებს როგორც მოხელის ხელმძღვანელის წერილობით დახასიათებას და მოხელის ინფორმაციას, ისე გასაუბრების პროცესში უშუალოდ მოხელის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მიღებულ საკუთარ დასკვნას და კომპლექსურად მითითებული ინფორმაციისა და წარდგენილი წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე განსაზღვრავს საბოლოო შეფასებას. შესაბამისად, სასამართლოს მითითება, რომ შეფასება „ა“-ს შევსებისას კომისიის წევრი იყენებს მხოლოდ ხელმძღვანელისა და თავად მოხელის წერილობით დახასიათებას და ინფორმაციას, არ გამომდინარეობს ატესტაციისათვის დადგენილი წესიდან. გარდა ამისა, აღნიშნულის განმარტება იმგვარად, რომ მეორე გრაფაში ავტომატურად გადატანილ უნდა იქნეს დახასიათების შინაარსი და მხოლოდ ამ დოკუმენტებით უნდა იხელმძღვანელონ კომისიის წევრებმა, რეალურად კომისიას ტოვებს ფუნქციის გარეშე. რამდენადაც თუ ტესტირების შეფასება არის დამაკმაყოფილებელი, მოხელის დახასიათებაც არის დადებითი, მაშინ აზრს კარგავს გასაუბრება და შესაბამისად, კომისიის არსებობაც, ვინაიდან კომისიის მხრიდან მხოლოდ შეფასება „ბ“-ს განსაზღვრა არსებით ვაგლენას ვერ იქონიებდა მოხელის შეფასების პროცესში. შესაბამისად, გაურკვეველი იქნებოდა, თუ რა მიზნით ითვალისწინებს კანონმდებლობა ასეთი მოხელის კომისიასთან გასაუბრებას. შეუძლებელია აღნიშნულ პირებთან გასაუბრების ჩატარებას კანონი სავალდებულოდ თვლიდეს მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით.

გარდა აღნიშნულისა, კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის განმარტებას კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შინაარსთან დაკავშირებით, რომ შეფასება „ა“-ს ნაწილთან მიმართებით ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის თავიდან შესწავლისას ცალსახად დადებითი შეფასება უნდა მოეხდინა, რამდენადაც სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 25 მაისის განჩინებაში (საქმე №3ბ/1806-15) შეფასების ფორმების შევსებასთან დაკავშირებით განმარტა შემდეგი: „სასამართლოს პოზიცია არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ ინდივიდუალური შეფასების ფორმის მე-2 გრაფა ივსება ავტომატურად და მასში მექანიკურ ასახვას ჰპოვენ მოხელის დახასიათების შინაარსი. სააპელაციო სასამართლო ადასტურებს, რომ დახასიათებას, ისევე, როგორც უშუალოდ მოხელის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, აფასებს კომისია.“ ამდენად, სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განმარტება ადასტუ-

რებს იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩატარებულ გასაუბრებაზე კომისიას მ. ჯ-ას შეფასება უნდა მოეხდინა როგორც შეფასება „ა“-ს, ასევე შეფასება „ბ“-ს ნაწილში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სასამართლოს განმარტების კანონშესაბამობას.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რაც გამოიხატა იმაში, რომ სასამართლომ არ გამოიკვლია და არ იმსჯელა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე, ასევე არასწორად განმარტა კანონი, რამაც საბოლოო ჯამში გავლენა იქონია საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღებაზე. ამასთან, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სადავო საკითხთან დაკავშირებით იმავე დავაზე მიღებულ და კანონიერ ძალაში შესულ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განჩინებას (საქმე №3ბ/1806-15). კასატორი ასევე მიუთითებს, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეზე, ანალოგიური გარემოებების პირობებში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2018 წლის 10 მაისის განჩინებით (საქმე №3ბ/96-18) მიღებულია განსხვავებული შინაარსის განჩინება, კერძოდ, მითითებულ საქმეზე აპელანტის (მოსარჩელის) სააპელაციო საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 ნოემბრის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის

2018 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ჯ-ას სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის 2012 წლის 2 ნოემბრის №1388 ბრძანებით, მ. ჯ-ა, 2012 წლის 2 ნოემბრიდან, დაინიშნა ქალაქ თბილისის მერიის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლად.

ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის 2013 წლის 1 ოქტომბრის №1871 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მერიის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი მ. ჯ-ა, 2013 წლის 1 ოქტომბრიდან დაინიშნა ქალაქ თბილისის მერიის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, 2 თვის გამოსაცდელი ვადით.

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 17 ოქტომბრის №1 სხდომის ოქმით, კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს შესათანხმებლად წარუდგინა: ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთათვის ატესტაციის ჩატარების გრაფიკი დანართი 1-ის შესაბამისად; ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთათვის ატესტაციის ჩატარების ფორმები, პირობები და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმა დანართი 2-ის თანახმად; გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთათვის ატესტაციის პირველი ეტაპის – ტესტირების მინიმალური გამსვლელი ზღვარის თაობაზე ინფორმაცია, რომელსაც, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მოსაზრებით, მიზანშეწონილი იყო შეედგინა მოხელის მიერ გაცემული სწორი პასუხების 75%, კერძოდ, 60 კითხვიდან არანაკლებ 45 სწორი პასუხი.

მითითებული ოქმის დანართებით დგინდება, რომ მოხელის შეფასება ხდებოდა ორ ეტაპად: 1. ტესტირება და 2. გასაუბრება, რომლის შეფასება ხდებოდა ორი კრიტერიუმით: ა) განუთლი საქმიანობის შეფასება (შესაფასებლად გამოიყენება დადგენილი ფორმებით წარმოდგენილი მოხელის ხელმძღვანელის წერილობითი დახასიათება და მოხელის ინფორმაცია); ბ) დასმულ შეკითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება.

დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 ოქტომბრის №1182 ბრძანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას მიეცა თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთათვის ატესტაციის პირველი ეტაპის – ტესტირებისათვის მინიმალური გამსვლელი ზღვარის, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთათვის ატესტაციის ჩატარების ფორმების, პირობების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმის განსაზღვრაზე, დანართების შესაბამისად.

2014 წლის 9 ოქტომბრის მოხელის მიერ განეული სამუშაო ანგარიშით დგინდება, რომ მ. ჯ-ამ მონაწილეობა მიიღო განყოფილების მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებაში, აგრეთვე, იყო ჯგუფის უფროსი სამსახურის მიერ განხორციელებული ბალების, ხელოვნების სკოლების და სხვა აუდიტორულ შემოწმებებში.

ამასთან, ბ. გ-ის 2014 წლის 10 ოქტომბრის მოხელის დახასიათებით დგინდება, რომ მ. ჯ-ა გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით და გუნდური მუშაობის უნარით, იყო პრინციპული და პუნქტუალური. 1-დან 10-მდე სკალაზე მისი შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობაზე შეფასდა 8 ერთეულით.

ინდივიდუალური შეფასების ფორმებით, აგრეთვე, დგინდება, რომ 2014 წლის 11 ნოემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული კომისიის 6 წევრის მიერ გასაუბრების ეტაპის ორივე ნაწილში – ა) განეული საქმიანობის შეფასება და ბ) დასმულ შეკითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება, მ. ჯ-ა შეფასდა უარყოფითად, ხოლო 1 წევრის მიერ „ა“ ნაწილში მან შეფასება მიიღო „კარგი“, ხოლო „ბ“ ნაწილში – „დამაკმაყოფილებელი“.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ატესტაციის საკონკურსო-საატესტაციო საპრეტენზიო კომისიამ (საპრეტენზიო კომისია), 2014 წლის 14 ნოემბრის №1 სხდომაზე 5 წევრის მონაწილეობით ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მ. ჯ-ას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 ნოემბრის №1783 ბრძანებიდან ამონაწერით, ასევე, დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განყოფილების

უფროსი მ. ჯ-ა ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის №3/1923-15 გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 ნოემბრის №1783 ბრძანება ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების გამო მ. ჯ-ას გათავისუფლების ნაწილში და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევადა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის №3პ/1806-15 განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის №3პ/-1806-15 განჩინებით გაზიარებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და აღინიშნა, რომ საქმეში არ იყო დაცული გასაუბრების მიმდინარეობის, დასმული შეკითხვებისა და მათზე გაცემული პასუხების ამსახველი მტკიცებულებები იმ დროს, როდესაც მეორე ეტაპზე მოხელის შესაფასებლად არსებითი მნიშვნელობა დასმულ შეკითხვაზე მოხელის მიერ გაცემულ პასუხებს ენიჭებოდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 დეკემბრის №ბს-769-761(კ-16) განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის №3პ/-1806-15 განჩინება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2016 წლის 21 სექტემბრის №12 სხდომის ოქმით დადგინდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით კომისიის თავმჯდომარის მიერ შექმნილიყო სპეციალიზებული კომისია, რომელშიც პროფესიული პრინციპით წარმოდგენილი იქნებოდნენ კომისიის წევრები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ... საქალაქო სამსახურიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურიდან, ქალაქ თბილისის მუ-

ნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურიდან. ამავე ოქმით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საკადრო რესურსების სამსახურს დაევალა უზრუნველყო მ. ჯ-ას მოწვევა საკითხის განმხილველ კომისიაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობის 2016 წლის 2 ნოემბრის სხდომის №1 ოქმით დადგენილია, რომ მ. ჯ-ასთან ჩატარდა გასაუბრება, რომლის მიმდინარეობაც აისახა აუდიო-ვიდეო მასალით.

ამასთან, საქმეზე დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებულმა შემადგენლობამ 2016 წლის 2 ნოემბრის სხდომაზე მ. ჯ-ას შეკითხვები დაუსვა მის მიერ საანგარიშო პერიოდში განეულ საქმიანობასთან, ასევე, მის ფუნქციებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით.

ინდივიდუალური შეფასების ფორმების (დანართი №1) მიხედვით, კომისიის 6-მა წევრმა მ. ჯ-ა, გასაუბრების ეტაპზე, ორივე ნაწილში („ა – განეული საქმიანობის შეფასება“, „ბ“ – დასმულ შეკითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება) შეაფასა უარყოფითად; შეფასების ფორმის (დანართი №2) თანახმად, მ. ჯ-ამ მიიღო სპეციალიზებული კომისიის უარყოფითი შეფასება – მოხელე არ შეესაბამება დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობას; ხოლო დასკვნის (დანართი №3) შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით, მ. ჯ-ა არ შეესაბამებოდა დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობას.

დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა მუდმივმოქმედმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ, 2016 წლის 9 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №13) მ. ჯ-ას ინდივიდუალური შეფასების ფორმების (დანართი №1), გასაუბრების ამსახველი სხდომის ოქმებისა და კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობის საბოლოო შეფასების ფორმის (დანართი №2) საფუძველზე, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მ. ჯ-ას უარყოფითად შეფასების თაობაზე. ამავე ოქმით, კომისიამ დაადგინა, რომ დასკვნის სახით (დანართი №3) მიღებული გადაწყვეტილება უნდა წარდგენოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 15 ნოემბრის №4240 ბრძანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განყოფილების უფროსი მ. ჯ-ა, 2014 წლის 17 ნოემბრიდან, ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების გამო, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

საკასაციო სასამართლო უპირველესად განმარტავს, რომ შრომითი უფლების სრულყოფილი რეალიზების გარანტიები გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 30-ე მუხლით (ამჟამად მოქმედი რედაქციის 26-ე მუხლი), კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომა თავისუფალია. შრომის თავისუფლება, ე.ი. უფლება თავისუფალ შრომაზე, მოიცავს როგორც ადამიანისათვის მინიჭებულ უფლებას, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4-24, 28.02.1997), ასევე, „სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითვე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007), კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტით „დაცულია არა მარტო უფლება, აირჩიოს სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო“.

საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების (ამჟამად მოქმედი რედაქციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი) თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიზნებისთვის სახელმწიფო სამსახური არის პროფესიული საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სხვა საჯარო ფუნქციის განხორციელების მიზნით ჩამოყალიბებულ ინსტიტუციებში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3). ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე

მუხლის მე-2 პუნქტი „მოიცავს სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტს, მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტიას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ანალოგიური პოზიცია აქვს დაფიქსირებული საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილებაში (იხ. გადაწყვეტილების მე-20 და 21-ე პარაგრაფები). „სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების დაცვით საქართველოს კონსტიტუცია ესწრაფვის, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მოქალაქეთა თანაბარი დაშვება სახელმწიფო სამსახურში გონივრული და კონსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცვას სახელმწიფო მოსამსახურე მის საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევისგან, რათა მან შეძლოს კონსტიტუციითა და კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7).

საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულება „გულისხმობს, რომ საჯარო მოსამსახურეთა სტატუსი, თანამდებობის დაკავების წესი, მოხელეთა უფლება-მოვალეობები, ნახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები უნდა განისაზღვროს კანონით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 15 ივნისის №1/4/419 განჩინება საქმეზე „ბესიკ გვაჯავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამასთანავე, თავად ეს კანონი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ სტანდარტებს, ანუ 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რაც გულისხმობს სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და ამ თანამდებობისათვის გონივრული პირობების დადგენას, ასევე უზრუნველყოფას იმისა, რომ გაუმართლებლად არ შეიზღუდება მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვაში და განახორციელოს საჯარო მნიშვნელობის ფუნქცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 30-ე მუხლის

პირველი პუნქტით რეგლამენტირებული თავისუფალი შრომისა და 29-ე მუხლით დაცული სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებათა სამართლებრივი დაცვის გარანტიები გათვალისწინებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითაც. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება, და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. ამასთან, 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში, ხოლო ამავე დეკლარაციის 23-ე მუხლის თანახმად კი, ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმადაც, დასაქმების შეწყვეტის შემთხვევებში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ აღიარონ: ა) ყველა მუშაკის უფლება არ შეუწყდეთ დასაქმება ასეთი შეწყვეტის თაობაზე საპატიო მიზეზების გარეშე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მათ შეძლებლობასთან ან ქცევასთან ან განპირობებული უნდა იყოს შრომითი დანესებულების, სანარმოს ან სამსახურის ოპერატიული მოთხოვნებით; ბ) მუშაკთა უფლება, რომელთა დასაქმება შეწყვეტილი იქნება საპატიო მიზეზების გარეშე, სათანადო კომპენსაცი-აზე ან სხვა შესაბამის დაკმაყოფილებაზე.

ამ მხრივ მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყოფნ, მუშაკის, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი დასაქმება შეწყდა საპატიო მიზეზების გარეშე, მიუკერძოებელ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება.

აღნიშნულ დანაწესთა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში ინდივიდთა შრომითი უფლებების დაცვისათვის ქმედითი მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს ვალდებულია წარმოადგენს. ხსენებული ვალდებულების ზედმიწევნითი განხორციელების საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან თავს იჩენს მით უფრო საჯარო სექტორში,

სადაც სახელმწიფო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ, თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავად გვევლინება დამსაქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმებულ საჯარო მოხელეთა უფლებების, განსაკუთრებით კი, შრომითი უფლებების დაცვის სავალდებულოობის ხარისხს.

საკასაციო პალატა უპირველესად მიუთითებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 ნოემბრის №1783 ბრძანებაზე, რომლითაც მ. ჯ-ა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება სადავო საკითხის გადაწყვეტის გარეშე ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით, რომელიც შევიდა კანონიერ ძალაში. ამავე სასამართლო გადაწყვეტილებით მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ ზემოაღნიშნული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ცალსახად ეხებოდა სწორედ ატესტაციის ბოლო ეტაპის – გასაუბრების ხელახლა ჩატარებას მ. ჯ-ას მიმართ.

საკასაციო პალატა მიუთითებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 17 ოქტომბრის №1 სხდომის დანართებზე, რომლითაც დგინდებოდა, რომ მოხელის შეფასება ხდებოდა ორ ეტაპზე: 1. ტესტირება და 2. გასაუბრება, რომლის შეფასება ხდებოდა ორი კრიტერიუმით: ა) განეული საქმიანობის შეფასება (შესაფასებლად გამოიყენება დადგენილი ფორმებით წარმოდგენილი მოხელის ხელმძღვანელის წერილობითი დახასიათება და მოხელის ინფორმაცია); ბ) დასმულ შეკითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ოქტომბრის №11-22 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების მე-8 მუხ-

ლის პირველი პუნქტის თანახმად, ატესტაცია შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს: ა) ტესტირება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც ზოგადი უნარ-ჩვევების, ასევე პროფესიულ ტესტს და წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრული ფორმით შედგენილ წერილობით ან ელექტრონულ დავალებას; ბ) წერიტი დავალება, რომელიც შეიძლება ჩატარდეს თავისუფალი ფორმით და შეიძლება მოიცავდეს როგორც ზოგადი უნარ-ჩვევების, ასევე პროფესიულ საკითხებს; გ) გასაუბრება, რომლის დროსაც მიიღება ინფორმაცია მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მ. ჯ-ამ ატესტაციის პირველი ეტაპი – ტესტირება, გადალახა წარმატებით, მაქსიმალური 60 ქულიდან მიიღო 57 ქულა და ამ ნაწილში შეფასდა როგორც – ძალიან კარგი. რაც შეეხება ატესტაციის მეორე ეტაპს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 ოქტომბრის №1182 ბრძანების დანართი №1-ის თანახმად, გასაუბრების ეტაპი შედგებოდა ორი ნაწილისაგან, კერძოდ, გასაუბრება: (შეფასება „ა“) – განუული საქმიანობის შეფასება (შესაფასებლად გამოიყენება დადგენილი ფორმებით წარმოდგენილი მოხელის ხელმძღვანელის წერილობითი დახასიათება და მოხელის ინფორმაცია) და გასაუბრება: (შეფასება „ბ“) – დასმულ კითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობის 2016 წლის 2 ნოემბრის სხდომის №1 ოქმით დადგენილია, რომ მ. ჯ-ასთან ჩატარდა გასაუბრება, რომლის მიმდინარეობაც აისახა აუდიო-ვიდეო მასალით.

ამასთან, საქმეზე დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებულმა შემადგენლობამ 2016 წლის 2 ნოემბრის სხდომაზე მ. ჯ-ას შეკითხვები დაუსვა მის მიერ საანგარიშო პერიოდში განუული საქმიანობასთან, ასევე, მის ფუნქციებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით.

ინდივიდუალური შეფასების ფორმების (დანართი №1) მიხედვით, კომისიის 6-მა წევრმა მ. ჯ-ა, გასაუბრების ეტაპზე, ორივე ნაწილში („ა – განუული საქმიანობის შეფასება“, „ბ – დასმულ შეკითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისე-

ბების შეფასება) შეაფასა უარყოფითად; შეფასების ფორმის (დანართი №2) თანახმად, მ. ჯ-ამ მიიღო სპეციალიზებული კომისიის უარყოფითი შეფასება – მოხელე არ შეესაბამება დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობას; ხოლო დასკვნის (დანართი №3) შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით, მ. ჯ-ა არ შეესაბამებოდა დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებებს ატესტაციის ხელახალი ჩატარების ფარგლებთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, კომისიას მოსარჩელის მიმართ ატესტაციის პროცედურების ხელახალი განხორციელება არა გასაუბრების ეტაპის კონკრეტულად რომელიმე ნაწილიდან, არამედ ზოგადად გასაუბრების ეტაპიდან დაევალა. თავის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 ოქტომბრის №1182 ბრძანების დანართი №1-ის თანახმად, გასაუბრების ეტაპი შედგებოდა ორი ნაწილისაგან, კერძოდ, გასაუბრება: (შეფასება „ა“) – განუვლილი საქმიანობის შეფასება (შესაფასებლად გამოიყენება დადგენილი ფორმებით წარმოდგენილი მოხელის ხელმძღვანელის წერილობითი დახასიათება და მოხელის ინფორმაცია) და გასაუბრება: (შეფასება „ბ“) – დასმულ კითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გასაუბრების ეტაპი თავისი არსით წარმოადგენს ერთიან, განუყოფელ პროცესს, რომლის ფარგლებშიც გამსაუბრებელს ეძლევა შესაძლებლობა, შეაფასოს მოხელის კონკრეტულ თანამდებობაზე საქმიანობისათვის საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევები თუ კვალიფიკაცია. ამასთან, გასაუბრების ფორმატი გამსაუბრებელს აძლევს არა მხოლოდ ზეპირსიტყვიერად გადმოცემული ინფორმაციის მხედველობაში მიღების, არამედ, აგრეთვე, შედარების საშუალებასაც, კერძოდ, გამსაუბრებელს წარმოეშობა შესაძლებლობა მოხელისათვის კითხვების დასმის გზით შეამოწმოს მოხელესთან დაკავშირებით წარდგენილი დოკუმენტების (მათ შორის, მოხელის ხელმძღვანელის წერილობითი დახასიათებისა და მოხელის ინფორმაციის) შინაარსის, ანუ მასში აღწერილი სუბიექტური ინფორმაციის ობიექტურ რეალობასთან შესაბამისობა. კერძოდ, გასაუბრების პროცესში მოხელის მიერ გაცემული პასუხები იძლევა მოხელის მიმართ არსებული დახასიათების სისწორის, მისი ობიექტურობისა და რეალურო-

ბის გადამონმების შესაძლებლობას, აგრეთვე, გამსაუბრებელს ეხმარება გააანალიზოს და შეაფასოს ის, თუ რამდენად შეძლებდა გასაუბრების შედეგად გამოვლენილი კონკრეტული კვალიფიკაციითა თუ პროფესიული უნარ-ჩვევებით მოხელე საქმიანობის იმგვარად განხორციელებას, როგორც ეს ზემოაღნიშნულ დოკუმენტებშია აღწერილი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაუბრების, როგორც ატესტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 ოქტომბრის №1182 ბრძანების დანართი №1-ით განსაზღვრული ორი ნაწილი რეალურად სრულ ერთიანობას იძლევა, რამდენადაც სწორედ პროცესის განუყოფელობა ქმნის მოხელის ობიექტური შეფასების შესაძლებლობას, აგრეთვე, არსებული დოკუმენტების სწორედ მოხელის რეალურ შესაძლებლობებთან გადამონმების გზით შეფასების საშუალებას, რაც საბოლოოდ გამსაუბრებელს მოხელის საერთო „სურათის“ აღქმასა და ადეკვატური გადანყვეტილების მიღებაში ეხმარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას მასზედ, რომ გასაუბრების ეტაპის ერთ-ერთი ნაწილის (შეფასება „ა“ – განუღი საქმიანობის შეფასება (შესაფასებლად გამოიყენება დადგენილი ფორმებით წარმოდგენილი მოხელის ხელმძღვანელის წერილობითი დახასიათება და მოხელის ინფორმაცია)) შედეგი აუცილებლად დადებითი შინაარსის უნდა ყოფილიყო. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გასაუბრების შინაარსის ამგვარი აღქმა მთელ რიგ შემთხვევებში ყოველმხრივ უშედეგოს ხდის გამსაუბრებელთა მხრიდან (შეფასება „ბ“) დასმულ კითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასებას, ამასთან, ატესტაციის პირველ ეტაპსა (ტესტირება) და მეორე ეტაპის (გასაუბრება) „ა“ ნაწილში დადებითად შეფასებულ მოხელეებს უხსნის შესაძლებლობას, ატესტაციის მეორე ეტაპის „ბ“ ნაწილში მონაწილეობის გარეშე მიიღონ დამაკმაყოფილებელი შეფასებები. ყოველივე აღნიშნული გამორიცხავს გასაუბრების პროცესში გამსაუბრებელ პირთა ქმედით როლს, კერძოდ, საკითხისადმი ამგვარი მიდგომით, ფაქტობრივად, ფორმალურ ნიშნამდე დადის მათთვის მინიჭებული შესაძლებლობა იმისა, რომ მოხელისათვის კითხვების დასმის გზით გამოარკვიონ, გააჩნია თუ არა მას კონკრეტული თანამდებობის დაკავებისათვის საჭირო პროფესიული ჩვევები, კვალიფიკაცია, შესაძლებლობები და პიროვნული თვისებები.

საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ ატესტაცი-

ის პროცესში მონაწილე მოხელის შეფასება და აღნიშნული შეფასების მიხედვით, მის მიმართ სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებათა სფეროს მიეკუთვნება. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ატესტაციის პროცესი ამ უფლებამოსილების ფარგლებში მოხელეთა კვალიფიკაციისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების გამორკვევასა და კონკრეტულ თანამდებობასთან მათი შესაბამისობის დადგენას ემსახურება, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, ატესტაციის პროცესის ფორმალურად ჩატარების გარეშე გათავისუფლებული მოხელე თავად აღადგინოს თანამდებობაზე. ამგვარი მოცემულობა კი წარმოშობს სასამართლო ხელისუფლების ვალდებულებას, არ გასცდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განმტკიცებულ ხელისუფლების დანაწილების პრინციპით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებს და არ შეზღუდოს ადმინისტრაციული ორგანოს სამოქმედო არეალი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლო ვერ იქცევა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოდ და თავად ვერ განახორციელებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, ვერ შეცვლის ადმინისტრაციულ მიხედულებას სასამართლოს მიხედულებით. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავედროულად, თვითნებობის ფაქტების აცილების მიზნით, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან ამ საკითხზე არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა. უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, მიზნის ლეგიტიმურობას, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არსებით მნიშვნელობას იძენს ის გარემოება, რომ მოსარჩელემ განმეორებით გამართულ გასაუბრების პროცესში მონაწილეობაზე, კონკრეტულად, გამსაუბრებელთა მხრიდან დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა. ხსენებული გამორიცხავდა კომისიის წევრთა შესაძლებლობას, განეხორციელებინათ მ. ჯ-ას მიერ მისთვის დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხებით მოსარჩელის კვალიფიკაციისა თუ უნარ-ჩვევების ცალკეული შეფასება, აგრეთვე, გაცემული პასუხებით გამოვლენილი ობიექტური მოცემულობისა და გასაუბრების პირველი ნაწილის შე-

საფასებლად წარდგენილი დოკუმენტების ურთიერთშესაბამისობის დადგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის მიერ განმეორებით გამართული გასაუბრების შედეგად დაფიქსირებული როგორც ინდივიდუალური, ასევე, საბოლოო შეფასება კანონიერია, რამდენადაც იგი სრულ შესაბამისობაშია როგორც ფაქტობრივ მოცემულობასთან, აგრეთვე, იმ სამართლებრივ დანაწესებთან, რომელიც ატესტაციის პროცესის პროცედურულ თუ შინაარსობრივ ასპექტებს განსაზღვრავს.

საკასაციო პალატა, აგრეთვე, მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ანალოგიურ საქმესთან დაკავშირებით (საქმე №ბს-1292(კ-18)) წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი მიიჩნია დაუშვებლად, რის შედეგადაც უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება. საკასაციო პალატის აღნიშვნით, „სააპელაციო სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ ატესტაციის ჩატარება სწორედ მოხელის პროფესიული უნარ-ჩვევების დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენას ემსახურება. კერძოდ, გასაუბრების კომპონენტი მოხელის მიერ განეული საქმიანობის შეფასებას და მისი პროფესიული კვალიფიკაციის შემოწმებას ისახავს მიზნად, ხოლო მოხელის მხრიდან მის მიმართ გასაუბრებისას დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაუცემლობით ვერ დადგინდება მისი პროფესიული დონე, მის მიერ დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისობის დადგენის კუთხით. შესაბამისად, კომისია არ იყო უფლებამოსილი მონაწილე თ. ა-ის მიმართ მიეღო სხვაგვარი გადაწყვეტილება“.

ამდენად, ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული აქტი წარმოადგენს კანონშესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რაც გამორიცხავს მ. ჯ-ას გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე აღდგენისა და მის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოპასუხისათვის დავალების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ჯ-ას სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ჯ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კონკრეტულ თანამდებობაზე უარის თქმის გამო
შსს-დან დათხოვნის შესახებ ბრძანების კანონიერება
და შსს-ს სტრუქტურაში დასაქმების საკითხი**

**გადანყვითლება
საქართველოს სახელით**

№ბს-1012(კ-18)

20 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 13 ნოემბერს ა. ტ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2011 წლის 9 მაისიდან მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის სხვადასხვა განყოფილებებში, ხოლო 2016 წლიდან მუშაობდა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლად, საიდანაც პირადი პატაკის საფუძველზე განთავისუფლდა და აყვანილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში.

მოსარჩელის მითითებით, მან 2017 წლის 23 ოქტომბერს წერილობითი განცხადებით (პატაკით) მიმართა ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის დეპარტამენტს და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე დანიშვნა (ამ პერიოდში ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობა იყო ვაკანტური), თუმცა 2017 წლის 28 ოქტომბრის №2600222 წერილობითი პასუხით ეცნობა, რომ მისი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდებოდა, შესაბამისი ვაკანსიის არარსებობის გამო.

მოსარჩელის განმარტებით, 2017 წლის 31 ოქტომბერს მან კვლავ მიმართა ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის დეპარტამენტს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის შესაბამის განყოფილებაში არსებული უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის მოთხოვნით. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბერს №2619538 ბრძანებით მოსარჩელე ა. ტ-ი დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ხოლო 2017 წლის 1 ნოემბრის წერილობითი მომართვით მიეცა რეკომენდაცია, რომ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში უფლება ჰქონდა მიეღო მონაწილეობა მისთვის სასურველი პოზიციის დასაკავებლად.

ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის №2619538 ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის ა. ტ-ის გათავისუფლებამდე დაკავებულ ან სხვა ტოლფას თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენის დავალება და ა. ტ-ის სასარგებლოდ იძულებით განაცდური ხელფასის, თვეში 898 ლარის ანაზღაურების, ასევე განაცდურ პერიოდზე 2017 წლის 30 ოქტომბრიდან (იმ პერიოდიდან, როდესაც უნდა მომხდარიყო მისი აღდგენა) გადაწყვეტილების აღსრულებამდე (თა-

ნამდებობაზე აღდგენის მომენტამდე) დარიცხული დანამატების/პრემიების ანაზღაურების დავალეზა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებელმა, პოლიციის ლეიტენანტმა ა. ტ-მა 2017 წლის 27 ივნისს პატაკით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და მისი დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება და შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში აყვანა მოითხოვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის №1557348 ბრძანებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის ლეიტენანტი ა. თ. ტ-ი გათავისუფლდა თანამდებობიდან და აყვანილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში.

სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ა. ტ-მა 2017 წლის 23 ოქტომბერს №2552294 პატაკით მიმართა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს და განმარტა, რომ 2017 წლის 30 ივნისიდან იმყოფებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში, მზად იყო გაეგრძელებინა სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში. ამდენად, ა. ტ-მა ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა მოითხოვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის 2017 წლის 28 ოქტომბრის №2600222 წერილობითი პასუხით ა. ტ-ს მისი 2017 წლის 23 ოქტომბრის №2552294 პატაკის საფუძველზე ეცნობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილებაში უზნის ინსპექ-

ტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე ვაკანტური ადგილი არ არსებობდა.

2017 წლის 31 ოქტომბერს ა. ტ-მა პატაკით მიმართა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს და მიუთითა, რომ ოჯახური პირობების გამო 2017 წლის 1 ივლისიდან იმყოფებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში, მზად იყო გაეგრძელებინა სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. ამდენად, ა. ტ-მა ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილებაში არსებულ უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა მოითხოვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის №2619538 ბრძანების თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფი, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების ყოფილი უზნის ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის ლეიტენანტი ა. თ. ტ-ი დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის 2017 წლის 1 ნოემბრის №2634964 წერილით ა. ტ-ს მისი 2017 წლის 31 ოქტომბრის №2621073 პატაკის საფუძველზე ეცნობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი პერიოდულად აცხადებდა კონკურსს დეპარტამენტში არსებული ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად. ამავე განცხადებით ა. ტ-ს მიუთითა, რომ სპეციალური კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში შეეძლო დარეგისტრირებულიყო სპეციალურ საიტზე და მონაწილეობა მიეღო მისთვის სასურველი პოზიციის დასაკავებლად კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.

სასამართლომ იქვე განმარტა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში დასაქმებული, სპეციალური და სამხედრო ნოდებების მქონე პირების საქმიანობაზე. ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი კი ადგენს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი პოლიციელებსა და სამინისტროს მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მითითებული კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პოლიციელი არის საჯარო მოხელე, რომელიც მსახურობს სამინისტროში, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეყნეუბო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სპეციალური ნოდები და დადებული აქვთ პოლიციელის ფიცი.

საქალაქო სასამართლოს აღნიშვნით, დადგენილი იყო, რომ ა. ტ-ი, ნოდებით პოლიციის ლეიტენანტი, მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. შესაბამისად, იგი წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს.

სასამართლომ მიუთითა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, პოლიციის ორგანიზაციული მოწყობის სამართლებრივ საფუძვლებს, პოლიციის ფუნქციებს, საპოლიციო ღონისძიებებსა და პოლიციის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივ ფორმებს, პოლიციაში სამსახურის გავლის წესს, პოლიციელის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს, პოლიციის საქმიანობის კონტროლს. ამავე მუხლის მესამე ნაწილით, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში დასაქმებული, სპეციალური და სამხედრო ნოდებების მქონე პირების საქმიანობაზე.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პოლიციაში სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტებით.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებაზე, რომლითაც დამ-

ტვიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (შემდგომში – სამინისტრო) სამსახურის გავლის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ტერიტორიულ ორგანოებსა და მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (შემდგომში – სსიპ) სამსახურის გავლის წესსა და პირობებს.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანების 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, პოლიციელი, სამხედრო მოსამსახურე, საჯარო მოხელე და სამოქალაქო პირი უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არა უმეტეს 4 თვის ვადით პირადი განცხადების (პატაკი) საფუძველზე.

სასამართლომ განმარტა, რომ ანალოგიურ მოწესრიგებას ითვალისწინებდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. პოლიციელი საამისოდ უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, მინისტრი აწესრიგებს სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამინისტროს ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და სხვა თანამშრომლებს, განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს; დასანიშნად წარუდგენს პრემიერ-მინისტრს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეყნებო დანესებულების ხელმძღვანელს.

სასამართლოს მითითებით, დადგენილი იყო, რომ 2017 წლის 27 ივნისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა, პოლიციის ლეიტენანტმა ა. ტ-მა პატაკით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და პირადი განცხადების საფუძველზე მისი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინ-

ნისტროს კადრების განკარგულებაში აყვანა მოითხოვა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის №1557348 ბრძანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის ლეიტენანტი ა. თ. ტ-ი გათავისუფლდა თანამდებობიდან და აყვანილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში. ასევე, დადგენილი იყო, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის №2619538 ბრძანებით, კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის მოტივით, შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფი, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების ყოფილი უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის ლეიტენანტი ა. თ. ტ-ი დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ა. ტ-მა განცხადების წარდგენით გამოხატა ნება კადრების განყოფილებაში გადაყვანის შესახებ, რაზეც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემულ იქნა შესაბამისი ბრძანება 2017 წლის 30 ივნისს. სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანების 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი კადრების განკარგულებაში ყოფნის დროდ განსაზღვრავს მხოლოდ ოთხ თვეს და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება, რაც ნიშნავდა იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი კადრების განკარგულებაში მყოფი მისი თანამშრომელი ოთხთვიანი ვადის გასვლის შემდგომ სამართლებრივად იმავე მდგომარეობისათვის დაექვემდებარებინა. აქედან გამომდინარე, უნდა გამოცემულიყო შესაბამისი ბრძანება მისი კონკრეტულ თანამდებობაზე დანიშვნის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. სასამართლოს მითითებით, დადგენილი იყო, რომ ა. ტ-მა ორჯერ, 2017 წლის 23 ოქტომბერს და 31 ოქტომბერს პატაკით მიმართა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილებაში არსებულ უბნის ინსპექტორ-გამომძი-

ებლის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ 2017 წლის 1 ივლისიდან, ოჯახური პირობების გამო იმყოფებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში, მიმართვის მომენტიდან კი მზად იყო გაეგრძელებინა სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. სასამართლოს მითითებით, ასევე, დადგენილი იყო, რომ ა. ტ-ის დანიშვნა სასურველ თანამდებობაზე არ მომხდარა, მეტიც, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცა 2017 წლის 31 ოქტომბრის №2619538 ბრძანება კადრების განკარგულებაში მყოფი ა. ტ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანების გამოცემის დროისათვის – 2017 წლის 31 ოქტომბრისათვის გასული იყო კადრების განკარგულებაში ყოფნის ოთხთვიანი ვადა. შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილი არ იყო გამოეცა სხვაგვარი შინაარსის ბრძანება ა. ტ-ის მიმართ, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა არ იძლეოდა სხვაგვარი სამართლებრივი მონესრიგების შესაძლებლობას.

სასამართლომ აგრეთვე მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე იმ გარემოებას, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას საქმე არ იქნა შესწავლილი და გამოკვლევითი საფუძვლიანად, ასაბუთებდა სასამართლოსათვის მიცემული ზეპირი ახსნა-განმარტებით, რაც საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ვერ იქნებოდა გაზიარებული.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ წარდგენილი სარჩელი უსაფუძვლო იყო, რადგან ადგილი არ ჰქონდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით გათვალისწინებული კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება შეესაბამებოდა მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებულ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის №2619538 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა-

ზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი უარს ამბობს აღდგენაზე. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან კანონმდებლობა საჯარო მოსამსახურის სამსახურში აღდგენას ცალსახად უკავშირებდა მისი დათხოვნის/გათავისუფლების უკანონობას, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა, შესაბამისად, არ არსებობდა მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ვინაიდან განაცდური ხელფასი ანაზღაურდებოდა დაწესებულების მიერ მოხელის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში, ხოლო რამდენადაც სასამართლომ ბათილად არ ცნო გასაჩივრებული საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის №2619538 ბრძანება, არ არსებობდა საფუძველი მოპასუხისათვის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მოსარჩელის სასარგებლოდ განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრებისა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ტ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 8 მაისის განჩინებით ა. ტ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავ-

შირეზული ფაქტობრივი გარემოებები; თავის მხრივ, აპელანტმა სააპელაციო საჩივრით ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დამატებით ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ აპელანტის მითითებით, გასაჩივრებული ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობა, რომელიც ეკავა მოსარჩელეს, იყო ვაკანტური. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია, რომლის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 26 ოქტომბრის №2585416 ბრძანების თანახმად, ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის 4 ვაკანტურ თანამდებობაზე დაინიშნენ მ. თ-ე, უ. კ-ე, პ. გ-ი, ი. ხ-ა.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გასაჩივრებული საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის №2619538 ბრძანების გამოცემის დროისათვის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობა ვაკანტური არ იყო, რაც ასევე დასტურდებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის 2017 წლის 28 ოქტომბრის №2600222 წერილით.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება მასზედ, რომ წარმოდგენილი სარჩელი უსაფუძვლო იყო, რადგან ადგილი არ ჰქონდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით გათვალისწინებული კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდა მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის №2619538 ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2018 წლის 8 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ტ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, მან 2017 წლის 23 ოქტომბერს მიმართა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის თხოვნით, რაზეც 2017 წლის 28 ოქტომბერს მიიღო უარი, იმ მოტივით, რომ თავისუფალი ვაკანსია არ არსებობდა, თუმცა ამავდროულად, სასამართლოს მიერ მისი შუამდგომლობის საფუძველზე გამოთხოვილ იქნა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, 2017 წლის 26 ოქტომბერს იმავე თანამდებობებზე დაინიშნენ: მ. თ-ე, უ. კ-ე, პ. გ-ი, ი. ხ-ა. დასახელებულმა პირებმა დანიშვნის თაობაზე პატაკით მიმართეს 2017 წლის 24 ოქტომბერს. შესაბამისად, კასატორის მითითებით, შსს-მ არასწორად აცნობა, რომ ვაკანტური თანამდებობა არ არსებობდა. კასატორის განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებული იყო მისი განცხადება განეხილა პრიორიტეტულად სხვა პირებთან შედარებით; ამ ქმედებით ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი, რომელიც ცალსახად მიუთითებს დასაქმებულის უფლებათა დაცვის თაობაზე, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე და 23-ე მუხლები, ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონები.

კასატორის განმარტებით, გათავისუფლების ბრძანების უკანონობა დასტურდება ასევე 2017 წლის 23 ოქტომბრის პატაკით, რომლითაც არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნას ითხოვდა და რომ არა ვაკანსიის დამალვა, ვერ გაათავისუფლებდნენ სამსახურიდან, ვინაიდან, პატაკი იყო ვადაში და შესაბამისად, ვადაშივე იყო შესაძლებელი მისი დანიშვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა. ტ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 ნოემბრის განჩინებით ა. ტ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასა-

ციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ტ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 8 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ტ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ბათილად იქნეს ცნობილი „შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის №2619538 ბრძანება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა დაევალოს ა. ტ-ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში დასაქმების საკითხის განხილვა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებელმა, პოლიციის ლეიტენანტმა ა. ტ-მა 2017 წლის 27 ივნისს პატაკით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და მისი დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება და შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში აყვანა მოითხოვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის №1557348 ბრძანებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის ლეიტენანტი ა. თ. ტ-ი გათავისუფლდა თანამდებობიდან და აყვანილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში.

ა. ტ-მა 2017 წლის 23 ოქტომბერს №2552294 პატაკით მიმართა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს და განმარტა, რომ 2017 წლის 30 ივნისიდან იმყოფებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში, მზად იყო გაეგრძელებინა სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში. ამდენად, ა. ტ-მა ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა მოითხოვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის 2017 წლის 28 ოქტომბრის №2600222 წერილობითი პასუხით ა. ტ-ს მისი 2017 წლის 23 ოქტომბრის №2552294 პატაკის საფუძველზე ეცნობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილებაში უზნის ინსპექ-

ტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე ვაკანტური ადგილი არ არსებობდა.

2017 წლის 31 ოქტომბერს ა. ტ-მა პატაკით მიმართა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს და მიუთითა, რომ ოჯახური პირობების გამო 2017 წლის 1 ივლისიდან იმყოფებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში, მზად იყო გაეგრძელებინა სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. ამდენად, ა. ტ-მა ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილებაში არსებულ უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა მოითხოვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის №2619538 ბრძანების თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფი, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების ყოფილი უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის ლეიტენანტი ა. თ. ტ-ი დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის 2017 წლის 1 ნოემბრის №2634964 წერილით ა. ტ-ს მისი 2017 წლის 31 ოქტომბრის №2621073 პატაკის საფუძველზე ეცნობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი პერიოდულად აცხადებდა კონკურსს დეპარტამენტში არსებული ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად. ამავე განცხადებით ა. ტ-ს მიუთითა, რომ სპეციალური კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში შეეძლო დარეგისტრირებულიყო სპეციალურ საიტზე და მონაწილეობა მიეღო მისთვის სასურველი პოზიციის დასაკავებლად კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო უპირველესად განმარტავს, რომ შრომითი უფლების სრულყოფილი რეალიზების გარანტიები გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 30-ე მუხლით (ამჟამად მოქმედი რედაქციის 26-ე მუხლი), კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომა თავისუფალია. შრომის თავისუფლება, ე.ი. უფლება თავისუფალ შრომაზე, მოიცავს როგორც ადამიანისათვის მინიჭებულ უფლებას, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით

საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4-24, 28.02.1997), ასევე, „სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითვე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007), კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტით „დაცულია არა მარტო უფლება, აირჩიოს სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო“.

საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების (ამჟამად მოქმედი რედაქციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი) თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიზნებისთვის სახელმწიფო სამსახური არის პროფესიული საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სხვა საჯარო ფუნქციის განხორციელების მიზნით ჩამოყალიბებულ ინსტიტუციებში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3). ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი „მოიცავს სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტს, მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტიას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიძე-ლი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ანალოგიური პოზიცია აქვს დაფიქსირებული საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილებაში (იხ. გადაწყვეტილების მე-20 და 21-ე პარაგრაფები). „სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების დაცვით საქართველოს

კონსტიტუცია ესწრაფვის, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მოქალაქეთა თანაბარი დაშვება სახელმწიფო სამსახურში გონივრული და კონსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცვას სახელმწიფო მოსამსახურე მის საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევისგან, რათა მან შეძლოს კონსტიტუციითა და კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7).

საკონსტიტუციო სასამართლო მითითებით, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულება „გულისხმობს, რომ საჯარო მოსამსახურეთა სტატუსი, თანამდებობის დაკავების წესი, მოხელეთა უფლება-მოვალეობები, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები უნდა განისაზღვროს კანონით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 15 ივნისის №1/4/419 განჩინება საქმეზე „ბესიკ გვაჯავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამასთანავე, თავად ეს კანონი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ სტანდარტებს, ანუ 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რაც გულისხმობს სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და ამ თანამდებობისათვის გონივრული პირობების დადგენას, ასევე უზრუნველყოფას იმისა, რომ გაუმართლებლად არ შეიზღუდება მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვაში და განახორციელოს საჯარო მნიშვნელობის ფუნქცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით რეგლამენტირებული თავისუფალი შრომისა და 29-ე მუხლით დაცული სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებათა სამართლებრივი დაცვის გარანტიები გათვალისწინებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითაც. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება, და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. ამასთან, 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე

მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში, ხოლო ამავე დეკლარაციის 23-ე მუხლის თანახმად კი, ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმადაც, დასაქმების შეწყვეტის შემთხვევებში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ აღიარონ: ა) ყველა მუშაკის უფლება არ შეწყდეთ დასაქმება ასეთი შეწყვეტის თაობაზე საპატიო მიზეზების გარეშე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მათ შესაძლებლობასთან ან ქცევასთან ან განპირობებული უნდა იყოს შრომითი დანესებულების, სანარმოს ან სამსახურის ოპერატიული მოთხოვნებით; ბ) მუშაკთა უფლება, რომელთა დასაქმება შეწყვეტილი იქნება საპატიო მიზეზების გარეშე, სათანადო კომპენსაცი-აზე ან სხვა შესაბამის დაკმაყოფილებაზე.

ამ მხრივ მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყონ, მუშაკის, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი დასაქმება შეწყდა საპატიო მიზეზების გარეშე, მიუკერძოებელ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება.

აღნიშნულ დანაწესთა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში ინდივიდთა შრომითი უფლებების დაცვისათვის ქმედითი მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს ვალდებულია წარმოადგენს. ხსენებული ვალდებულების ზედმინევიანი განხორციელების საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან თავს იჩენს მით უფრო საჯარო სექტორში, სადაც სახელმწიფო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ, თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავად გვევლინება დამსაქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმებულ საჯარო მოხელეთა უფლებების, განსაკუთრებით კი, შრომითი უფლებების დაცვის სავალდებულოობის ხარისხს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დანესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

მითითებული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახაზინო (საბიუჯეტო) დანესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დანესებულება, რომლის ძირითადი ამოცანაა საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი ადგენს და განსაზღვრავს იმ დანესებულებათა ჩამონათვალს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, კერძოდ, „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ასეთ დანესებულებებს წარმოადგენენ: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს სამინისტროები და სახელმწიფო საქვეყნებო დანესებულებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის დასახელებული რედაქციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, პოლიციის ორგანიზაციული მოწყობის სამართლებრივ საფუძვლებს, პოლიციის ფუნქციებს, საპოლიციო ღონისძიებებსა და პოლიციის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივ ფორმებს, პოლიციაში სამსახურის გავლის წესს, პოლიციელის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს, პოლიციის საქმიანობის კონტროლს. მითითებული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში დასაქმებული, სპეციალური და სამხედრო ნოდებების მქონე პირების საქმიანობაზე. ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი კი ადგენს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი პოლიციელებსა და სამინისტროს მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მითითებული კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პოლიციელი არის საჯარო მოხელე, რომელიც მსახურობს სამინისტროში, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავა-

ლი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სპეციალური ნოდებები და დადებული აქვთ პოლიციელის ფიცი.

ამასთან, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პოლიციაში სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტებით.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესზე“, რომელიც განსაზღვრავს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ტერიტორიულ ორგანოებსა და მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში სამსახურის გავლის წესსა და პირობებს. აღნიშნული წესის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციელი, სამხედრო მოსამსახურე, საჯარო მოხელე და სამოქალაქო პირი უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არა უმეტეს 4 თვის ვადით პირადი განცხადების (პატაკი) საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო აგრეთვე მიუთითებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, პოლიციელი საამისოდ უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, მინისტრი ანესრიგებს სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამინისტროს ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და სხვა თანამშრომლებს, განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს; დასანიშნად წარუდგენს პრემიერ-მინისტრს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელს.

საკასაციო სასამართლო განმეორებით მიუთითებს საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, 2017 წლის 27 ივნისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტა-

მენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებელმა, პოლიციის ლეიტენანტმა ა. ტ-მა პატაკით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და პირადი განცხადების საფუძველზე მისი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში აყვანა მოითხოვა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის №1557348 ბრძანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის ლეიტენანტი ა. თ. ტ-ი გათავისუფლდა თანამდებობიდან და აყვანილი იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის №2619538 ბრძანებით, კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის მოტივით, შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფი, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების ყოფილი უზნის ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის ლეიტენანტი ა. თ. ტ-ი დათხოვნილი იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში.

საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა სამართლებრივ შეფასებებს მასზედ, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანების 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი კადრების განკარგულებაში ყოფნის დროდ განსაზღვრავს მხოლოდ ოთხ თვეს და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ არც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და არც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში პროფესიული საჯარო მოხელის დასაქმებისა და სამსახურის გავლის პირობების მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტი არ ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, კადრების განკარგულებაში საჯარო მოხელის ყოფნის ოთხთვიანი ვადის ამონუნრვამდე აუცილებლად უზრუნველყოს მისთვის ვაკანტური თანამდებობის გამონახვა ან გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე მისი დაბრუნების მიზნით ხსენებულ პოზიციაზე გამოცხადებულ ვაკანსიაში კადრების განკარგუ-

ლებაში მყოფი კონკრეტული მოხელისათვის მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის სავალდებულო წესით მიცემა. შესაბამისად, ამგვარი მოცემულობა მიუთითებს კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მოხელეთა ხელახალ დანიშვნასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მიმართ საჯარო სამსახურის მხრიდან არსებულ დისკრეციულ უფლებამოსილებაზე, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ მოხელის უშუალოდ საჯარო სამსახურის ინიციატივით დანიშვნასთან მიმართებით, არამედ ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც კადრების განკარგულებაში მყოფი მოხელე თავად გამოთქვამს ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის სურვილს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია მოქმედების ფართო, თუმცა კანონმდებლობით შეზღუდული არეალი, რომ შეაფასოს და გადაწყვიტოს მოხელის კადრების განკარგულებიდან გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე ხელახალი დანიშვნის საკითხი. თუმცა რამდენადაც არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, ადმინისტრაციული ორგანოს თავისუფალი მოქმედების სფერო შეზღუდულია კანონით და მთავრდება იქ, სადაც იწყება კანონით დადგენილი შეზღუდვები.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლო ზემოხსენებულ სამართლებრივ დანაწესებზე დაყრდნობით განმარტავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებას ნაყენება

დასაბუთების ვალდებულება იმდენად, რამდენადაც აღნიშნული გადაწყვეტილების სწორედ ფაქტობრივ-სამართლებრივი წინამძღვრები იძლევა საშუალებას შემონმდეს დისკრეციის გამოყენების კანონიერება. გადაწყვეტილების სწორედ რელევანტური მოტივირება განაპირობებს მის მიმართ აქტის ადრესატის მხრიდან კანონიერების განცდის ჩამოყალიბებას. ამასთან, საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულად მიჩნევისათვის საკმარისი არ არის დასაბუთების მხოლოდ ფორმალურად არსებობა. გადამწყვეტია, რომ დასაბუთება იყოს შედეგის მიმართ შინაარსობრივად ადეკვატური, სათანადო, რელევანტური, რომელიც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოსა თუ სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, შეამოწმოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოთხოვილ ინფორმაციაზე, რომლის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 26 ოქტომბრის №2585416 ბრძანების თანახმად, ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის 4 ვაკანტურ თანამდებობაზე დაინიშნენ მ. თ.-ე, უ. კ.-ე, პ. გ.-ი, ი. ხ.-ა. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის №2619538 ბრძანების გამოცემის დროისათვის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობა ვაკანტური არ იყო, რაც ასევე დასტურდებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის 2017 წლის 28 ოქტომბრის №2600222 წერილით.

საკასაციო პალატა ხაზგასმით მიუთითებს გამოთხოვილი ბრძანებითვე დადასტურებულ არსებით ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ, მ. თ.-ის, უ. კ.-ის, პ. გ.-ისა და ი. ხ.-ას „თანამდებობაზე დაინიშვნის და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 26 ოქტომბრის №2585416 ბრძანების მიხედვით, დასახელებული ბრძანების გამოცემის საფუძველს წარმოადგენდა შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თ. მ.-ის, მ თ.-ის, თ. თ.-ას, პ. გ.-ისა და ი. ხ.-ას 2017 წლის 24 ოქტომბრის №2565386 პატაკები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არსებით მნიშვნელობას იძენს ის გარემოება, რომ მო-

სარჩელე ა. ტ-ს პატაკი 2017 წლის 23 ოქტომბერს, კერძოდ, ინსპექტორ-გამომძიებლის 4 ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშნული პირების მიმართვამდე აქვს წარდგენილი. ყურადსაღებია თავად გასაჩივრებულ აქტში მოხმობილი არგუმენტაციაც, რომლის შესაბამისად, ა. ტ-ს პასუხი გაეცა, რომ თანამდებობა, რომელზეც მას სურდა დანიშვნა, ბრძანების გამოცემის დროისათვის ვაკანტური არ იყო.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოთხოვილ ინფორმაციასთან დაკავშირებით გაკეთებულ დასკვნებს და განმარტავს, რომ აღნიშნული ფაქტობრივი მოცემულობა ადასტურებს იმას, რომ ა. ტ-ის მიერ პატაკის წარდგენის დროს როგორც მოსარჩელისათვის, ასევე, 24 ოქტომბერს წარდგენილი პატაკის ავტორებისათვის, ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობა ვაკანტური იყო. შესაბამისად, გაუმართლებელია, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შეუძლებლობა მოტივირებული ყოფილიყო იმით, რომ თანამდებობა არ იყო ვაკანტური, მაშინ, როდესაც 24 ოქტომბერს წარდგენილი პატაკის ავტორებისათვის იმავე თანამდებობა ვაკანტურად იქნა მიჩნეული. ვაკანტური თანამდებობის არარსებობის პირობებში, ვერც მ. თ. ის, უ. კ-ის, პ. გ-ისა და ი. ხ-ას მოთხოვნილ თანამდებობებზე დანიშვნა იქნებოდა შესაძლებელი. ამდენად, სამართლებრივ წინააღმდეგობას ქმნის ის ვითარება, რომ აღნიშნულ პირთა მიმართ დადებითი გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი წინაპირობა აბსოლუტურად იმავე სამართლებრივ სივრცეში მყოფი ა. ტ-ისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად იქცა, რამაც შემდგომში სადავო ბრძანების გამოცემა განაპირობა. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ა. ტ-ის პატაკი ზემოხსენებულ პირთა პატაკებზე ერთი დღით ადრე იქნა წარდგენილი, რაც ხაზს უსვამს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მოსარჩელისათვის გაცემული წერილობითი პასუხის უსაფუძველობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ა. ტ-ის საკითხის სათანადოდ განხილვას შესაძლოა მისი ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა მოჰყოლოდა. ამდენად, სადავოდ გამხდარი ბრძანების გამოცემას, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ა. ტ-ის დასაქმების საკითხის არასათანადო განხილვამ, რასაც შემდგომში მოჰყვა მოსარჩელის მიერ 2017 წლის 23 ოქტომბერს წარდგენილ №2552294 პატაკზე არასათანა-

დო, რელევანტურ დასაბუთებას მოკლებული წერილობითი პასუხის გაცემა იმდენად, რამდენადაც იგი დაემყარა აღნიშნული პასუხის მომენტისათვის და არა ა. ტ-ის მიერ პატაკით მიმართვის დროისათვის არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას. ფაქტია, რომ 2017 წლის 26 ოქტომბერს ვაკანტურ თანამდებობებზე პირთა დანიშვნის ფონზე, ამავე წლის 28 ოქტომბრისათვის თანამდებობა ვაკანტური აღარ იქნებოდა. ამდენად, მითითებული არგუმენტი ვერ იქნება მიჩნეული მოსარჩელის დასაქმების შეუძლებლობის სათანადო გამამართლებელ ფაქტობრივ გარემოებად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მოსარჩელისათვის გაცემული 2017 წლის 28 ოქტომბრის №2600222 წერილობითი პასუხი მიუთითებს იმაზე, რომ ა. ტ-ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ხელახალი დასაქმების საკითხი არ იქნა სათანადოდ განხილული, რამდენადაც რელევანტურ დასაბუთებას მოკლებული, ფაქტობრივ გარემოებებთან შეუსაბამო წერილობითი პასუხით მიღებული შედეგი არ აკმაყოფილებს დასაბუთების იმ სტანდარტს, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება ფარგლებში მოქმედების მოტივირებისათვის ადმინისტრაციული კანონმდებლობით ნარეგულირდება.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული მოცემულობის არსებობის პირობებში და თავად წერილობითი პასუხის შინაარსობრივი მხარის გათვალისწინებითაც კი, არ გამოირიცხება დისკრეციის ფარგლებში მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების საპირისპირო, ა. ტ-ის სასარგებლო შედეგის დადგომის შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო მოხელის ხელახალი დასაქმების საკითხის შეფასება-გადაწყვეტა ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც საჯარო დანესებულების, დისკრეციის სფეროს მიეკუთვნება, განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არც ა. ტ-ის კონკრეტულ თანამდებობასთან შეუსაბამობის, არც აღნიშნული თანამდებობის დაკავებისათვის საჭირო მისი პიროვნული თვისებების, კვალიფიკაციისა თუ უნარ-ჩვევების არარსებობის მოტივით არ აქვს გამოირიცხული მოსარჩელის დასაქმების შესაძლებლობები, რაც ავტომატურად მიუთითებს იმაზე, რომ ხსენებული საკითხის სათანადო შეფასებას შესაძლოა ა. ტ-ისათვის საპირისპირო შედეგი, ანუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში დასაქმება გამოენვიო.

ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ კონკრეტულად არ იქნა დასაბუთებული ის, თუ რატომ არ იქნა განხილული პატაკით მოთხოვნილ თანამდებობაზე ა. ტ-ის დანიშვნის საკითხი სხვა პირთა მოთხოვნებთან ერთობლიობაში, კონკრეტულად რა ფაქტობრივმა გარემოებებმა განაპირობა მოსარჩელის მიმართვიდან ერთი დღის შემდგომ წარდგენილი პატაკების ა. ტ-ის პატაკთან შედარებით უპირატესი განხილვა. საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, მიუთითებს, რომ პირის კადრების განკარგულებაში ყოფნა არ წარმოადგენს იმ საპატიო გარემოებას, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს და, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში არსებულ საჯარო დაწესებულებებსაც, მოუხსნიდა ვალდებულებას, დაესაბუთებინა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით მოტივირებული მოქმედებისა თუ ამ ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება და მიზანშეწონილობა. მეტიც, კადრების განკარგულებაში მყოფ პირს გააჩნია აბსოლუტურად ლეგიტიმური მოლოდინი იმისა, რომ პირველივე შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება გამოიჩინოს მზაობასა და უპირველეს ინტერესს შესაბამის თანამდებობაზე მისი დასაქმების მიმართ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული ორგანო ასეთი პირების გათავისუფლებამდე და კადრების განკარგულებაში გადაყვანამდე დაკავებულ პოზიციაზე დანიშვნისა და, მით უფრო, კონკრეტულ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით წარდგენილი მოთხოვნის განხილვისას, მოხელის უფლებათა დაცვის მიმართ აღიჭურვება განსაკუთრებული პასუხისმგებლობით. კერძოდ, ასეთ ვითარებაში, ადმინისტრაციულ ორგანოს წაეყენება მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების მაღალი სტანდარტი, რომელიც მართებულიად განხილვის შედეგად დადებითი თუ უარყოფითი, თუმცა მოტივირებული და მყარად დასაბუთებული პასუხის გაცემაში უნდა ჰპოვებდეს ასახვას. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კადრების განკარგულებაში ყოფნა არც ერთ შემთხვევაში არ იწვევს საჯარო დაწესებულების მხრიდან ამგვარ მოხელეთა მიმართ არსებულ პასუხისმგებლობათა შემცირებას, პირიქით, ასეთი მოცემულობა ზრდის კიდევ ამგვარი პირების მიმართ გატარებულ კონკრეტულ სამართლებრივ ღონისძიებათა კანონიერების დასაბუთების ხარისხს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კადრების განკარგულებაში მყოფი პირის მიერ კონკრეტულ თანამდებობაზე დანიშვნის საკითხის შეფასებისას, საჯარო დაწესებულება ვალდებულია იმსჯელოს და საბოლოოდ მიღებულ გადაწყვეტილებაში ასახოს მოხე-

ლის მიერ კონკრეტული თანამდებობის დაკავების შესაძლებლობები, მისი აღნიშნულ თანამდებობასთან შესაბამისობა, ამასთან, მოხელის კომპეტენციის, უნარ-ჩვევებისა თუ პიროვნული თვისებების მიმოხილვის ფონზე დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების და, მით უფრო, უარყოფითი შედეგის მართებულობა.

საკასაციო პალატა, აგრეთვე, განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ზემოაღნიშნული გაუთვალისწინებელი გარემოებების პარალელურად, არ იქნა დასაბუთებული ის, თუ კონკრეტული თანამდებობის დაკავებისათვის საჭირო რა პირობებს ვერ აკმაყოფილებდა მოსარჩელე, კონკრეტულად რომელმა პიროვნულმა თვისებამ, უნარ-ჩვევებმა, მახასიათებლებმა თუ სხვაგვარმა მოცემულობამ განაპირობა ა. ტ-თან შედარებით ქუთაისის საქალაქო სამართველოს პოლიციის ... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად დანიშნული ოთხი პირისათვის უპირატესობის მინიჭება, ამასთან, რა გამორიცხავდა პირადი მიზეზებითა და საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე გათავისუფლებული მოხელის იმავე თანამდებობაზე ხელახალი დანიშვნის შესაძლებლობას.

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც ა. ტ-ის 2017 წლის 23 ოქტომბერს №2552294 პატაკს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არ გაეცა სათანადო პასუხი, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის დასაქმების საკითხის შესაბამის განხილვასა და შეფასებას შესაძლოა არ მოჰყოლოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის №2619538 ბრძანების გამოცემა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის №2619538 ბრძანება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და მოპასუხეს უნდა დაევალოს ა. ტ-ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში დასაქმების საკითხის განხილვა.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის

თანახმად კი, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საკასაციო სასამართლო უპირველესად მიუთითებს, რომ მოპასუხის მხრიდან ა. ტ-ის მოთხოვნილ თანამდებობაზე დანიშვნის საკითხის შეუფასებლობის პირობებში, ამ ეტაპისათვის არ არსებობს მისი თანამდებობაზე აღდგენისა და მისთვის იძულებითი განაცდურის მიცემის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით, თავისი არსით განსახილველ დავასთან მიმართებით უსაფუძვლოა, რამდენადაც სამსახურში აღდგენის უმთავრეს წინაპირობას მოხელის სამსახურიდან უკანონო გათავისუფლება წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, საგულისხმოა ის, რომ დავა, ფაქტობრივად, შეეხება არა მოხელის სამსახურიდან შესაძლო უკანონო გათავისუფლებას, არამედ მისთვის კონკრეტულ თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევას. ამდენად, ზემოაღნიშნული შემთხვევები ქმნის ორ ურთიერთგანსხვავებულ მოცემულობას, რის გამოც ა. ტ-ის მიერ წარმოდგენილი სარჩელი სამსახურში აღდგენის ნაწილში იმთავითვე უსაფუძვლოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხი თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლებას უკავშირდება. რამდენადაც მოცემული დავა შეეხება მოსარჩელისთვის კონკრეტულ თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევას, ასევე უსაფუძვლოა მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს მოსარჩელის დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენისა და მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის იძულებითი განაცდურის დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ტ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 8 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ტ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ბათილად იქნეს ცნობილი „შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017

ნლის 31 ოქტომბრის №2619538 ბრძანება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა დაევალოს ა. ტ-ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში დასაქმების საკითხის განხილვა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ა. ტ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 8 მაისის განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნეს ცნობილი „შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის №2619538 ბრძანება;
5. მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალოს ა. ტ-ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში დასაქმების საკითხის განხილვა;
6. ა. ტ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. საპენსიო დავები

შენწყვეტილი პენსიის ხელახლა დანიშვნა

გადანყვეთილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-444-444(კ-18)

17 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობით:
თავმჯდომარე: ნ. სხირტლაძე (მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: მიუღებელი პენსიის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

16.08.2016წ. გ. კ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-20/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეწყვეტილი სახელმწიფო პენსიის გაცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.09.2017წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-20/16 გადაწყვეტილება, სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს დავებულა გ. კ-ისათვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეწყვეტილი სახელმწიფო პენსიის აღდგენა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. კ-ე (დაბ. ...წ.) 2011 წლის 01 იანვრიდან მუშაობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“, იმავე დროულად იღებდა ასაკობრივი საფუძვლით დანიშნულ სახელმწიფო პენსიას, რომელიც შეუწყდა 2013 წლის დეკემბერში. გ. კ-ემ 2016 წლის ივლისის თვეში განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრს და მოითხოვა სახელმწიფო პენსიის აღდგენა, რაზეც

სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-20/16 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა საჯარო საქმიანობის განხორციელების საფუძვლით. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი მიღებული იყო სზაკ-ის მოთხოვნათა დარღვევით და საკასაციო სასამართლოს №ბს-77-75(კ-15) 02.07.2015წ. განჩინებაზე მითითებით აღნიშნა, რომ მოსარჩელე გ. კ-ე საქმიანობდა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში – სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრ „დელტაში“, რის გამოც მისი საქმიანობა არ ჩაითვლება საჯარო საქმიანობად, მისთვის პენსიის შეწყვეტა არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. ადგილი არ აქვს პენსიის მოპოვების შემთხვევას, ვინაიდან გ. კ-ეს პენსიის მიღების უფლება მოპოვებული ჰქონდა, რაც მას არ დაუკარგავს, ის მოითხოვს უკანონოდ შეწყვეტილი პენსიის აღდგენას. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გ. კ-ის პენსიის შეწყვეტასთან დაკავშირებით რაიმე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოუცია და მოსარჩელისათვის არ ჩაუბარებია, გარდა გასაჩივრებული სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს 08.08.2016წ. №57995-20/16 გადაწყვეტილებისა. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. კ-ისათვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარი ეწინააღმდეგება კანონს, შესაბამისად არსებობდა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს 08.08.2016წ. №57995-20/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და 2013 წლის 01 დეკემბრიდან გ. კ-ათვის სახელმწიფო პენსიის აღდგენის საფუძველი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.02.2018წ. განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტები სადავო საკითხთან დაკავშირებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. კ-ეს 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეუწყდა სახელმწიფო პენსიის მიღება იმ საფუძვლით, რომ იგი საქმიანობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრს „დელტაში“, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“ იყო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, სადაც დასაქმება არ უნდა მიჩნეულიყო საჯარო საქმიანობად, ვინაიდან გ. კ-ეს სახელ-

მნიფო პენსიის გაცემა შეუწყდა ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამო, მას სრულად უნდა ანაზღაურებოდა შეწყვეტილი პერიოდის პენსიის თანხა, როგორც მიუღებელი შემოსავალი, რომელსაც მოსარჩელე მიიღებდა, კანონდარღვევით რომ არ მომხდარიყო მისი შეწყვეტა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მართებული იყო გ. კ-ის სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, მათ შორის ზიანის სახით 2013-2016წ.წ. მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნაწილშიც.

გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

კასატორი – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კასატორი მიუთითებს საკასაციო სასამართლოს სუს №ბზ-481-478(2კ-17) განჩინებაზე და აღნიშნავს, რომ ზიანის სახით დაკისრებული თანხის ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს პრაქტიკას. მოსარჩელეს 2013 წლის დეკემბერში შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა, აღნიშნული პერიოდის მისთვის ცნობილი იყო პენსიის შეწყვეტის შესახებ, რაც მას სადავოდ არ გაუხდია 2016 წლამდე. გ. კ-ეს 2016 წლის ივლისის თვემდე არ მიუძღვრათ ადმინისტრაციული ორგანოსთვის პენსიის შეწყვეტის უკანონოდ მიჩნევის და პენსიის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით. სზაკ-ის 177.2, 180-ე მუხლები ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, რაც გ. კ-ეს არ განუხორციელებია 2016 წლამდე. აღნიშნულის გამო არ არსებობდა 2016 წლამდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია აგრეთვე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაზე, რაც სკ-ის 129-ე მუხლის თანახმად შეადგენს სამ წელს და ვადის ათვლა იწყება იმ დროიდან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებლობის გარდა გ. კ-ის მოთხოვნა არის ხანდაზმულიც, რაც მართებულად გახდა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს სსიპ სსსტ ცენტრ „დელტას“ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად მიჩნევას. სსიპ სსსტ ცენტრ „დელტა“ არ არის „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინ-

ნებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. თავდაცვის მინისტრის 15.08.2015წ. №25 ბრძანებით დამტკიცებული იქნა სსიპ სსსტ ცენტრ „დელტას“ წესდება, რომლითაც არ არის გათვალისწინებული მისი სამეცნიერო ფუნქცია. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ 09.02.2017წ. №04/8010 წერილით მიმართა „დელტას“ და 27.02.2017წ. №338 წერილობითი პასუხით ადმინისტრაციულმა ორგანომ უარყო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ბუნება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორი თვლის, რომ არასწორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ სსსტ ცენტრ „დელტა“ მიჩნეული იქნა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად, რის გამოც გ. კ-ეს სწორად ეთქვა უარი სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე.

საკასაციო სასამართლოს 11.07.2018წ. განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-20/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემელის დანიშვნისა და ამავე პერიოდიდან მიუღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის გ. კ-ის სასარგებლოდ ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. მითითებულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.08.2018წ. განჩინება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის გ. კ-ის სასარგებლოდ 01.12.2013წ.-01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მითითებულ ნაწილში განსხვავდებოდა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (სუს №ბს-481-478(2კ-17) 20.07.2017წ. განჩინება), რაც სასკ-ის 34.3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის წინაპირობას წარმოადგენდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინების და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი გ. კ-ის სასარგებლოდ 01.12.2013წ.-01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში საფუძვლიანია, ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით არ დაკმაყოფილდეს გ. კ-ის სარჩელი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. კ-ე (დაბ. ...ნ.) 2011 წლიდან მუშაობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ და იღებდა ასაკობრივი საფუძვლით დანიშნულ სახელმწიფო პენსიას. სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუშაობის გამო გ. კ-ეს 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეუწყდა სახელმწიფო პენსიის გაცემა. მან 2016 წლის ივლისის თვეში განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრს და მოითხოვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნა, რაზეც სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-20/16 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა. თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 09.08.2016წ. წერილით გ. კ-ის წარმომადგენლის ხ. ხ-სადმი უარის თქმის საფუძვლად მიეთითა ის გარემოება, რომ გ. კ-ე მუშაობდა სსიპ სსსტ ცენტრ „დელტაში“, სადაც საქმიანობა ითვლებოდა საჯარო სამსახურში საქმიანობად, აღნიშნული გარემოება გამორიცხავდა პარალელურად სახელმწიფო პენსიის მიღებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-20/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემელის დანიშვნისა და ამავე პერიოდიდან მიუღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის გ. კ-ის სასარგებლოდ ანაზღაურების ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში, ვინაიდან გადაწყვეტილების ამ ნაწილზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი საკასაციო სასამართლოს 11.07.2018წ. განჩინებით, რის გამოც საკასაციო პალატის შეფასების საგანია განჩინების კანონიერება მხოლოდ გ. კ-ის სასარგებლოდ 01.12.2013წ.-01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში (5.3 მუხ., 17 მუხ.). იგივე დათქმას შეიცავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესი“ (4.3 მუხ., 9.1 „ბ“ ქვეპ.). პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, პენსია ხელახლა ინიშნება საერთო წესით („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 16.2 მუხ., 14.2 მუხ., „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 9.3 მუხ.), შეწყვე-

ტიდან პენსიის ხელახლა დანიშვნამდე სახელმწიფო გასაცემელი არ ინიშნება.

2013 წლიდან პენსიის გაცემის საფუძველს არ ქმნის პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება წერილობით არ გამოცემულა. ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებები, რომლებიც მას ადმინისტრაციული კანონმდებლობით აქვს მინიჭებული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით ან რეალაქტებით რეალიზდება. პენსიის შეჩერება-შენწყვეტის გადაწყვეტილებების ასახვას სააგენტო ინდივიდუალურად ახორციელებდა თითოეული პენსიონერის მიმართ, ე.წ. „სამმართველო ინფორმაციაში“, რომელიც შიდა გამოყენების დოკუმენტაციას წარმოადგენს, სადაც ხდება თითოეული პირის მიმართ მიღებული წერილობითი ან ზეპირი გადაწყვეტილებების მოკლე შინაარსის ასახვა, ბენეფიციარის დაინტერესების, წერილობითი მომართვის შემთხვევაში სააგენტო უზრუნველყოფდა მისთვის დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას „სამმართველო ინფორმაციის“ შესაბამისად. პენსიის შეწყვეტის მომენტში მოქმედი სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 27.09.07წ. №02/64 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიისა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნა-ცვლილებების გაფორმებისა და მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ“ ინსტრუქციის მე-8 მუხლი ითვალისწინებდა ამონაწერის, როგორც დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცემას დაინტერესებული მხარისათვის წერილობითი განაცხადის საფუძველზე („სამმართველოს ინფორმაცია“ ასევე დამტკიცდა სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უფლებამონაცვლის (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 27.06.07წ. №190/ნ ბრძანების მე-2 მუხ.) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 29.09.14წ. №04-305/ო ბრძანებით).

საქმის გარემოებებით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ გ. კ-ემ იცოდა სამსახურის გამო მისთვის ასაკის პენსიის შეწყვეტის შესახებ, მას შეეძლო გადაემოწმებინა პირადი საპენსიო ანგარიში და შემდგომ მოეთხოვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის შეწყვეტილი პენსიის აღდგენა (პენსიის აღდგენას და ასევე გასული პერიოდისათვის მიუღებელი პენსიის ანაზღაურებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, ასეთ შემთხვევაში პენსიის შეწყვეტა თავისი არსით შესაძლოა მიჩნეული იქნეს პენსიის შეჩერებად). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაკ-ი ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას

წერილობით ან ზეპირად. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე თვლიდა საჯარო სამსახურის დაწყების გამო პენსიის შეწყვეტას მისი უფლების შეზღუდვად, მას უნდა მოეთხოვა აქტის წერილობითი გამოცემა და უნდა გაესაჩივრებინა აქტი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს 2013 წლის დეკემბრიდან შეუწყდა სახელმწიფო პენსია, გ. კ-ეს პენსიის გაუცემლობა წლების განმავლობაში სადავოდ არ გაუხდია, მას არც ყოველთვიური სარგებლის გაუცემლობის სახით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს უმოქმედობა გაუსაჩივრებია, არ აღუძრავს შეცილებითი ან მიკუთვნებითი სარჩელი. სზაკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირს აქვს უფლება სადავო გახადოს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არამედ გასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება – მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ერთი თვის ვადაში უნდა გასაჩივრდეს იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული პირისათვის ცნობილი გახდა მოქმედების განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. სზაკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2013 წლის 01 დეკემბრიდან სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის თაობაზე გ. კ-ისათვის ცნობილი იყო შემდეგ პერიოდში ყოველთვიური პენსიის შეწყვეტის გაუცემლობის ფაქტი (აღნიშნულის უარსაყოფად მოსარჩელე არ უთითებს რაიმე მტკიცებულებაზე ან გარემოებაზე). წლების განმავლობაში პენსიის მიუღებლობა ადასტურებს იმას, რომ მოსარჩელისათვის უთუოდ ცნობილი იყო მისი შეწყვეტის შესახებ, აღნიშნულს თავად მოსარჩელეც ადასტურებს, რომელიც სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავს, რომ პენსიის 2013 წელს შეწყვეტის მიზეზის გასარკვევად სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 21.07.16წ. მიმართა. თვით ის ფაქტი, რომ გ. კ-ეს სადავოდ არ გაუხდია პენსიის შეწყვეტა 3 წლის განმავლობაში, სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიმართვისას მოითხოვა პენსიის დანიშვნა და არა გასული პერიოდის საპენსიო თანხა (თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 09.08.16წ. წერილით დასტურდება, რომ 19.07.16წ. №57995, 20.07.16წ., №58577, №58582 განცხადებებით მოსარჩელის წარმომადგენელი ითხოვდა საპენსიო პაკეტის დანიშვნას), ადასტურებს იმ გარემოებას, რომ გ. კ-ემ იცოდა პენსიის შეწყვეტის შესახებ და სოციალური უზრუნველყოფის ორგა-

ნოსათვის პრეტენზია არ წარუდგენია 2016 წლის ივლისამდე. მანამდე პენსიის შეწყვეტა გ. კ-ეს არ გაუსაჩივრებია როგორც უკანონო ადმინისტრაციული აქტი (სასკ-ის 22-ე მუხ.), როგორც ვირტუალური ადმინისტრაციული აქტი (სზკ-ის 177-ე მუხ.) ან როგორც უკანონო ქმედება (სასკ-ის 24-ე მუხ.). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველასათვის გარანტირებულია ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. არ დასტურდება გ. კ-ის სასამართლოსადმი მიმართვის რაიმე დამაბრკოლებელი გარემოების არსებობა. არ დგინდება, რომ 2016 წლის ივლისის თვემდე გ. კ-ე პენსიის შეწყვეტა ანუ მისი უფლებების ხელყოფა რაიმე ფორმით სადავოდ გახადა ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში.

პენსიის შეწყვეტის საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე საფუძვლით პენსიის დანიშვნა არ ნიშნავს პენსიის აღდგენას. პენსიის განახლება დასაშვებია პენსიის შეჩერების შემთხვევაში („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხ.), შეჩერებული პენსიის განახლება მოხდება პენსიის მიმღები პირის მიერ სააგენტოში პენსიის განახლების თაობაზე განცხადების შეტანიდან მომდევნო თვეს და ანაზღაურდება წარსული დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან, ხოლო პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში ხდება მისი ახლიდან დანიშვნა.

გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილით სასამართლომ ბათილად ცნო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა და მიუღებელი სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება იმ პერიოდიდან, როდესაც მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სააგენტოს სახელმწიფო პენსიის დანიშვნის მოთხოვნით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო პენსიასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობების წარმოშობისათვის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობა არ არის საკმარისი. ასე მაგ. პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა თავისთავად არ იწვევს მისთვის პენსიის დანიშვნას, კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში პენსიის დანიშვნა ხდება პენსიის დანიშვნის შესახებ პირის განცხადებით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსთვის მიმართვის საფუძველზე. ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტის შედეგების აღმოფხვრა, სახელმწიფო პენსიის გაცემის აღდგენა საჭიროებდა პენსიის შეწყვეტის გასაჩივრებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამდენად, არ დგინდება პენსიის შეწყვეტის უკანონობა და შესაბამისად ზიანის ანაზღ-

დაურების საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება პენსიის აღდგენის შესახებ არ არის დასაბუთებული, ვინაიდან პენსიის შეწყვეტის შემდეგ ხდება არა პენსიის განახლება, არამედ ხელახალი დანიშვნა, შეწყვეტილი პენსიის ხელახლა დანიშვნა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად. აღნიშნულს არ უარყოფს სუს 02.07.15წ. №ბს-77-75(კ-15) გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო სამხედრო-სამეცნიერო ცენტრ „დელტას“ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად მიჩნევა, და შესაბამისად სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ საქმიანობის საჯარო სამსახურად არ მიჩნევა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო განმარტებას დინამიური ხასიათი აქვს, ამასთანავე ახალ განმარტებას მნიშვნელობა აქვს სამომავლო ურთიერთობების გადაწყვეტისათვის, ის არ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას და მანამდე მიღებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის საფუძველს (სუს 17.07.03წ., №3გ/ად-187-კ-02; 22.04.04წ., №ბს-1074-15-ა-03). პენსიის შეწყვეტა არის ერთჯერადი აქტი, მას არ აქვს განგრძობადი ხასიათი, პენსიის შეწყვეტისთანავე ის დასრულებულია, რის გამოც არ დგას სუს 02.07.15წ. №ბს-77-75(კ-15) გადაწყვეტილების ამ ურთიერთობებზე გავრცელების საკითხი.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ პენსიის შეწყვეტაზე პრეტენზიის 2016 წლის ივლისის თვეში დასმით გ. კ-ემ მოიპოვა პენსიის მიღების უფლება სააგენტოსადმი მიმართვის მომდევნო (2016 წლის აგვისტო) თვიდან („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 14.2 მუხ.) და არა 2013 წლის 01 დეკემბრიდან. პენსიის შეწყვეტას გ. კ-ე დაეთანხმა, მას არ გაუსაჩივრებია პენსიის შეწყვეტა, რის გამოც 2013 წლის 01 დეკემბრიდან 2016 წლის 01 აგვისტომდე მიუღებელი პენსიის სახით თანხის ანაზღაურების მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს 01.12.2013წ.-01.08.2016წ. პერიოდში მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძველები. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა შეესაბამება მითითებულ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას (იხ. სუს №ბს-481-478(2კ-17) 20.07.2017წ., №ბს-887-883(კ-17) 15.03.2018წ. განჩინებები).

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს პასუხებს სააპელაციო საჩივარში მოყვანილ არგუმენტებზე. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასა-

ციო საჩივრის დასაშვებად ცნობილ ნაწილში სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების და სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან სსკ-ის 129-ე მუხლის თანახმად პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი, რაც მოცემულ შემთხვევაში გასული არ არის. ამდენად, საკასაციო სასამართლო ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნას ხანდაზმულად არ მიიჩნევს. ზემოთმითითებული საფუძვლების გამო საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გ. კ-ის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-9 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411 -ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.08.2018წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა გ. კ-ის სარჩელი 01.12.2013წ.-01.08.2016წ. მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. გ. კ-ის სარჩელი 01.12.2013წ.-01.08.2016წ. მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს.
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შენწყვეტილი პენსიის ხელახლა დანიშვნა

გადანყვეტილება საპარტოველოს სახელით

№ბს-613-613(კ-18)

27 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: მიუღებელი პენსიის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

12.08.2016წ. გ. ნ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-32/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეწყვეტილი სახელმწიფო პენსიის აღდგენის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.10.2017წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-32/16 გადაწყვეტილება, სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა გ. ნ-ისათვის 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო პენსიის აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, სსიპ სოციალურ მომსახურების სააგენტოს აგრეთვე დაევალა 2013 წლის 1 დეკემბრიდან გ. ნ-ისათვის პენსიის ანაზღაურების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ნ-ე (დაბ. ...წ.) 2010 წლის 1 ოქტომბრიდან მუშაობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“, იმავედროულად იღებდა ასაკობრივი საფუძვლით დანიშნულ სახელმწიფო პენსიას, რომელიც შეუწყდა 2013 წლის დეკემბერში. გ. ნ-ემ 2016 წლის 19 ივლისს განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების

ცენტრს და მოითხოვა სახელმწიფო პენსიის აღდგენა, რაზეც სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-32/16 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა საჯარო საქმიანობის განხორციელების საფუძველით. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი მიღებული იყო სზაკ-ის მოთხოვნათა დარღვევით და საკასაციო სასამართლოს №ბს-77-75(კ-15) 02.07.2015წ. განჩინებაზე მითითებით აღნიშნა, რომ მოსარჩელე გ. ნ-ე საქმიანობდა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში – სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“, რის გამოც მისი საქმიანობა არ ჩაითვლება საჯარო საქმიანობად, მისთვის პენსიის შეწყვეტა არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა სზაკ-ის 53.4 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით გასაჩივრებული აქტის გამოცემას, რაც სზაკ-ის 60¹1 მუხლის შესაბამისად აქტის ბათილად ცნობის საფუძველს ქმნიდა. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-32/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და გ. ნ-ისთვის 2016 წლის 1 აგვისტოდან პენსიის აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დავალების გამოცემის საფუძველი.

2013 წლის 1 დეკემბრიდან მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლომ აგრეთვე საფუძველიანად მიიჩნია სზაკ-ის 207-208-ე მუხლების და სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1008-ე მუხლების შინაარსზე მითითებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიჩნეული იქნა უკანონოდ და ბათილად იქნა ცნობილი, აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ 2013 წლიდან გ. ნ-ისთვის პენსიის გაცემის შეწყვეტა აგრეთვე უკანონოა, რაც სასამართლოს აზრით მითითებულ ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს ქმნის.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.02.2018წ. განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტები სადავო საკითხთან დაკავშირებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ნ-ეს 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეუწყდა სახელმწიფო

პენსიის მიღება იმ საფუძველით, რომ იგი საქმიანობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრს „დელტაში“, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ იყო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, სადაც დასაქმება არ უნდა მიჩნეულიყო საჯარო საქმიანობად. ვინაიდან გ. ნ-ეს სახელმწიფო პენსიის გაცემა შეუწყდა ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამო, მას სრულად უნდა ანაზღაურებოდა შეწყვეტილი პერიოდის პენსიის თანხა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მართებული იყო გ. ნ-ის სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, მათ შორის ზიანის სახით 2013-2016წ.წ. მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნაწილშიც.

გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

კასატორი – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კასატორი მიუთითებს საკასაციო სასამართლოს სუს №ბზ-481-478(2კ-17) განჩინებაზე და აღნიშნავს, რომ ზიანის სახით დაკისრებული თანხის ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს პრაქტიკას. მოსარჩელეს 2013 წლის დეკემბერში შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა, აღნიშნული პერიოდის მისთვის ცნობილი იყო პენსიის შეწყვეტის შესახებ, რაც მას სადავოდ არ გაუხდია 2016 წლამდე. გ. ნ-ეს 2016 წლის ივლისის თვემდე არ მიუმართავს ადმინისტრაციული ორგანოსთვის პენსიის შეწყვეტის უკანონოდ მიჩნევის და პენსიის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით. სზაკ-ის 177.2, 180-ე მუხლები ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, რაც გ. ნ-ეს არ განუხორციელებია 2016 წლამდე. აღნიშნულის გამო არ არსებობდა 2016 წლამდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია აგრეთვე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაზე, რაც სკ-ის 129-ე მუხლის თანახმად შეადგენს სამ წელს და ვადის ათვლა იწყება იმ დროიდან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებლობის გარდა გ. ნ-ის მოთხოვნა არის ხანდაზმულიც, რაც მართებულად გახდა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

კასატორი თვლის, რომ დაუსაბუთებელია სსიპ სსსტ ცენტრ „დელტას“ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად მიჩნევა. სსიპ სსსტ ცენტრ „დელტა“ არ არის „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. თავდაცვის მინისტრის 15.08.2015წ. №25 ბრძანებით დამტკიცებული იქნა სსიპ სსსტ ცენტრ „დელტას“ წესდება, რომლითაც არ არის გათვალისწინებული მისი სამეცნიერო ფუნქცია. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ 09.02.2017წ. №04/8010 წერილით მიმართა „დელტას“ და 27.02.2017წ. №338 წერილობითი პასუხით ადმინისტრაციულმა ორგანომ უარყო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ბუნება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორი თვლის, რომ არასწორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ სსსტ ცენტრ „დელტა“ მიჩნეული იქნა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად, რის გამოც გ. ნ-ეს სწორად ეთქვა უარი სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე.

საკასაციო სასამართლოს 07.02.2019წ. განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-32/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემელის დანიშვნისა და ამავე პერიოდთან მიუღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის გ. ნ-ის სასარგებლოდ ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. მითითებულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.02.2018წ. განჩინება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის გ. ნ-ის სასარგებლოდ 01.12.2013წ.-01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მითითებულ ნაწილში განსხვავდებოდა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (სუს №ბს-481-478(კ-17) 20.07.2017წ. განჩინება), რაც სასკ-ის 34.3 მუხლის თანახმად საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის წინაპირობას წარმოადგენდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინების და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი გ. ნ-ის სასარგებლოდ 01.12.2013წ.-01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნა-

წილში საფუძვლიანია, ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებულნი განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით არ დამყოფილდეს გ. ნ-ის სარჩელი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. ნ-ე (დაბ. ...ნ.) 2010 წლიდან მუშაობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ და იღებდა ასაკობრივი საფუძვლით დანიშნულ სახელმწიფო პენსიას. სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუშაობის გამო გ. ნ-ეს 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეუწყდა სახელმწიფო პენსიის გაცემა. 2016 წლის ივლისის თვეში მან განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრს და მოითხოვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნა, რაზეც სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-32/16 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა. თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 09.08.2016წ. წერილით გ. ნ-ის წარმომადგენლის ხ. ხ-ისადმი უარის თქმის საფუძვლად მიეთითა ის გარემოება, რომ გ. ნ-ე მუშაობდა სსიპ სსსტ ცენტრ „დელტაში“, სადაც საქმიანობა ითვლებოდა საჯარო სამსახურში საქმიანობად, აღნიშნული გარემოება გამორიცხავდა პარალელურად სახელმწიფო პენსიის მიღებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-32/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემელის დანიშვნისა და ამავე პერიოდიდან მიუღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის გ. ნ-ის სასარგებლოდ ანაზღაურების ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში, ვინაიდან გადაწყვეტილების ამ ნაწილზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი საკასაციო სასამართლოს 07.02.2019წ. განჩინებით, რის გამოც საკასაციო პალატის შეფასების საგანია განჩინების კანონიერება მხოლოდ გ. ნ-ის სასარგებლოდ 01.12.2013წ.-01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში (5.3 მუხ., 17 მუხ.). იგივე დათქმას შეიცავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესი“ (4.3 მუხ., 9.1 „ბ“ ქვეპ.). პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ,

პენსია ხელახლა ინიშნება საერთო წესით („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 16.2 მუხ., 14.2 მუხ., „სახელმწიფო პენსიის/სა-პენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 9.3 მუხ.), შეწყვეტიდან პენსიის ხელახლა დანიშვნამდე სახელმწიფო გასაცემელი არ ინიშნება.

2013 წლიდან პენსიის გაცემის საფუძველს არ ქმნის პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მითითება იმის თაობაზე, რომ თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-32/16 გადაწყვეტილების უკანონოდ მიჩნევა ქმნის 2013 წლიდან პენსიის ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული გარემოება ქმნის 2016 წლის 1 აგვისტოდან პენსიის მიღების თაობაზე მოთხოვნის საფუძველს, რაც ავტომატურად არ გულისხმობს 2013 წლის 1 დეკემბრიდან მიუღებელი პენსიის ანაზღაურების უფლების მოპოვებას. საქმის გარემოებებით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ გ. ნ-ემ 2013 წლიდან იცოდა სამსახურის გამო მისთვის ასაკის პენსიის შეწყვეტის შესახებ, მას შეეძლო გადაემოწმებინა პირადი საპენსიო ანგარიში და შემდგომ მოეთხოვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის შეწყვეტილი პენსიის აღდგენა (პენსიის აღდგენას და ასევე გასული პერიოდისათვის მიუღებელი პენსიის ანაზღაურებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, ასეთ შემთხვევაში პენსიის შეწყვეტა თავისი არსით შესაძლოა მიჩნეული იქნეს პენსიის შეჩერებად). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაკ-ი ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას წერილობით ან ზეპირად. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე თვლიდა საჯარო სამსახურის დაწყების გამო პენსიის შეწყვეტას მისი უფლების შეზღუდვად, მას უნდა მოეთხოვა აქტის წერილობითი გამოცემა და უნდა გაესაჩივრებინა აქტი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს 2013 წლის დეკემბრიდან შეუწყდა სახელმწიფო პენსია, გ. ნ-ეს პენსიის გაუცემლობა წლების განმავლობაში სადავოდ არ გაუხდია, მას არც ყოველთვიური სარგებლის გაუცემლობის სახით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს უმოქმედობა გაუსაჩივრებია, არ აღუძრავს შეცვლებითი ან მიკუთვნებითი სარჩელი. სზაკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირს აქვს უფლება სადავო გახადოს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არამედ გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება – მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ერთი თვის ვადაში უნდა გასაჩივრდეს იმ დღიდან, რო-

დესაც შესაბამისი დაინტერესებული პირისათვის ცნობილი გახდა მოქმედების განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. სზაკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2013 წლის 01 დეკემბრიდან სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის თაობაზე გ. ნ-ისათვის ცნობილი იყო შემდეგ პერიოდში ყოველთვიური პენსიის შეწყვეტის გაუცემლობის ფაქტი (აღნიშნულის უარსაყოფად მოსარჩელე არ უთითებს რაიმე მტკიცებულებაზე ან გარემოებაზე). წლების განმავლობაში პენსიის მიუღებლობა ადასტურებს იმას, რომ მოსარჩელისათვის უთუოდ ცნობილი იყო პენსიის შეწყვეტის შესახებ, აღნიშნულს თავად მოსარჩელეც ადასტურებს, რომელიც სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავს, რომ პენსიის 2013 წელს შეწყვეტის მიზეზის გასარკვევად სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 21.07.16წ. მიმართა. თვით ის ფაქტი, რომ გ. ნ-ეს სადავოდ არ გაუხდია პენსიის შეწყვეტა 3 წლის განმავლობაში, ადასტურებს იმ გარემოებას, რომ გ. ნ-ემ იცოდა პენსიის შეწყვეტის შესახებ და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსათვის პრეტენზია არ წარუდგენია 2016 წლის ივლისამდე. მანამდე პენსიის შეწყვეტა გ. ნ-ეს არ გაუსაჩივრებია როგორც უკანონო ადმინისტრაციული აქტი (სასკ-ის 22-ე მუხ.), როგორც ვირტუალური ადმინისტრაციული აქტი (სზკ-ის 177-ე მუხ.) ან როგორც უკანონო ქმედება (სასკ-ის 24-ე მუხ.). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველასათვის გარანტირებულია ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. არ დასტურდება გ. ნ-ის სასამართლოსადმი მიმართვის რაიმე დამაბრკოლებელი გარემოების არსებობა. არ დგინდება, რომ 2016 წლის ივლისის თვემდე გ. ნ-ემ პენსიის შეწყვეტა ანუ მისი უფლებების ხელყოფა რაიმე ფორმით სადავოდ გახადა ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში.

პენსიის შეწყვეტის საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე საფუძვლით პენსიის დანიშვნა არ ნიშნავს პენსიის აღდგენას. პენსიის განახლება დასაშვებია პენსიის შეჩერების შემთხვევაში („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხ.), შეჩერებული პენსიის განახლება მოხდება პენსიის მიმღები პირის მიერ სააგენტოში პენსიის განახლების თაობაზე განცხადების შეტანიდან მომდევნო თვეს და ანაზღაურდება წარსული დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან, ხოლო პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში ხდება მისი ახლიდან დანიშ-

ვნა, გასული პერიოდის აუნაზღაურებლად.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილით სასამართლომ ბათილად ცნო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა და მიუღებელი სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება იმ პერიოდიდან, როდესაც მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სააგენტოს სახელმწიფო პენსიის დანიშვნის მოთხოვნით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო პენსიასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობების წარმოშობისათვის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობა არ არის საკმარისი. ასე მაგ. პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა თავისთავად არ იწვევს მისთვის პენსიის დანიშვნას, კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში პენსიის დანიშვნა ხდება პენსიის დანიშვნის შესახებ პირის განცხადებით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსთვის მიმართვის საფუძველზე. ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტის შედეგების აღმოფხვრა, სახელმწიფო პენსიის გაცემის აღდგენა საჭიროებდა პენსიის შეწყვეტის გასაჩივრებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამდენად, არ დგინდება პენსიის ზიანის ანაზღაურების საფუძველის არსებობა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება პენსიის აღდგენის შესახებ არ არის დასაბუთებული, ვინაიდან პენსიის შეწყვეტის შემდეგ ხდება არა პენსიის განახლება, არამედ ხელახალი დანიშვნა, შეწყვეტილი პენსიის ხელახლა დანიშვნა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად. აღნიშნულს არ უარყოფს სუს 02.07.15წ. №ბს-77-75 (კ-15) გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო სამხედრო-სამეცნიერო ცენტრ „დელტას“ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად მიჩნევა და ამის შესაბამისად სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ საქმიანობის საჯარო სამსახურად არ მიჩნევა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო განმარტებას დინამიური ხასიათი აქვს, ამასთანავე ახალ განმარტებას მნიშვნელობა აქვს სამომავლო ურთიერთობების გადაწყვეტისათვის, ის არ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას და მანამდე მიღებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის საფუძველს (სუს 17.07.03წ., №პვ/ად-187-კ-02; 22.04.04წ., №ბს-1074-15-ა-03).

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ პენსიის შეწყვეტაზე პრეტენზიის 2016 წლის ივლისის თვეში დასმით გ. ნ-ემ მოიპოვა პენსიის მიღების უფლება სააგენტოსადმი მიმართვის მომდევნო (2016 წლის აგვისტო) თვიდან („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 14.2 მუხ.) და არა 2013 წლის 01 დეკემ-

ბრიდან. პენსიის შეწყვეტას გ. ნ-ე დაეთანხმა, მას არ გაუსაჩივრებია პენსიის შეწყვეტა, რის გამოც 2013 წლის 01 დეკემბრიდან 2016 წლის 01 აგვისტომდე მიუღებელი პენსიის სახით თანხის ანაზღაურების მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს 01.12.2013წ.-01.08.2016წ. პერიოდში მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძვლები. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა შეესაბამება მითითებულ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას (იხ. სუს №ბს-481-478(2კ-17) 20.07.2017წ., №ბს-887-883(კ-17) 15.03.2018წ. განჩინებები).

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს პასუხებს სააპელაციო საჩივარში მოყვანილ არგუმენტებზე. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობილ ნაწილში სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების და სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან სსკ-ის 129-ე მუხლის თანახმად პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი, რაც მოცემულ შემთხვევაში გასული არ არის. ამდენად, საკასაციო სასამართლო ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნას ხანდაზმულად არ მიიჩნევს. ზემოთ მითითებული საფუძვლების გამო საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გ. ნ-ის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-9 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411 -ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.02.2018წ. განჩინება იმ ნაწილში, რომ-

ლითაც დაკმაყოფილდა გ. ნ-ის სარჩელი 01.12.2013წ.-01.08.2016წ. მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. გ. ნ-ის სარჩელი 01.12.2013წ.-01.08.2016წ. მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს.

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შენწყვეტილი პენსიის ხელახლა დანიშვნა

გადანწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-727-727(კ-18)

27 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: მიუღებელი პენსიის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

15.08.2016წ. თ. ჯ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-52/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის 2014 წლის 1 იანვრიდან შეწყვეტილი სახელმწიფო პენსიის გაცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.09.2017წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-52/16 გადაწყვეტილება, სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა თ. ჯ-ისათვის 2014 წლის 1 იანვრიდან შეწყვეტილი სახელმწიფო პენსიის აღდგენა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ

თ. ჯ-ე (დაბ. ... ნ.) 2010 წლის 24 სექტემბრიდან მუშაობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“, იმავდროულად იღებდა ასაკობრივი საფუძველით დანიშნულ სახელმწიფო პენსიას, რომელიც შეუწყდა 2014 წლის 1 იანვრიდან. თ. ჯ-ემ 2016 წლის ივლისის თვეში განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრს და მოითხოვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნა, რაზეც სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-52/16 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა საჯარო საქმიანობის განხორციელების საფუძველით. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი მიღებული იყო სზაკ-ის მოთხოვნათა დარღვევით და საკასაციო სასამართლოს №ბს-77-75(კ-15) 02.07.2015წ. განჩინებაზე მითითებით აღნიშნა, რომ მოსარჩელე თ. ჯ-ე საქმიანობდა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში – სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“, რის გამოც მისი საქმიანობა არ ჩაითვლება საჯარო საქმიანობად, მისთვის პენსიის შეწყვეტა არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. ადგილი არ აქვს პენსიის მოპოვების შემთხვევას, ვინაიდან თ. ჯ-ეს პენსიის მიღების უფლება მოპოვებული ჰქონდა, რაც მას არ დაუკარგავს, ის მოითხოვს უკანონოდ შეწყვეტილი პენსიის აღდგენას. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თ. ჯ-ის პენსიის შეწყვეტასთან დაკავშირებით რაიმე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოუცია და მოსარჩელისათვის არ ჩაუბარებია, გარდა გასაჩივრებული სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს 08.08.2016წ. №57995-52/16 გადაწყვეტილებისა. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. ჯ-ისათვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარი ენიშნა აღმდგენა კანონს, შესაბამისად არსებობდა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს 08.08.2016წ. №57995-52/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და 2014 წლის 1 იანვრიდან თ. ჯ-ათვის სახელმწიფო პენსიის აღდგენის საფუძველი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.02.2018წ. განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტები სადავო საკითხთან დაკავშირებით. სასამართლომ მიიჩ-

ნია, რომ თ. ჯ-ეს 2014 წლის 1 იანვრიდან შეუწყდა სახელმწიფო პენსიის მიღება იმ საფუძველით, რომ იგი საქმიანობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრს „დელტაში“, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ იყო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, სადაც დასაქმება არ უნდა მიჩნეულიყო საჯარო საქმიანობად. ვინაიდან თ. ჯ-ეს სახელმწიფო პენსიის გაცემა შეუწყდა ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამო, მას სრულად უნდა ანაზღაურებოდა შეწყვეტილი პერიოდის პენსიის თანხა, როგორც მიუღებელი შემოსავალი, რომელსაც მოსარჩელე მიიღებდა, კანონდარღვევით რომ არ მომხდარიყო მისი შეწყვეტა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მართებული იყო თ. ჯ-ის სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, მათ შორის ზიანის სახით 2014-2016წ.წ. მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნაწილშიც.

გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

კასატორი – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებას და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კასატორი მიუთითებს საკასაციო სასამართლოს სუს №ბს-481-478(2კ-17) განჩინებაზე და აღნიშნავს, რომ ზიანის სახით დაკისრებული თანხის ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილება ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს პრაქტიკას. მოსარჩელეს 2014 წლის 1 იანვრიდან შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა, აღნიშნული პერიოდიდან მისთვის ცნობილი იყო პენსიის შეწყვეტის შესახებ, რაც მას სადავოდ არ გაუხდია 2016 წლამდე. თ. ჯ-ეს 2016 წლის ივლისის თვემდე არ მიუმართავს ადმინისტრაციული ორგანოსთვის პენსიის შეწყვეტის უკანონოდ მიჩნევის და პენსიის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით. სზაკ-ის 177.2, 180-ე მუხლები ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, რაც თ. ჯ-ეს არ განუხორციელებია 2016 წლამდე. აღნიშნულის გამო არ არსებობდა 2016 წლამდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია აგრეთვე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაზე, რაც სკ-ის 129-ე მუხლის თანახმად შეადგენს სამ წელს და ვადის ათვლა იწყება იმ დროიდან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებლობის

გარდა თ. ჯ-ის მოთხოვნა არის ხანდაზმულიც, რაც მართებულად გახდა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

კასატორი თვლის, რომ დაუსაბუთებელია სსიპ სსსტ ცენტრ „დელტას“ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად მიჩნევა. სსიპ სსსტ ცენტრ „დელტა“ არ არის „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. თავდაცვის მინისტრის 15.08.2015წ. №25 ბრძანებით დამტკიცებული იქნა სსიპ სსსტ ცენტრ „დელტას“ წესდება, რომლითაც არ არის გათვალისწინებული მისი სამეცნიერო ფუნქცია. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ 09.02.2017წ. №04/8010 წერილით მიმართა „დელტას“ და 27.02.2017წ. №338 წერილობითი პასუხით ადმინისტრაციულმა ორგანომ უარყო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ბუნება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორი თვლის, რომ არასწორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ სსსტ ცენტრ „დელტა“ მიჩნეული იქნა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად, რის გამოც თ. ჯ-ეს სწორად ეთქვა უარი სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე.

საკასაციო სასამართლოს 07.02.2019წ. განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-52/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემელის დანიშვნისა და ამავე პერიოდიდან მიუღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის თ. ჯ-ის სასარგებლოდ ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. მითითებულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.01.2018წ. განჩინება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის თ. ჯ-ის სასარგებლოდ 01.01.2014წ.-01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მითითებულ ნაწილში განსხვავდებოდა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (სუს ბს-481-478(2კ-17) 20.07.2017წ. განჩინება), რაც სასკ-ის 34.3 მუხლის თანახმად საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის წინაპირობას წარმოადგენდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინების და სსიპ სოცია-

ლური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი თ. ჯ-ის სასარგებლოდ 01.01.2014წ.-01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში საფუძვლიანია, ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით არ დაკმაყოფილდეს თ. ჯ-ის სარჩელს დაკმაყოფილებაზე უარი უნდა ეთქვას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თ. ჯ-ე (დაბ. ...წ.) 2010 წლიდან მუშაობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ და იღებდა ასაკობრივი საფუძვლით დანიშნულ სახელმწიფო პენსიას. სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუშაობის გამო თ. ჯ-ეს 2014 წლის 1 იანვრიდან შეუწყდა სახელმწიფო პენსიის გაცემა. თ. ჯ-ემ 2016 წლის ივლისის თვეში განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრს და მოითხოვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნა, რაზეც სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-52/16 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა. თ. ჯ-ის წარმომადგენლის ხ. ხ-ისადმი თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 09.08.2016წ. წერილით უარის თქმის საფუძვლად მიეთითა ის გარემოება, რომ თ. ჯ-ე მუშაობდა სსიპ სსსტ ცენტრ „დელტაში“, სადაც საქმიანობა ითვლებოდა საჯარო სამსახურში საქმიანობად, აღნიშნული გარემოება გამორიცხავდა პარალელურად სახელმწიფო პენსიის მიღებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-52/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემელის დანიშვნისა და ამავე პერიოდიდან მიუღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის თ. ჯ-ის სასარგებლოდ ანაზღაურების ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში, ვინაიდან გადაწყვეტილების ამ ნაწილზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი საკასაციო სასამართლოს 07.02.2019წ. განჩინებით, რის გამოც საკასაციო პალატის შეფასების საგანია განჩინების კანონიერება მხოლოდ თ. ჯ-ის სასარგებლოდ 01.01.2014წ.-01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პე-

როოდში (5.3 მუხ., მე-17 მუხ.). იგივე დათქმას შეიცავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესი“ (4.3 მუხ., 9.1 „ბ“ ქვეპ.). პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, პენსია ხელახლა ინიშნება საერთო წესით („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 16.2 მუხ., 14.2 მუხ., „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 9.3 მუხ.), შეწყვეტიდან პენსიის ხელახლა დანიშვნამდე სახელმწიფო გასაცემელი არ ინიშნება.

2013 წლიდან პენსიის გაცემის საფუძველს არ ქმნის პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება წერილობით არ გამოცემულა. ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებები, რომლებიც მას ადმინისტრაციული კანონმდებლობით აქვს მინიჭებული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით ან რეალაქტებით რეალიზდება. პენსიის შეჩერება-შეწყვეტის გადაწყვეტილებების ასახვას სააგენტო ინდივიდუალურად ახორციელებდა თითოეული პენსიონერის მიმართ, ე.წ. „სამმართველო ინფორმაციაში“, რომელიც შიდა გამოყენების დოკუმენტაციას წარმოადგენს, სადაც ხდება თითოეული პირის მიმართ მიღებული წერილობითი ან ზეპირი გადაწყვეტილებების მოკლე შინაარსის ასახვა, ბენეფიციარის დაინტერესების, წერილობითი მომართვის შემთხვევაში სააგენტო უზრუნველყოფდა მისთვის დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას „სამმართველო ინფორმაციის“ შესაბამისად. პენსიის შეწყვეტის მომენტში მოქმედი სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 27.09.07წ. №02/64 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიისა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნა-ცვლილებების გაფორმებისა და მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ“ ინსტრუქციის მე-8 მუხლი ითვალისწინებდა ამონაწერის, როგორც დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცემას დაინტერესებული მხარისათვის წერილობითი განაცხადის საფუძველზე („სამმართველოს ინფორმაცია“ ასევე დამტკიცდა სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უფლებამონაცვლის (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 27.06.07წ. №190/ნ ბრძანების მე-2 მუხ.) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 29.09.14წ. №04-305/ო ბრძანებით).

საქმის გარემოებებით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ თ. ჯ-ემ იცოდა სამსახურის გამო მისთვის ასაკის პენსიის შეწყვეტის შესახებ, მას შეეძლო გადაემოწმებინა პირადი საპენსიო ანგა-

რიში და შემდგომ მოეთხოვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის შეწყვეტილი პენსიის აღდგენა (პენსიის აღდგენას და ასევე გასული პერიოდისათვის მიუღებელი პენსიის ანაზღაურებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, ასეთ შემთხვევაში პენსიის შეწყვეტა თავისი არსით შესაძლოა მიჩნეული იქნეს პენსიის შეჩერებად). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაკ-ი ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას წერილობით ან ზეპირად. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე თვლიდა საჯარო სამსახურის დაწყების გამო პენსიის შეწყვეტას მისი უფლების შეზღუდვად, მას უნდა მოეთხოვა აქტის წერილობითი გამოცემა და უნდა გაესაჩივრებინა აქტი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს 2014 წლის იანვრიდან შეუწყდა სახელმწიფო პენსია, თ. ჯ-ეს პენსიის გაუცემლობა წლების განმავლობაში სადავოდ არ გაუზღდია, მას არც ყოველთვიური სარგებლის გაუცემლობის სახით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს უმოქმედობა გაუსაჩივრებია, არ აღუძრავს შეცილებითი ან მიკუთვნებითი სარჩელი. სზაკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირს აქვს უფლება სადავო გახადოს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არამედ გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება-მოქმედება ან უმოქმედობა. სზაკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2014 წლის 01 იანვრიდან სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის თაობაზე თ. ჯ-ისათვის ცნობილი იყო შემდეგ პერიოდში ყოველთვიური პენსიის შეწყვეტის გაუცემლობის ფაქტი (აღნიშნულის უარსაყოფად მოსარჩელე არ უთითებს რაიმე მტკიცებულებაზე ან გარემოებაზე). წლების განმავლობაში პენსიის მიუღებლობა ადასტურებს იმას, რომ მოსარჩელისათვის უთუოდ ცნობილი იყო მისი შეწყვეტის შესახებ, აღნიშნულს თავად მოსარჩელეც ადასტურებს, რომელიც სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავს, რომ პენსიის 2014 წელს შეწყვეტის მიზეზის გასარკვევად სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 21.07.16წ. მიმართა. თვით ის ფაქტი, რომ თ. ჯ-ეს სადავოდ არ გაუზღდია პენსიის შეწყვეტა ორწელიწადნახევრის განმავლობაში, სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიმართვისას მოითხოვა პენსიის დანიშვნა და არა გასული პერიოდის საპენსიო თანხა (თბილისის სოციალური მომსახურების

საქალაქო ცენტრის 09.08.16წ. წერილით დასტურდება, რომ 19.07.16წ. №57995, 20.07.16წ., №58577, №58582 განცხადებებით მოსარჩელის წარმომადგენელი ითხოვდა საპენსიო პაკეტის დანიშვნას), ადასტურებს იმ გარემოებას, რომ თ. ჯ-ემ იცოდა პენსიის შეწყვეტის შესახებ და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსათვის პრეტენზია არ წარუდგენია სარჩელის აღძვრამდე (15.08.16წ.). მანამდე პენსიის შეწყვეტა თ. ჯ-ეს არ გაუსაჩივრებია როგორც უკანონო ადმინისტრაციული აქტი (სასკ-ის 22-ე მუხ.), როგორც ვირტუალური ადმინისტრაციული აქტი (სზაკ-ის 177-ე მუხ.) ან როგორც უკანონო ქმედება (სასკ-ის 24-ე მუხ.). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველასათვის გარანტირებულია ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. არ დასტურდება თ. ჯ-ის სასამართლოსადმი მიმართვის რაიმე დამაბრკოლებელი გარემოების არსებობა. არ დგინდება, რომ 2016 წლის ივლისის თვემდე თ. ჯ-ემ პენსიის შეწყვეტა ანუ მისი უფლებების ხელყოფა რაიმე ფორმით სადავოდ გახადა ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში.

პენსიის შეწყვეტის საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე საფუძვლით პენსიის დანიშვნა არ ნიშნავს პენსიის აღდგენას. პენსიის განახლება დასაშვებია პენსიის შეჩერების შემთხვევაში („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხ.), შეჩერებული პენსიის განახლება მოხდება პენსიის მიმღები პირის მიერ სააგენტოში პენსიის განახლების თაობაზე განცხადების შეტანიდან მომდევნო თვეს და ანაზღაურდება წარსული დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან, ხოლო პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში ხდება მისი ახლიდან დანიშვნა.

გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილით სასამართლომ ბათილად ცნო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა და მიუღებელი სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება იმ პერიოდიდან, როდესაც მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სააგენტოს სახელმწიფო პენსიის დანიშვნის მოთხოვნით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო პენსიასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობების წარმოშობისათვის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობა არ არის საკმარისი. ასე მაგ. პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა თავისთავად არ იწვევს მისთვის პენსიის დანიშვნას, კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში პენსიის დანიშვნა ხდება პენსიის დანიშვნის შესახებ პირის განცხადებით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსთვის მიმართვის საფუძველზე. ანა-

ლოგიურ ვითარებას აქვს ადგილი პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტის შედეგების აღმოფხვრა, სახელმწიფო პენსიის გაცემის აღდგენა საჭიროებდა პენსიის შეწყვეტის გასაჩივრებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება პენსიის აღდგენის შესახებ არ არის დასაბუთებული, ვინაიდან პენსიის შეწყვეტის შემდეგ ხდება არა პენსიის განახლება, არამედ ხელახალი დანიშვნა, შეწყვეტილი პენსიის ხელახლა დანიშვნა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად. აღნიშნულს არ უარყოფს სუს 02.07.15წ. №ბს-77-75(კ-15) გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო სამხედრო-სამეცნიერო ცენტრ „დელტას“ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად მიჩნევა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო განმარტებას დინამიური ხასიათი აქვს, ამასთანავე ახალ განმარტებას მნიშვნელობა აქვს სამომავლო ურთიერთობების გადანწყვეტისათვის, ის სასამართლოსთვის არ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას და მანამდე მიღებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის საფუძველს (სუს 17.07.03წ., №3გ/ად-187-კ-02; 22.04.04წ., №ბს-1074-15-ა-03). პენსიის შეწყვეტა არის ერთჯერადი აქტი, მას არ აქვს განგრძობადი ხასიათი, პენსიის შეწყვეტისთანავე ის დასრულებულია, რის გამოც არ დგას სუს 02.07.15წ. №ბს-77-75 (კ-15) გადაწყვეტილების ამ ურთიერთობებზე გავრცელების საკითხი.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ პენსიის შეწყვეტაზე პრეტენზიის 2016 წლის ივლისის თვეში დასმით თ. ჯ-ემ მოიპოვა პენსიის მიღების უფლება სააგენტოსადმი მიმართვის მომდევნო (2016 წლის აგვისტო) თვიდან („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 14.2 მუხ.) და არა 2014 წლის 01 იანვრიდან. პენსიის შეწყვეტას თ. ჯ-ე დაეთანხმა, მას არ გაუსაჩივრებია პენსიის შეწყვეტა, რის გამოც 2014 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 01 აგვისტომდე მიუღებელი პენსიის სახით თანხის ანაზღაურების მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს 01.01.2014წ.-01.08.2016წ. პერიოდში მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძველები. საკითხის ამგვარი გადანწყვეტა შეესაბამება მითითებულ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას (იხ. სუს №ბს-481-478(2კ-17) 20.07.2017წ., №ბს-887-883 (კ-17) 15.03.2018წ. განჩინებები).

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გან-

ჩინება არ შეიცავს პასუხებს სააპელაციო საჩივარში მოყვანილ არ-გუმენტებზე. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობილ ნაწილში სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების და სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან სსკ-ის 129-ე მუხლის თანახმად პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი, რაც მოცემულ შემთხვევაში გასული არ არის. ამდენად, საკასაციო სასამართლო ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნას ხანდაზმულად არ მიიჩნევს. ზემოთ მითითებული საფუძვლების გამო საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თ. ჯ-ის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-9 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411 -ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.01.2018წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა თ. ჯ-ის სარჩელი 01.01.2014წ.-01.08.2016წ. მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. თ. ჯ-ის სარჩელი 01.01.2014წ.-01.08.2016წ. მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს.
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შენწყვეტილი პენსიის ხელახლა დანიშვნა

გადანწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-501-501(კ-18)

19 სექტემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: მიუღებელი პენსიის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. კ-ემ, ტ. ა-ემ, კ. ბ-მა, პ. ს-მა და ლ. ბ-მა სასარჩელო განცხადებებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ. მოსარჩევეებმა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-29/16, №57995-45/16, №57995-23/16, №57995-18/16, №57995-16 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის 2016 წლის 1 აგვისტოდან პენსიის დანიშვნის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეწყვეტილი პენსიის ანაზღაურება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.04.2017წ. განჩინებით მ. კ-ის, ტ. ა-ის, კ. ბ-ის, პ. ს-ის და ლ. ბ-ის სასარჩელო განცხადებებზე საქმეები გაერთიანდა ერთ ნარმოებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.04.2017წ. გადაწყვეტილებით მ. კ-ის, ტ. ა-ის, კ. ბ-ის, პ. ს-ის და ლ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-29/16, №57995-45/16, №57995-23/16, №57995-18/16, №57995-16 გადაწყვეტილებები, სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს დავალა მ. კ-ის, ტ. ა-ის, კ. ბ-ის, პ. ს-ის და ლ. ბ-ის მიმართ 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო პენსიის აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა, 2013 წლის

1 დეკემბრიდან პენსიის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელები, როგორც საპენსიო ასაკს მიღწეული პირები, იღებდნენ ასაკის საფუძვლით დანიშნულ სახელმწიფო პენსიას, რომლის გაცემაც საჯარო სამსახურში საქმიანობის გამო შეუწყდათ 2013 წლის 1 დეკემბრიდან. მათ 2016 წლის ივლისის თვეში განცხადებებით მიმართეს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრს პენსიის დანიშვნის მოთხოვნით, რაზეც თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-29/16, №57995-45/16, №57995-23/16, №57995-18/16, №57995-16 გადაწყვეტილებებით ეთქვათ უარი საჯარო საქმიანობის განხორციელების საფუძვლით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტები მიღებული იყო სზაკ-ის მოთხოვნათა დარღვევით და საკასაციო სასამართლოს №ბს-77-75(კ-15) 02.07.2015წ. განჩინებაზე მითითებით აღნიშნა, რომ მოსარჩელები საქმიანობდნენ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში – სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტაში“, რის გამოც მათი საქმიანობა არ ითვლებოდა საჯარო საქმიანობად, მათთვის პენსიის შეწყვეტა არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა სზაკ-ის 53.4 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით გასაჩივრებული აქტების გამოცემას, რაც სზაკ-ის 60.1 მუხლის შესაბამისად აქტების ბათილად ცნობის საფუძველს ქმნიდა. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-29/16, №57995-45/16, №57995-23/16, №57995-18/16, №57995-16 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის და მოსარჩელეთათვის 2016 წლის 1 აგვისტოდან პენსიის აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ უსაფუძვლოა 2013 წლის 1 დეკემბრიდან მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა და აღნიშნა, რომ მოსარჩელეთათვის პენსიის შეწყვეტის ფაქტის შესახებ ცნობილი იყო 2013 წლის 1 დეკემბრიდან, რაც მათ სადავოდ არ გაუხდიათ. აღნიშნულის დასტურად სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ 2016 წლის ივლისის თვეში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსადმი განცხადებებით მოსარჩელებმა მხოლოდ პენსიის დანიშვნა მოითხოვეს. სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურე-

ბის სააგენტოს გადაწყვეტილებები ძალაშია, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. კ-ემ, ტ. ა-ემ, კ. ბ-მა, პ. ს-მა და ლ. ბ-მა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.01.2018წ. გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-29/16, №57995-45/16, №57995-23/16, №57995-18/16, №57995-16 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის და მოსარჩელეთათვის 2016 წლის 1 აგვისტოდან პენსიის აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაავლების ნაწილში, დაკმაყოფილდა მ. კ-ის, ტ. ა-ის, კ. ბ-ის, პ. ს-ის და ლ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება მათთვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან მიუღებელი პენსიის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, ამ ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტები გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის და 2016 წლის 1 დეკემბრიდან პენსიის დანიშვნის თაობაზე საკითხთან დაკავშირებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეებს 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეუწყდათ სახელმწიფო პენსიის მიღება იმ საფუძველით, რომ ისინი საქმიანობდნენ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრს „დელტაში“, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ იყო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, სადაც დასაქმება არ უნდა მიჩნეულიყო საჯარო საქმიანობად. 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1005-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ ვინაიდან მოსარჩელეებს სახელმწიფო პენსიის გაცემა შეუწყდათ ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამო, მათ სრულად უნდა ანაზღაურებოდათ შეწყვეტილი პერიოდის

პენსიის თანხა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საფუძვლიანი იყო მოსარჩელეთა მოთხოვნა ზიანის სახით 2013-2016წ. მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნაწილიც.

გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

კასატორი – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კასატორი მიუთითებს საკასაციო სასამართლოს სუს №ზს-481-478(2კ-17) განჩინებაზე და აღნიშნავს, რომ ზიანის სახით დაკისრებული თანხის ანაზღაურების ნაწილი სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს პრაქტიკას. მოსარჩელებს 2013 წლის დეკემბერში შეუწყდათ სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა, აღნიშნული პერიოდიდან მათთვის ცნობილი იყო პენსიის შეწყვეტის შესახებ, რაც მათ სადავოდ არ გაუხდიათ 2016 წლამდე. მოსარჩელებს 2016 წლის ივლისის თვემდე არ მიუმართავთ ადმინისტრაციული ორგანოსთვის პენსიის შეწყვეტის უკანონოდ მიჩნევის და პენსიის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით. სზაკ-ის 177.2, 180-ე მუხლები ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, რაც მოსარჩელებს არ განუხორციელებიათ 2016 წლამდე. აღნიშნულის გამო არ არსებობდა 2016 წლამდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია აგრეთვე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაზე, რაც სკ-ის 129-ე მუხლის თანახმად შეადგენს სამ წელს, ვადის ათვლა იწყება იმ დროიდან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებლობის გარდა მოსარჩელეთა მოთხოვნა არის ხანდაზმულიც, რაც მართებულად გახდა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

კასატორი თვლის, რომ დაუსაბუთებელია სსიპ სსსტ ცენტრ „დელტას“ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად მიჩნევა. სსიპ სსსტ ცენტრ „დელტა“ არ არის „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. თავდაცვის მინისტრის 15.08.2015წ. №25 ბრძანებით დამტკიცებული იქნა სსიპ სსსტ ცენტრ „დელტას“ წესდება, რომლითაც არ არის გათვალისწინებული მისი სამეცნიერო ფუნქცია. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ 09.02.2017წ. №04/8010 წერილით მიმართა „დელ-

ტას“ და 27.02.2017წ. №338 წერილობითი პასუხით ადმინისტრაციულმა ორგანომ უარყო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ბუნება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორი თვლის, რომ არასწორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ სსსტ ცენტრ „დელტა“ მიჩნეული იქნა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად, რის გამოც მ. კ-ის, ტ. ა-ის, კ. ბ-ს, პ. ს-ს და ლ. ბ-ს სწორად ეთქვათ უარი სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე.

საკასაციო სასამართლოს 08.11.2018წ. განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-29/16, №57995-45/16, №57995-23/16, №57995-18/16, №57995-16 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის და 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემელის დანიშვნისა და ამავე პერიოდიდან მიუღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის მ. კ-ის, ტ. ა-ის, კ. ბ-ის, პ. ს-ის და ლ. ბ-ის სასარგებლოდ ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. მითითებულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.01.2018წ. გადაწყვეტილება.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მ. კ-ის, ტ. ა-ის, კ. ბ-ის, პ. ს-ის და ლ. ბ-ის სასარგებლოდ 01.12.2013წ.-01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მითითებულ ნაწილში განსხვავდებოდა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (სუს №ბს-481-478(2კ-17) 20.07.2017წ. განჩინება), რაც სასკ-ის 34.3 მუხლის თანახმად საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის წინაპირობას წარმოადგენდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების, გასაჩივრებული გადაწყვეტილების და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი მ. კ-ის, ტ. ა-ის, კ. ბ-ის, პ. ს-ის და ლ. ბ-ის სასარგებლოდ 01.12.2013წ.-01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში საფუძვლიანია, ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით არ დაკმაყოფილდეს მ. კ-ის, ტ. ა-ის, კ. ბ-ის, პ. ს-ის და ლ. ბ-ის სარჩელი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. კ-ე, ტ. ა-ე, კ. ბ-ი, პ. ს-ი და ლ. ბ-ი სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუშაობის პარალელურად იღებდნენ ასაკობრივი საფუძვლით დანიშნულ სახელმწიფო პენსიას. სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუშაობის გამო მათ 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეუწყდათ სახელმწიფო პენსიის გაცემა. მ. კ-ემ, ტ. ა-ემ, კ. ბ-მა, პ. ს-მა და ლ. ბ-მა 2016 წლის ივლისის თვეში განცხადებებით მიმართეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრს და მოითხოვეს სახელმწიფო პენსიის დანიშვნა, რაზეც სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-29/16, №57995-45/16, №57995-23/16, №57995-18/16, №57995-16 გადაწყვეტილებებით უარი ეთქვათ. თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 09.08.2016წ. წერილით მოსარჩელეთა წარმომადგენლის ხ. ხ-ისადმი უარის თქმის საფუძვლად მიეთითა ის გარემოება, რომ მ. კ-ე, ტ. ა-ე, კ. ბ-ი, პ. ს-ი და ლ. ბ-ი მუშაობდნენ სსიპ სსსტ ცენტრ „დელტაში“, სადაც საქმიანობა ითვლებოდა საჯარო სამსახურში საქმიანობად, აღნიშნული გარემოება გამორიცხავდა პარალელურად სახელმწიფო პენსიის მიღებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-29/16, №57995-45/16, №57995-23/16, №57995-18/16, №57995-16 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის და 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემელის დანიშვნისა და ამავე პერიოდიდან მიუღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის მ. კ-ის, ტ. ა-ის, კ. ბ-ის, პ. ს-ის და ლ. ბ-ის სასარგებლოდ ანაზღაურების ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში, ვინაიდან გადაწყვეტილების ამ ნაწილზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი საკასაციო სასამართლოს 08.11.2018წ. განჩინებით. აღნიშნულის გამო საკასაციო პალატის შეფასების საგანია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება მხოლოდ მ. კ-ის, ტ. ა-ის, კ. ბ-ის, პ. ს-ის და ლ. ბ-ის სასარგებლოდ 01.12.2013წ.-01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში (5.3 მუხ., 17 მუხ.). იგივე დათქმას შეიცავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესი“ (4.3 მუხ., 9.1

„ბ“ ქვეპ.). პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, პენსია ხელახლა ინიშნება საერთო წესით („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 16.2 მუხ., 14.2 მუხ., „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშნისა და გაცემის წესის“ 9.3 მუხ.), შეწყვეტიდან პენსიის ხელახლა დანიშნამდე სახელმწიფო გასაცემელი არ ინიშნება.

2013 წლიდან პენსიის გაცემის საფუძველს არ ქმნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. გადანყვეტილებების უკანონოდ მიჩნევა ქმნის 2013 წლიდან პენსიის ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული გარემოება ქმნის 2016 წლის 1 აგვისტოდან პენსიის მიღების თაობაზე მოთხოვნის საფუძველიანად მიჩნევის საფუძველს, რაც ავტომატურად არ გულისხმობს 2013 წლის 1 დეკემბრიდან მიუღებელი პენსიის ანაზღაურების უფლების მოპოვებას. საქმის გარემოებებით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ მ. კ-ემ, ტ. ა-ემ, კ. ბ-მა, პ. ს-მა და ლ. ბ-მა 2013 წლიდან იცოდნენ სამსახურის გამო მისთვის ასაკის პენსიის შეწყვეტის შესახებ, მათ შეეძლოთ გადაემონმებინათ პირადი საპენსიო ანგარიში და შემდგომ მოეთხოვათ ადმინისტრაციული ორგანოსთვის შეწყვეტილი პენსიის აღდგენა (პენსიის აღდგენას და ასევე ვასული პერიოდისათვის მიუღებელი პენსიის ანაზღაურებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, ასეთ შემთხვევაში პენსიის შეწყვეტა თავისი არსით შესაძლოა მიჩნეული იქნეს პენსიის შეჩერებად).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაკ-ი ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას წერილობით ან ზეპირად. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელები თვლიდნენ საჯარო სამსახურის დაწყების გამო პენსიის შეწყვეტას მისი უფლების შეზღუდვად, მათ უნდა მოეთხოვათ აქტის წერილობითი გამოცემა და უნდა გაესაჩივრებინათ აქტი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელებს 2013 წლის დეკემბრიდან შეუწყდათ სახელმწიფო პენსია, მ. კ-ეს, ტ. ა-ეს, კ. ბ-ს, პ. ს-ს და ლ. ბ-ს პენსიის გაუცემლობა წლების განმავლობაში სადავოდ არ გაუხდიათ, მათ არც ყოველთვიური სარგებლის გაუცემლობის სახით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს უმოქმედობა გაუსაჩივრებიათ, არ აღუძრავთ შეცილებითი ან მიკუთვნებითი სარჩელი. სზაკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირს აქვს უფლება სადავო გახადოს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცე-

მული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არამედ გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება – მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ერთი თვის ვადაში უნდა გასაჩივრდეს იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული პირისათვის ცნობილი გახდა მოქმედების განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2013 წლის 01 დეკემბრიდან სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის თაობაზე მ. კ-ის, ტ. ა-ის, კ. ბ-ის, პ. ს-ის და ლ. ბ-ისათვის ცნობილი იყო შემდეგ პერიოდში ყოველთვიური პენსიის შეწყვეტის გაუცემლობის ფაქტი (აღნიშნულის უარსაყოფად მოსარჩელები არ უთითებენ რაიმე მტკიცებულებაზე ან გარემოებაზე). წლების განმავლობაში პენსიის მიუღებლობა ადასტურებს იმას, რომ მოსარჩელეთათვის უთუოდ ცნობილი იყო მისი შეწყვეტის შესახებ, აღნიშნულს თავად მოსარჩელებიც ადასტურებენ, რომლებიც სასარჩელო განცხადებებში აღნიშნავენ, რომ პენსიის 2013 წელს შეწყვეტის მიზეზის გასარკვევად სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის ივლისის თვეში მიმართეს. თვით ის ფაქტი, რომ მ. კ-ეს, ტ. ა-ეს, კ. ბ-ს, პ. ს-ს და ლ. ბ-ს სადავოდ არ გაუხდიათ პენსიის შეწყვეტა 3 წლის განმავლობაში, ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მათ იცოდნენ პენსიის შეწყვეტის შესახებ და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსათვის პრეტენზია არ წარუდგინათ 2016 წლის ივლისამდე. მანამდე პენსიის შეწყვეტა არ გაუსაჩივრებიათ როგორც უკანონო ადმინისტრაციული აქტი (სასკ-ის 22-ე მუხ.), როგორც ვირტუალური ადმინისტრაციული აქტი (სზკ-ის 177-ე მუხ.) ან როგორც უკანონო ქმედება (სასკ-ის 24-ე მუხ.).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველასათვის გარანტირებულია ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. არ დასტურდება მ. კ-ის, ტ. ა-ის, კ. ბ-ის, პ. ს-ის და ლ. ბ-ის სასამართლოსადმი მიმართვის რაიმე დამაბრკოლებელი გარემოების არსებობა. არ დგინდება, რომ მათ 2016 წლის ივლისის თვემდე პენსიის შეწყვეტა ანუ მათი უფლებების ხელყოფა რაიმე ფორმით სადავოდ გახადეს ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში.

პენსიის შეწყვეტის საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე საფუძვლით პენსიის დანიშვნა არ ნიშნავს პენსიის აღდგენას. პენსიის განახლება დასაშვებია პენსიის შეჩერების შემთხვევაში („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის ე-16 მუხ.), შეჩერებული პენსიის განახლება მოხდება პენსიის მიმღები პირის მიერ სააგენტოში პენსიის განახლების თაობაზე განცხადების შეტანიდან მომდევნო თვეს და ანაზღაურდება წარსული დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან, ხო-

ლო პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში ხდება მისი ახლიდან დანიშვნა.

გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილით სასამართლომ ბათილად ცნო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა და მიუღებელი სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება იმ პერიოდიდან, როდესაც მოსარჩელებმა განცხადებით მიმართეს სააგენტოს სახელმწიფო პენსიის დანიშვნის მოთხოვნით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო პენსიასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობების წარმოშობისათვის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობა არ არის საკმარისი. ასე მაგ. პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა თავისთავად არ იწვევს მისთვის პენსიის დანიშვნას, კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში პენსიის დანიშვნა ხდება პენსიის დანიშვნის შესახებ პირის განცხადებით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსთვის მიმართვის საფუძველზე. ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტის შედეგების აღმოფხვრა, სახელმწიფო პენსიის გაცემის აღდგენა საჭიროებდა პენსიის შეწყვეტის გასაჩივრებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამდენად, არ დგინდება პენსიის ზიანის ანაზღაურების საფუძველის არსებობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ პენსიის შეწყვეტაზე პრეტენზიის 2016 წლის ივლისის თვეში დასმით მ. კ-ემ, ტ. ა-ემ, კ.ბ-მა, პ. ს-მა და ლ. ბ-მა მოიპოვეს პენსიის მიღების უფლება სააგენტოსადმი მიმართვის მომდევნო (2016 წლის აგვისტო) თვიდან („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 14.2 მუხ.) და არა 2013 წლის 01 დეკემბრიდან. პენსიის შეწყვეტას მ. კ-ე, ტ. ა-ე, კ. ბ-ი, პ. ს-ი და ლ. ბ-ი დაეთანხმნენ, მათ არ გაუსაჩივრებიათ პენსიის შეწყვეტა, რის გამოც 2013 წლის 01 დეკემბრიდან 2016 წლის 01 აგვისტომდე მიუღებელი პენსიის სახით თანხის ანაზღაურების მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს 01.12.2013წ.-01.08.2016წ. პერიოდში მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძველები. საკითხის ამგვარი გადანყვეტა შეესაბამება მითითებულ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას (იხ. სუს №ბს-481-478(2კ-17) 20.07.2017წ., №ბს-887-883(კ-17) 15.03.2018წ. განჩინებები).

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან სსკ-ის 129-ე მუხლის

თანახმად პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი, რაც მოცემულ შემთხვევაში გასული არ არის. ამდენად, საკასაციო სასამართლო ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნას ხანდაზმულად არ მიიჩნევს. ზემოთ მითითებული საფუძვლების გამო საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. კ-ის, ტ. ა-ის, კ. ბ-ის, პ. ს-ის და ლ. ბ-ის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობილ ნაწილში სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების და სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-9 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411 -ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.01.2018წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა მ. კ-ის, ტ. ა-ის, კ. ბ-ის, პ. ს-ის და ლ. ბ-ის სარჩელი 01.12.2013წ.-01.08.2016წ. მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. მ. კ-ის, ტ. ა-ის, კ. ბ-ის, პ. ს-ის და ლ. ბ-ის სარჩელი 01.12.2013წ.-01.08.2016წ. მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს.

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სოციალური დახმარება

ოჯახის ახალი დეკლარაციისა და სარეიტინგო ქულის განსაზღვრის თაობაზე დავალება

გადანყვიტილება საქართველოს სახელით

№ბს-580-580(კ-18)

8 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 18 აგვისტოს ტ. და ზ. ჯ-ეებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელებმა სასარჩელო მოთხოვნის არაერთგზის დაზუსტების შედეგად საბოლოოდ მოითხოვეს 2015 წლის 28 ივნისს შედგენილი ოჯახის დეკლარაციისა და 69850 სარეიტინგო ქულის, 2015 წლის 13 დეკემბერს შედგენილი ოჯახის დეკლარაციისა და 107 960 სარეიტინგო ქულის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 21 იანვრის №04/4124 აქტისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 21 აპრილის №04/32898 გადანყვიტილების ბათილად ცნობა და მოპასუხის დავალება ალუდგინოს ტ. და ზ. ჯ-ეებს 2015 წლის ივლისის თვიდან, მანამდე არსებული ფულადი სოციალური დახმარება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონულ განყოფილებას შეავსოს ოჯახის დეკლარაცია, ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მიანიჭონ სარეიტინგო ქულები და გამოსცენ ახალი აქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 აგვისტოს საოქმო განჩინებით ტ. და ზ. ჯ-ეების სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა განსჯად ამბრო-

ლაურის რაიონულ სასამართლოს.

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 22 აგვისტოს განჩინებით ტ. და ზ. ჯ-ეების სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ონის მაგისტრატ მოსამართლეს.

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს ონის მუნიციპალიტეტში 2016 წლის 29 სექტემბრის საოქმო განჩინებით საქმეში თანამოპასუხედ ჩაება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონული განყოფილება.

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს ონის მუნიციპალიტეტში 2016 წლის 10 ნოემბრის განჩინებით ტ. და ზ. ჯ-ეების სასარჩელო მოთხოვნაზე 2015 წლის 28 ივნისის შედგენილი ოჯახის დეკლარაციისა და მასზე დარიცხული სარეიტინგო ქულების ბათილად ცნობის ნაწილში, შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის მოტივით.

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს ონის მუნიციპალიტეტში 2016 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით ტ. ჯ-ისა და ზ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონული განყოფილების მიერ შედგენილი – 2015 წლის 13 დეკემბრის დეკლარაცია და მასზე დარიცხული 107 960 სარეიტინგო ქულა; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 21 აპრილის №04/32898 გადაწყვეტილება და 2016 წლის 21 იანვრის №04/4124 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონულ განყოფილებას ოჯახის ახალი დეკლარაციის შედგენა დაევალა, არსებული რეალური ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით; დანარჩენ ნაწილში მოსარჩელებს უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, უსაფუძვლობის გამო.

მაგისტრატმა სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ ზ. და ტ. ჯ-ეები რეგისტრირებული იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 2006 წლის 23 მაისიდან, ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი ..., მუდმივი საცხოვრებელი ადგილია ქალაქი ონი, ... ქუჩა №151, ოჯახის წევრთა რაოდენობა 2, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი ზ. ჯ-ე, ოჯახის სარეიტინგო ქულა 58270.

მაგისტრატმა სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტით, ფორმა №100 – ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. ჯ-ე დაავადებულია ვასკულარული ეპილექსიით და საჭიროებს მუდმივ მომვლელს, ტ. ჯ-ეს გადატანილი იშემიური ინსულტის შემდგომ, აქვს დამბლა მორთული ნეირონების დაზიანებით და საჭიროებს მუდმივ მომ-

ვლელს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზ. და ტ. ჯ-ეებს 2015 წლის 28 ივნისს შედგენილი „ოჯახის დეკლარაციის“ დამუშავების შემდგომ, შეუწყდათ სოციალური ფულადი დახმარება.

მაგისტრატმა სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ, ზ. და ტ. ჯ-ეებს (წარმომადგენელი ქ. ხ-ე) უარი ეთქვა 2015 წლის 28 ივნისამდე არსებული სარეიტინგო ქულებისა და სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის აღდგენაზე.

ამასთან, დადგენილია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, ზ. და ტ. ჯ-ეებს (წარმომადგენელი ქ. ხ-ე, თ. ლ-ე) 2015 წლის 13 დეკემბრის „ოჯახის დეკლარაციისა“ და მასზე დარიცხული სარეიტინგო ქულების ბათილად ცნობის შესახებ, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა.

მაგისტრატმა სასამართლომ დადგენილად და დადასტურებულად მიიჩნია, რომ ქ. ონში, ... ქუჩა №151-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენს სამკვიდრო ქონებას, რომელსაც ტ. და ზ. ჯ-ეების გარდა, ჰყავს სხვა თანამესაკუთრეები, რომლებიც ფაქტიურად ფლობენ და განკარგავენ თავიანთ ნილობრივ ქონებას, შესაბამისად, მოიხმარენ ელექტროენერგიას და წყალს. ტ. და ზ. ჯ-ეები, წლის განმავლობაში, მოიხმარენ დაახლოებით, 55-60 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას. ამასთან, ტ. ჯ-ე არის სარეცელს მიჯაჭვული ავადმყოფი და მას დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია.

მაგისტრატმა სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა სოციალურ-ეკონომიკური და ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სახეზეა მათი კანონიერი ინტერესი, იყვნენ რეგისტრირებულნი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ღებულობდნენ სოციალურ ფულად დახმარებას, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი შემდგომი არსებობისათვის. ამასთან, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 13 დეკემბერს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონული განყოფილების უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შედგენილი „ოჯახის დეკლარაცია“ და მის საფუძველზე გამოცემული, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ანუ სახეზეა 2015 წლის 13 დეკემბერს შედგენილი „ოჯახის დეკლარაციის“ და მასზე დარიცხული სარეიტინგო ქულის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 21 აპრილს გამოცემული №04/32898 გადაწყვეტილებისა და 2016 წლის 21 იან-

ვარს გამოცემული №04/4124 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ფაქტობრივი საფუძვლები. ამასთან, მაგისტრატმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონულ განყოფილებას უნდა დავალებოდა, შეედგინა ოჯახის ახალი დეკლარაცია, არსებული რეალური ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.

მაგისტრატმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე, ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საქმეზე მიღებულ იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

მაგისტრატმა სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეების მიერ მოსარჩელეთა ფაქტობრივი ქონებრივი მდგომარეობის რეალური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე, არასწორი მონაცემების დეკლარაციაში შეტანის შედეგად, ჩაიდინეს კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საქმეზე, მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.

ამასთან, მაგისტრატმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, სასამართლო აღნიშნული საფუძვლით წყვეტს საქმის წარმოებას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კერძო საჩივრით გასაჩივრებას ექვემდებარება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და სარჩელის დაუშვებლად ცნობის გამო, საქმის წარმოე-

ბის შეწყვეტის შესახებ განჩინებები.

მაგისტრატმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონული განყოფილების 2015 წლის 28 ივნისს შედგენილი „ოჯახის დეკლარაციისა“ და მასზე დარიცხული სარეიტინგო ქულების ბათილად ცნობის ნაწილში დაუშვებლობის მოტივით განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება, რადგან მოსარჩელემ აღნიშნულთან დაკავშირებით, კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში არ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დადგენილი წესით ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს ონის მუნიციპალიტეტში 2016 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონულმა განყოფილებამ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 6 სექტემბრის განჩინებით ტ. ჯ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა თ. ჯ-ე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონული განყოფილების სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა ონის მაგისტრატი სასამართლოს 2016 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება; ტ. ჯ-ის (უფლებამონაცვლე თ. ჯ-ე) და ზ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 13 დეკემბერს ზ. და ტ. ჯ-ეების ოჯახში ვიზიტი განახორციელა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა. ოჯახის მიერ მიწოდებული მონაცემების საფუძველზე შეივსო ოჯახის დეკლარაცია (რაც დადასტურებულია უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით), სადაც ასახულია ზ. და ტ. ჯ-ეების ჯანმრთელობის (ფიზიკური) მდგომარეობა. დეკლარაცია დამუშავდა „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის №758 დადგენილების შესაბამისად.

ოჯახის სარეიტინგო ქულამ დეკლარაციის დამუშავების შემ-

დეგ შეადგინა 107960 ერთეული.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ოჯახის დეკლარაციის“ B3 პუნქტის მე-2 გრაფაში ასახულია ტ. ჯ-ის ფიზიკური მდგომარეობა. მითითებულია, რომ მას დაუხმარებლად გადაადგილება არ შეუძლია და/ან საჭიროებს მომვლელს. აღნიშნული ფაქტის ამ სახით მითითების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ დეკლარაციის შევსების დროს ტ. ჯ-ე იჯდა მაგიდასთან. შესაბამისად, ტ. ჯ-ე იმ მომენტში არ იყო სარეცელს მიჯაჭვული ან ლოგინად ჩავარდნილი.

დეკლარაციის A8 გრაფაში დაფიქსირებულია, რომ ოჯახის შინამეურნეობის მიერ დაკავებული საცხოვრებლის საერთო ფართი შეადგენს 70 კვ.მ. ხოლო A9 გრაფის მიხედვით აღნიშნული საცხოვრებელი მოიცავს 5 (ხუთ) ოთახს. ამასთან, სახლი არის საკმარის კეთილმოწყობილი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დეკლარაციის E1 გრაფის თანახმად, ოჯახის მიერ 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიისათვის დაფიქსირებულია 260 ლარი (რაც დასტურდება მონაცემთა ბაზიდან აბონენტის ნომერზე დარიცხული თანხით). აბონენტის ნომერი ეკუთვნის ტ. ჯ-ეს. სხვა პირი, როგორც აბონენტი, დაფიქსირებული არ არის. ასევე, დეკლარაციის B3 გრაფაში დაფიქსირებულია წყლის მოხმარებისათვის გადასახდელი თანხა – 12 ლარი. ოჯახში ნყალსაც მხოლოდ ორი ნევრი (ტ. და ზ. ჯ-ეები) მოიხმარდა.

სააპელაციო სასამართლო, აგრეთვე, ყურადღებას ამახვილებს დეკლარაციის D1 მუხლზე, ფლობთ თუ არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, სადაც შემოხაზულია – არა, თუმცა საჯარო რეესტრში გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ოჯახი ასეთ ნაკვეთს ფლობდა. კერძოდ, ტ. ჯ-ის სახელზე შემოწმების დროისთვის ონის რაიონის სოფელ ... ირიცხებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ორი მიწის ნაკვეთი, ფართით 3858.00 კვ.მ. (ს/კ ...) და 1334.00 კვ.მ. (ს/კ ...).

დადგენილია, ასევე რომ ტ. ჯ-ე გარდაიცვალა (გარდაცვალების თარიღი 14.01.2017წ იხ. გარდაცვალების მოწმობა).

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალების შესაბამისად, მოსარჩელეთა ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს მათი ოჯახისთვის 107960 სარეიტინგო ქულის მინიჭების შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონული განყოფილების გადანყვეტილების ბათილად ცნობა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობის) სო-

ციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია, რომელთაც დადგინდა სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობის) მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მსურველ და რეგისტრირებული ოჯახების კეთილდღეობის შეფასების წესი. მითითებული დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობის) მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მსურველ შინამეურნეობათა კეთილდღეობის დონის შესაფასებლად ამ მეთოდოლოგიის მიხედვით გამოიყენება შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსი, რომლის სტრუქტურა განისაზღვრება მუხლის მე-2 პუნქტით. მაძიებლის კეთილდღეობის ინდექსის გამოთვლა ხდება მონაცემთა საფუძველზე, რომელსაც მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი აფიქსირებს სპეციალურ კითხვარში ოჯახის დეკლარაციაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის დახმარებით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, ოჯახის დეკლარაციაში ფიქსირდება მაძიებლის მახასიათებლის ყველა ის მნიშვნელობა, რომლებიც გამოიყენება კეთილდღეობის ინდექსის გამოსათვლელ ფორმულაში.

სააპელაციო პალატის მითითებით, სარეიტინგო ქულების გამოთვლის მეთოდოლოგიის სპეციფიკა სააპელაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს განსახილველ შემთხვევაში გაიზიაროს აპელანტების მითითება იმის თაობაზე, რომ სადავო აქტების კანონიერების ეჭვქვეშ დაყენება იმ პირობებში, როდესაც თავად ოჯახის მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე შეავსო „ოჯახის დეკლარაცია“, რაც დაადასტურა დეკლარაციაზე უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით და საქმის სხვა ფაქტობრივი გარემოებებით, არის უსაფუძვლო.

„სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/6 ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები გადის ტექნიკურ დამუშავებას, კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოჯახის დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ გამოყენებით მიიღება სარეგის-

ტრაციო ქულა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით, უსაფუძვლოა როგორც მოსარჩელეთა, ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება, რომ ოჯახისათვის მაღალი სარეინტიგო ქულის მინიჭება განხორციელდა კანონშეუსაბამოდ და თითქოს სააგენტოს წარმომადგენლის მიერ არასწორი მონაცემები იქნა შეტანილი ოჯახის დეკლარაციის A8 გრაფაში (საცხოვრებელი საერთო ფართობის მითითების გრაფაში) D1 გრაფაში (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფლობის ნაწილში). ზ. და ტ. ჯ-ეების ოჯახის ბოლო შეფასება განხორციელდა 2015 წლის 13 დეკემბერს. შედეგად, 2016 წლის 12 იანვარს ოჯახს მიენიჭა სარეინტიგო ქულა 107960 ერთეული. დეკლარაციაში მითითებული გარემოებების სისწორე კი დადასტურდა ზ. ჯ-ის ხელმოწერით, საჯარო რეესტრის ამონაწერით და კომუნალური ხარჯების განვების ქვითრებით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს.

აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტების მხრიდან წარდგენილი იყო დასაბუთებული სააპელაციო პრეტენზია ონის მაგისტრეტი სასამართლოს 2016 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით გასაჩივრებულ ნაწილში, ხოლო მოსარჩელეთა მხრიდან კი წარდგენილი ვერ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები და არგუმენტები, რაც სასამართლოს მისცემდა იმის მტკიცების საფუძველს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონული განყოფილების 2015 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება ოჯახისათვის 107960 სარეინტიგო ქულის მინიჭების შესახებ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 21 იანვრის №04/4124 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და 2016 წლის 21 აპრილის №04/32898 გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ეწინააღმდეგება კანონს ან დარღვეულია მათი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი რომელიმე მოთხოვნა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ „ქვეყანაში სიღატაკის დო-

ნის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტზე მითითებით განმარტა, რომ მინიჭებული სარეიტინგო ქულა მყარი ერთეულია, რომლის შეცვლა, როგორც წესი, შესაძლებელია მისი მინიჭებიდან სულ ცოტა ერთი წლის გასვლის შემდეგ. დადგენილია, რომ 2015 წლის 13 დეკემბერს შეივსო ზ. ჯ-ის (ტ. ჯ-ე გარდაცვლილია) ოჯახის დეკლარაცია, რომლის საფუძველზე ოჯახს განესაზღვრა სარეიტინგო ქულა 107960. შესაბამისად, ამ ნორმის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონულ განყოფილებას და მოითხოვოს ახალი სარეიტინგო ქულის განსაზღვრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ზ. და თ. ჯ-ეებმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორთა მითითებით, არასწორად არის დადგენილი, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა ვიზიტი 2015 წლის 13 დეკემბერს განახორციელა, ვინაიდან 2015 წლის 13 დეკემბერი დასვენების დღე იყო. კასატორები აღნიშნავენ, რომ მისი ვიზიტი 2015 წლის 11 დეკემბერს შედგა, რაც მაგისტრატ სასამართლოში დაადასტურა თვითონ წარმომადგენელმა და მოწმემ.

ამასთან, კასატორები აღნიშნავენ, რომ არასწორია სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ თითქოს ოჯახის დეკლარაცია ოჯახის მიერ მიწოდებული მონაცემების საფუძველზე შეივსო. კასატორთა მითითებით, სადავო 2015 წლის 13 დეკემბრის დეკლარაციის ყველა ფურცელს ხელმოწერა არ აქვს, იქ იკითხება მხოლოდ სახელი ზ.. აღნიშნულით ვერ დასტურდება ის, თუ ვისი ხელმოწერაა ან ის, რომ მას ისეთი მდგომარეობა ჰქონდა, რომ სხვაგვარად არ შეეძლო თავისი ნება გამოეხატა. პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხვისას მოწმე ნ. ჯ-ემ დაადასტურა, რომ სააგენტოს წარმომადგენელმა ჯ-ეების ოჯახი ისე დატოვა, რომ დეკლარაცია არ შეუვსია. ამასთან, ზ. ჯ-ეს დაწყო ეპილეფსიური შეტევა და მას არც ფიზიკურად და არც გონებრივად არ შეეძლო გაცეა რაიმე ინფორმაცია და ისე მოეწერა ხელი.

კასატორები ასევე განმარტავენ, რომ საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ დეკლარაციის შევსების დროს ტ. ჯ-ე მაგიდასთან იჯდა. სასა-

მართლო ვერ ასაბუთებს ტ. ჯ-ის მაგიდასთან ჯდომის ფაქტს, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტები ცხადყოფს, რომ ტ. ჯ-ე ლოგინს იყო მიჯაჭვული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 4 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ზ. და თ. ჯ-ეების საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 3 სექტემბრის განჩინებით ზ. და თ. ჯ-ეების საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. და თ. ჯ-ეების საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ტ. ჯ-ის (უფლებამოსილი ტ. ჯ-ე) და ზ. ჯ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ზ. და ტ. ჯ-ეები რეგისტრირებული იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 2006 წლის 23 მაისიდან, ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი ..., მუდმივი საცხოვრებელი ადგილია ქალაქი ონი, ... ქუჩა №151, ოჯახის წევრთა რაოდენობა 2, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი ზ. ჯ-ე, ოჯახის სარეიტინგო ქულა 58270.

საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტით, ფორმა №100 – ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დადგენილია, რომ ზ. ჯ-ე დაავადებულია ვასკულარული ეპილექსიით და საჭიროებს მუდმივ მომვლელს; ტ. ჯ-ეს გადატანილი იშემიური ინსულტის შემდგომ, აქვს დამბლა მოტორული ნეირონების დაზიანებით და საჭიროებს მუდმივ მომვლელს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზ. და ტ. ჯ-ეებს 2015 წლის 28 ივნისს შედგენილი „ოჯახის დეკლარაციის“ დამუშავების შემდგომ, შეუწყდათ სოციალური ფულადი დახმარება.

დადგენილია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ, ზ. და ტ. ჯ-ეებს (წარმომადგენელი ქ. ხ-ე) უარი ეთქვათ 2015

წლის 28 ივნისამდე არსებული სარეიტინგო ქულებისა და სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის აღდგენაზე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზ. და ტ. ჯ-ეებს (წარმომადგენლები – ქ. ხ-ე, თ. ლ-ე) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან უარი ეთქვათ 2015 წლის 13 დეკემბრის „ოჯახის დეკლარაციისა“ და მასზე დარიცხული სარეიტინგო ქულების ბათილად ცნობის შესახებ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

ამასთან, ქ. ონში, ... ქუჩა №151-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენს სამკვიდრო ქონებას, რომელსაც ტ. და ზ. ჯ-ეების გარდა ჰყავს სხვა თანამესაკუთრეები, რომლებიც ფაქტობრივად ფლობენ და განკარგავენ თავიანთ ნილობრივ ქონებას, შესაბამისად, მოიხმარენ ელექტროენერგიას და წყალს. ტ. და ზ. ჯ-ეები, წლის განმავლობაში, მოიხმარდნენ დაახლოებით 55-60 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას. ამასთან, ტ. ჯ-ე იყო სარეცელს მიჯაჭვული ავადმყოფი და მას დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ონის მაგისტრატი სასამართლოს 2016 წლის 10 ნოემბრის განჩინებით ტ. და ზ. ჯ-ეების მოთხოვნაზე 2015 წლის 28 ივნისს შედგენილი ოჯახის დეკლარაციისა და მასზე დარიცხული სარეგისტრაციო ქულების ბათილად ცნობის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება სარჩელის დაუშვებლობის გამო. განჩინება არ გასაჩივრებულა. რაც შეეხება დანარჩენ მოთხოვნებს, ამავე სასამართლოს 2016 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით ზ. და ტ. ჯ-ეების სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონული განყოფილების 2015 წლის 13 დეკემბერს შედგენილი დეკლარაცია და მათზე დარიცხული 107960 სარეგისტრაციო ქულა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 21 აპრილის №04/32898 გადაწყვეტილება და 2016 წლის 21 იანვრის №04/4124 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონულ განყოფილებას არსებული რეალური ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ახალი დეკლარაციის შევსება დაევალა. ამასთან, ტ. და ზ. ჯ-ეებს უარი ეთქვათ მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონული განყოფილებისათვის 2015 წლის ივლისის თვიდან მანამდე არსებული სოციალური დახმარების მოსარჩელეთათვის აღდგენის დავალდებულების ნაწილში. მოცემული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ტ. და ზ. ჯ-ეების მიერ არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, იგი შესულია კანონ-

ნიერ ძალაში, ხოლო რაც შეეხება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილს, იგი გასაჩივრებულ იქნა სსიპ სოციალური მომსახურების ეროვნული სააგენტოს და სსიპ სოციალური მომსახურების ეროვნული სააგენტოს ონის რაიონული განყოფილების მიერ. ამდენად, საკასაციო სასამართლო ზ. და ტ. ჯ-ეების სასარჩელო განცხადებას მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასებულ ნაწილში ამონმებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკური, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

ევროპის სოციალური ქარტიის მე-12 მუხლის შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ შექმნან და შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა. შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა დამაკმაყოფილებელ დონეზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ევროპის სოციალური უზრუნველყოფის კოდექსის რატიფიკაციისათვის აუცილებელ დონეს. მიიღონ ზომები სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების მიზნით.

გაეროს „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის თანახმად, ამ პაქტის წევრი სახელმწიფოები ცნობენ ყველას უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე..., მე-11 მუხლი კი ადგენს უფლებას ცხოვრების სათანადო დონეზე.

მითითებულ ნორმებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სოციალური უფლებებით ადამიანის უზრუნველყოფა სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოებრივი მიზნების შესრულებისათვის, რამდენადაც ადამიანის განვითარება, მის მიერ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული რიგი უფლებების ეფექტური რეალიზაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადამიანის ჯანსაღ სოციალურ მდგომარეობაზე. სოციალური მდგომარეობის ამგვარი მნიშვნელობის გათვალისწინებით, სახელმწიფოს საერთაშორისო თუ ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე აკისრია პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს სა-

კუთარი მოქალაქეების საჯარო ამოცანების, მათ შორის, სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, რაც, უპირველესად, სახელმწიფოში სოციალური დახმარების მწყობრი, ქმედითი სისტემის ჩამოყალიბებით მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით მიიღწევა. ამასთან, სოციალურ სფეროში სახელმწიფოს მმართველობითი საქმიანობის ერთ-ერთ საჯარო ფუნქციასა და, შესაბამისად, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს, უზრუნველყოს სოციალური დახმარების ფორმირებული სისტემის პრაქტიკაში ჯანსაღი გამოყენება. რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის სოციალური უფლებების მიმართ არსებულ ნეგატიურ ვალდებულებებს, სახელმწიფო, ერთი მხრივ, ვალდებულია ზემოხსენებული პოზიტიური ვალდებულებების ზედმინევენითი განხორციელებით უზრუნველყოს სოციალურ უფლებათა დაცვა და შეამციროს მისი ხელყოფის რისკები, ხოლო, მეორე მხრივ, ნეგატიური ვალდებულების ქრილში, სახელმწიფო ვალდებულია, თავად არ ხელყოს იგი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, ამ კანონის მიზანია სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებით მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფა. ეს კანონი ანესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარების სფეროში უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს. ამავე კანონის მე-6 მუხლის თანახმად, სოციალური დახმარების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საარსებო შემწეობა. ამავე კანონის მე-7 მუხლის მიხედვით კი, ოჯახს უფლება აქვს მოითხოვოს საარსებო შემწეობა. საარსებო შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ლატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. საარსებო შემწეობის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. საარსებო შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საარსებო შემწეობის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს

დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), რომელიც ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საარსებო შემწეობის მაძიებელი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობის დანიშვნას, გაცემას, შეწყვეტას, გაანგარიშებას, შეჩერებას, აღდგენასა და საარსებო შემწეობის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა გადაწყვეტას. ამავე დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესით დადგენილი საარსებო შემწეობის მიხედვით ზღვრულ ქულაზე (ლატაკი ოჯახი).

„ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მინიჭებული სარეიტინგო ქულა მყარი ერთეულია, რომლის შეცვლა, როგორც წესი, შესაძლებელია მისი მინიჭებიდან სულ ცოტა ერთი წლის გასვლის შემდეგ, გარდა მე-9 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებით და მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში რეგისტრაციის მსურველი ან/და რეგისტრირებული ოჯახების კეთილდღეობის დონის შესაფასებლად გამოიყენება შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსი, რომლის სტრუქტურა განისაზღვრება ამ მეთოდოლოგიის მე-2 მუხლით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ოჯახის კეთილდღეობის ინდექსის გამოთვლა ხდება მონაცემთა საფუძველზე, რომელსაც ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი აფიქსირებს სპეციალურ კითხვარში (შემდგომში – ოჯახის დეკლარაცია) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის დახმარებით და ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოები და/ან სხვა კომპეტენტური ორგანოები/დანესებულე-

ბები აწვდიან სააგენტოს.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/6 ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები გადის ტექნიკურ დამუშავებას, კომპიუტერული პროგრამის საშუალებით; ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ოჯახის დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგის“ გამოყენებით მიიღება ოჯახის სარეიტინგო ქულა.

დასახელებული საკანონმდებლო ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ კეთილდღეობის დონის შესაფასებლად კეთილდღეობის ინდექსის გამოთვლა ხდება ოჯახის დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების საფუძველზე; ხოლო სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის სამართლებრივ შედეგს განსაზღვრავს სარეიტინგო ქულა.

საკასაციო სასამართლო სარეიტინგო ქულის სამართლებრივ ბუნებასთან მიმართებით მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ №ბს-509-506(2კ-17) საქმეზე მიღებული 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით დადგენილ პრაქტიკაზე, კერძოდ, საკასაციო სასამართლომ მიუთითა: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.“

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ელემენტებისა და მისი მახასიათებლების გათვალისწინებით, სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის დეკლარაციის საფუძველზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს ოჯახის სამართლებრივ მდგომარეობას, სა-

ქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სწორედ სარეიტინგო ქულით წყდება შემნეობის გაცემა/არ გაცემის საკითხი და სოციალურად დაუცველი ოჯახის მიერ რიგი სოციალური შეღავათებით სარგებლობის უფლება; ხოლო სარეიტინგო ქულის გამოთვლის წესი თუ უშუალოდ ოჯახისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის მიწოდების ფორმა, გაეღენას ვერ მოახდენს სარეიტინგო ქულის აქტად მიჩნევაზე, ვინაიდან, განმსაზღვრელია არა მისი ფორმა, არამედ მისი სამართლებრივი ბუნება“.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე მასზედ, რომ ზ. და ტ. ჯეების (წარმომადგენლები – ქ. ხ-ე, თ. ლ-ე) მიმართ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან „ოჯახის დეკლარაცია“ შედგა 2015 წლის 13 დეკემბერს, ხოლო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 21 იანვრის №04/4124 აქტის თანახმად, 2015 წლის 13 დეკემბერს შედგენილი „ოჯახის დეკლარაციის“ საფუძველზე სარეიტინგო ქულის დარიცხვა განხორციელდა 2016 წლის 12 იანვარს. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მითითებაზე, რომლის თანახმად, 2015 წლის 13 დეკემბრის „ოჯახის დეკლარაციის“ D1 მუხლში, ფლობთ თუ არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, სადაც შემოხაზულია – არა, თუმცა საჯარო რეესტრში გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ოჯახი ასეთ ნაკვეთს ფლობდა. კერძოდ, ტ. ჯ-ის სახელზე შემონმების დროისთვის ონის რაიონის სოფელ ... ირიცხებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ორი მიწის ნაკვეთი, ფართით 3858.00 კვ.მ. (ს/კ ...) და 1334.00 კვ.მ. (ს/კ ...).

საკასაციო სასამართლო განმეორებით მიუთითებს საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის“ მე-15 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები გადის ტექნიკურ დამუშავებას, კომპიუტერული პროგრამის საშუალებით; ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოჯახის დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ გამოყენებით მიიღება ოჯახის სარეიტინგო ქულა.

საკასაციო სასამართლო ზემოხსენებულ ნორმებზე დაყრდნობით განმარტავს, რომ საქართველოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ოჯახის რეგისტრაციისა და შესაბამისი სარეიტინგო ქულის მინიჭების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ავალდებულებს ოჯახის დეკლარირება მოახდინოს, როგორც ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის, ასევე, ამ ინფორმაციის ზემოთ აღნიშნულ საჯარო დაწესებულებებში გადამონმების გზით. ამასთან, „ოჯახის დეკლარაციის“ შეესებისა და სარეიტინგო ქულის განსაზღვრას შორის არსებული დროის მონაკვეთის გათვალისწინებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო ვალდებულია გადაამონმოს უშუალოდ სარეიტინგო ქულის მინიჭების დროს არსებული ოჯახის სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული უკანასკნელი საჯარო ინფორმაციები და სარეიტინგო ქულის განსაზღვრა სწორედ ამგვარ ინფორმაციებზე დაყრდნობით მოახდინოს.

განსახილველ შემთხვევაში, საჯარო რეესტრში არსებული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ მართალია ტ. ჯ-ის სახელზე ოჯახის შემონმების დროისთვის ონის რაიონის სოფელ ... ირიცხებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ორი მიწის ნაკვეთი, ფართობი 3858.00 კვ.მ. (ს/კ ...) და 1334.00 კვ.მ. (ს/კ ...), თუმცა აღნიშნულ ნაკვეთებზე ტ. ჯ-ის მიერ 2015 წლის 14 დეკემბრის განცხადებით მოთხოვნილ იქნა რეგისტრაციის გაუქმება, რის საფუძველზეც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ონის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებებით ბათილად იქნა ცნობილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ონის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 7 სექტემბრის №... და №... გადაწყვეტილებები, შესაბამისად, ტ. ჯ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია გაუქმდა. ამდენად, სარეიტინგო ქულის დარიცხვის მომენტისათვის, ანუ 2016 წლის 12 იანვრისათვის, ტ. ჯ-ის საკუთრებაში მიწის ნაკვეთები აღარ ირიცხებოდა. მიუხედავად ამისა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ სარეიტინგო ქულის განსაზღვრის მიზნით ის მონაცემები გამოიყენა, რომლებიც ქულის მინიჭების პერიოდში აღარ არსებობდა. აღნიშნული გარემოებების საპირისპიროდ, მოპასუხე ვალდებული იყო სამართლებრივი შედეგის დამდგენი სარეიტინგო ქულის განსაზღვრა სწორედ აქტის გამოცემის დროისათვის არსებული ინფორმაციის გამოყენებით მოეხდინა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც შეფასებამდე და მის შემდგომაც სარეიტინგო ქულის განსაზღვრამდე პერიოდში ტ.

და ზ. ჯ-ეების წარმომადგენელმა – ქ. ხ-ემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს არაერთხელ მიანოდა ინფორმაცია ტ. ჯ-ის საკუთრებაში უძრავი ქონების არამართებულად არსებობისა და, შესაბამისად, მათი მხრიდან საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე მოთხოვნის წარდგენასთან დაკავშირებით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას დეკლარაციის E1 გრაფაში ოჯახის მიერ 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიისათვის დაფიქსირებული თანხის 260 ლარის ოდენობით განსაზღვრის მართებულობასთან მიმართებით, რამდენადაც ქ. ონში, ... ქუჩა №151-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენს სამკვიდრო ქონებას, რომელსაც ტ. და ზ. ჯ-ეების გარდა, ჰყავს სხვა თანამესაკუთრეებიც, რომლებიც, ფაქტობრივად, ფლობენ და განკარგავენ თავიანთ წილობრივ ქონებას, შესაბამისად, მოიხმარენ ელექტროენერგიას და წყალს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უძრავი ქონების თანამესაკუთრეთა და, მითუმეტეს, თანამფლობელთა არსებობის პირობებში, ელექტროენერგიისათვის დაფიქსირებული თანხის ოდენობის დადგენისათვის იმ პირის განსაზღვრა, ვისაც აბონენტის ნომერი ეკუთვნის და მონაცემთა ბაზიდან ამ აბონენტისათვის დარიცხული თანხების მოძიება არ წარმოადგენს საკმარის ინფორმაციას უძრავ ქონებაში მცხოვრები პირის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიისა და დახარჯული წყლისათვის საჭირო თანხის განსაზღვრისათვის. ამდენად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა ქ. ონში, ... ქუჩა №151-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეთა რაოდენობა და აღნიშნულ მესაკუთრეთა მხრიდან ამ ქონებით სარგებლობის ფაქტი, შესაბამისად, ზ. და ტ. ჯ-ეების მიერ ელექტროენერგიისა და წყლისათვის საჭირო ყოველწლიური ხარჯის დაფიქსირება მოეხდინა მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის პროპორციულად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

მითითებულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა ახსნა-განმარტებების, საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტებისა და საჭირო

სამკურნალო პროცედურების გათვალისწინებით, ტ. ჯ-ე წარმოადგენდა სარეცელს მიჯაჭვულ ავადმყოფს და მას დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო. სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებული შეფასების საწინააღმდეგოდ, საყურადღებოა, რომ საქმეში არსებული ზემოსწინებული გარემოებების უარყოფა არ შეიძლება დაეფუძნოს მარტოოდენ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის მითითებას, რომ დეკლარაციის შევსების დროს ტ. ჯ-ე იჯდა მაგიდასთან, შესაბამისად, იმ მომენტში იგი არ იყო სარეცელს მიჯაჭვული ან ლოგინად ჩავარდნილი, რამდენადაც აღნიშნული მითითება სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში უნდა იქნეს დადასტურებული. ამგვარი ერთობლიობის არარსებობის პირობებში, მოპასუხე მხარე ვერ აქარწყლებს მოსარჩელეთა მხრიდან შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებულ გარემოებას ტ. ჯ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ დეკლარაციის ხელმოწერა არ გამოორიცხავს პირის შესაძლებლობას, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენითა თუ სასამართლო წესით ეჭვქვეშ დააყენოს ოჯახის დეკლარაციის შედგენისა და დარიცხული სარეიტინგო ქულის კანონიერება. ასეთ ვითარებაში, დეკლარაციაში დაფიქსირებული და სარეიტინგო ქულის დასამუშავებლად სპეციალურ პროგრამაში შეტანილი ინფორმაციის მართებულობა დგინდება არა დეკლარაციაზე ხელმოწერის არსებობა-არარსებობის გარკვევით, არამედ „ოჯახის დეკლარაციაში“ დაფიქსირებული ან/და პროგრამაში შეტანილი ინფორმაციის რეალურად არსებულ, ობიექტურ გარემოებებთან გადამოწმების გზით. ამდენად, მხოლოდ დეკლარაციაზე ხელმოწერის ფაქტი ვერ განსაზღვრავს „ოჯახის დეკლარაციაში“ დაფიქსირებული მონაცემების სანდოობას, შესაბამისად, ამგვარი ხელმოწერის მიუხედავად, ადმინისტრაციული საჩივრისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებისა თუ სამართალწარმოების ფარგლებში დეკლარაციაში წარდგენილი ინფორმაცია დამატებით გადამოწმებას უნდა დაექვემდებაროს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. და თ. (ტ. ჯ-ის უფლებამონაცვლე) ჯ-ეების საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. და ტ. (უფლებამონაცვლე – თ. ჯ-ე) ჯ-ეების სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი 2015 წლის 13 დეკემბერს შედგენილი ოჯახის დეკლარაცია და მასზე დარიცხული 107960 სარეიტინგო ქულა, სსიპ სოციალური მომსა-

ხურების სააგენტოს 2016 წლის 21 იანვრის №04/4124 აქტი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 21 აპრილის №04/32898 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონულ განყოფილებას უნდა დაევალოს, ოჯახის დეკლარაციის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით შეავსოს ახალი დეკლარაცია და განსაზღვროს ოჯახის სარეიტინგო ქულა. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემული მდგომარეობით ტ. ჯ-ე გარდაცვლილია, ამდენად, მოპასუხეს უნდა დაევალოს, ოჯახის დეკლარაციის შევსების დროისათვის დაადგინოს, თანაცხოვრობენ თუ არა ტ. ჯ-ის უფლებამონაცვლე – თ. ჯ-ე და ზ. ჯ-ე და ეწევიან თუ არა ისინი საერთო საოჯახო მეურნეობას, შესაბამისად, აღნიშნული ფაქტის დადასტურების შემთხვევაში ოჯახის სარეიტინგო ქულა განსაზღვროს მათი თანაცხოვრების გათვალისწინებით, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – მხოლოდ ზ. ჯ-ის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ზ. და თ. ჯ-ეების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ზ. ჯ-ისა და ტ. ჯ-ის (უფლებამონაცვლე თ. ჯ-ე) სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონული განყოფილების მიერ 2015 წლის 13 დეკემბერს შედგენილი ოჯახის დეკლარაცია და მასზე დარიცხული 107960 სარეიტინგო ქულა;
5. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 21 იანვრის №04/4124 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და 2016 წლის 21 აპრილის №04/32898 გადაწყვეტილება;
6. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონულ

განყოფილებას დაევალოს, შეადგინოს ოჯახის ახალი დეკლარაცია, არსებული რეალური ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და განსაზღვროს ოჯახის სარეიტინგო ქულა;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარეიტინგო ქულის მინიჭების კანონიერების შემოწმება

გადანყვიტილება საქართველოს სახელით

№ბს-884(კ-18)

26 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; მიუღებელი შემწეობის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ბ-მა და გ. მ-მა 2017 წლის 23 მაისს სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხის – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს წინააღმდეგ. მოსარჩელეებმა მოითხოვეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 25 აპრილის №04/26233 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის 2014 წლის აპრილიდან 2014 წლის ოქტომბრამდე და 2015 წლის ნოემბრიდან 2017 წლის მარტამდე მიუღებელი ფულადი სოციალური დახმარების, საერთო ჯამში – 2544 ლარის ოდენობით გადახდის დაკისრება.

მოსარჩელეთა განმარტებით, მათი ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ბოლო მონაცემებით, ოჯახის სარეიტინგო ქულა განისაზღვრა 29 790 ერთეულით. მიუხედავად იმისა, რომ დეკლარაციაში დაფიქ-

სირებული მონაცემები იყო იდენტური, 2013 წლის 25 დეკემბრის მოთხოვნისა და 2014 წლის 16 იანვარს შევსებული „ოჯახის დეკლარაციის“ საფუძველზე, მათ ორსულიან ოჯახს მიენიჭა სარეიტინგო ქულა 58370 ერთეული, ხოლო 2014 წლის 18 მარტს განმეორებით შევსებული ოჯახის დეკლარაციის საფუძველზე – 60990 ერთეული. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების მინისტრის დავალების საფუძველზე, 2014 წლის 14 აპრილს უფლებამოსილმა პირმა დამატებით განახორციელა შეფასება და 2014 წლის 10 აგვისტოს ოჯახის სარეიტინგო ქულა განისაზღვრა 16920 ერთეულით, რის საფუძველზეც 2014 წლის ოქტომბრიდან მიიღეს შემწეობა. მოსარჩევეებმა მიუთითეს, რომ მაღალი სარეიტინგო ქულების მინიჭება მოხდა უკანონოდ და ვინაიდან საცხოვრებელი პირობები პირველი შემონმებიდან იყო უცვლელი, შემწეობა უნდა მიეღოთ 2014 წლის აპრილის თვიდან.

მოსარჩევეებმა ასევე განმარტეს, რომ მეთოდოლოგიის შეცვლის გამო, მათი ოჯახი კვლავ შემონმდა, 2015 წლის 26 ოქტომბერს დეკლარაცია თავიდან შეივსო და 2015 წლის 25 ნოემბერს სარეიტინგო ქულა მიენიჭათ 107470. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დახმარების შედეგად, მათ ოჯახს ახალი გადამონმების საფუძველზე, 2015 წლის 24 თებერვალს სარეიტინგო ქულა მიენიჭა 73980 ერთეული. ამის შემდეგ, მათ რამდენჯერმე უშედეგოდ მიმართეს შესაბამის ორგანოებს. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარდგენილ მოთხოვნაზე, განემართათ, თუ რატომ არ ეკუთვნოდათ ფულადი დახმარება 2015 წლის ნოემბრიდან 2017 წლის 01 თებერვლამდე, ადმინისტრაციულმა ორგანომ 2017 წლის 25 აპრილს წერილობით უპასუხა, რომ ადმინისტრაციული საჩივარი 2014 წლის 15 თებერვლისა და 2015 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, წარდგენილი იყო გასაჩივრების ერთთვიანი ვადის დარღვევით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. ბ-ისა და გ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ი. ბ-მა და გ. მ-მა და მოითხოვეს აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 მაისის განჩინებით ი. ბ-ისა და გ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დავის არსს და სასამართლოს მსჯელობის ძირითად საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, კერძოდ, საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების კანონიერების შეფასება.

სააპელაციო პალატამ დადგინდა მიიჩნია, რომ ი. ბ-მა 2017 წლის 6 აპრილს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. მან სადავოდ გახადა 2014 წლის 15 თებერვალს და 2015 წლის 25 ნოემბერს სარეიტინგო ქულების (58370, 107470 ერთეული) განსაზღვრისა და კორექტირების თაობაზე სააგენტოს 2016 წლის 19 აპრილის №04/31432 გადაწყვეტილებები და მოითხოვა მათი ბათილად ცნობა. ამასთან, მიუთითა, რომ ოჯახის დეკლარაციაში არ იყო შეტანილი გ. მ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხოლო გრაფაში „სხვა ფულადი დახმარება, რომლის გაცემა დამოკიდებულია სარეიტინგო ქულაზე“ – მითითებულია 200 ლარი, რაც რეალურად იყო რაიონის გამგეობის მიერ ქირაში გადახდილი თანხა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 10 აპრილის №04/22350 გადაწყვეტილებით ი. ბ-ს დაევალა, ორი კვირის ვადაში, დამატებით წარედგინა ადმინისტრაციული საჩივრის ერთთვიან ვადაში წარდგენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე, დაეფიქსირებინა სურდა თუ არა საჩივრის განხილვაში მონაწილეობის მიღება და წარედგინა მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება.

საქმეზე ასევე დადგინდა, რომ გ. მ-მა 2017 წლის 20 აპრილს №39679 განცხადებით წარადგინა ი. ბ-ის პოზიცია, რომლის თანახმადაც, მან გამოთქვა სურვილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში მონაწილეობის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ ვინაიდან დაადგინა, რომ 2016 წლის 19 აპრილის სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილება, მოსარჩელებმა საჩივრით გაასაჩივრეს 2017 წლის 06 აპრილს, აქედან გამომდინარე, მიიჩნია, რომ აპელანტების მიერ სადავო აქტის ბათილად ცნობის თაობაზე ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილი იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დადგენილი ვადის დარღვევით.

გარდა ზემოხსენებულისა, პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია ყურადღების გამახვილება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტზე,

რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა. პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის – თანაზომიერების პრინციპის რეალიზაციის მიზნით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილი გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის დადგენილი გაშვებული ვადის აღდგენის შესაძლებლობა, კერძოდ, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ გაშვებული ვადა უნდა აღადგინოს, თუ მისი გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით. ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის აღდგენის კომპეტენცია განეკუთვნება ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონიერებაზე მსჯელობისას გამოკვლეულ უნდა იქნეს, რამდენად დასაბუთებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის შერჩეული გადაწყვეტა, რაც, თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს საქმეზე ფაქტების ობიექტურ გამოკვლევა-დადგენას და შეფასებას. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის დადგენილი გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ ჯეროვნად უნდა გამოიკვლიოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რამაც განაპირობა კანონით დადგენილი ვადის გაშვება, უნდა შეაფასოს, რამდენად ობიექტურ ხასიათს ატარებს ის მიზეზი, რამაც გამოიწვია ვადის გაშვება. მოცემულ საქმეზე კი სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია გასაჩივრების ვადის საპატიო მიზეზის არარსებობის თაობაზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა მიერ ვერ იქნა მითითებული იმ შესაძლო საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე, რომლის გამოკვლევა შეფასების შემდეგ ადმინისტრაციულ ორგანოს მიეცემოდა შესაძლებლობა ემსჯელა საპატიო მიზეზის არსებობაზე. მოსარჩელის მიერ განცხადებით მხოლოდ დაფიქსირებული იქნა მისი სურვილი – მონაწილეობა მიეღო საჩივრის ზეპირი მოსმენის დასრულებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსარჩელეებმა ვერ უზრუნველყვეს მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის ფარგლებში იმ უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა საჩივრის წარდგენის ეტაპზე რაიმე საპატიო მიზეზის არსებობა.

პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტების მითითება იმის თა-

ობაზე, რომ მათ შეეძლოთ წარედგინათ მინიჭებული სარეიტინგო ქულების ერთთვის ვადაში გასაჩივრების დამადასტურებელი მტკიცებულება, თუკი ადმინისტრაციული ორგანო ჩანიშნავდა ზეპირ მოსმენას. აღნიშნულის დასადასტურებლად მოსარჩილეები მიუთითებენ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ არაერთ განცხადებაზე. ზემოაღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ განუმარტა მხარეს, რომ იმ საკითხის გამოკვლევა, რომელიც ეხება საჩივრის დასაშვებობას, სადაც სხვა ფორმალურ საკითხებთან ერთად უნდა შემოწმდეს მხარის მიერ დაცული იქნა თუ არა სადავო გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადები, არ წარმოადგენს საჩივრის ზეპირი მოსმენით, ანუ არსებითი განხილვის ეტაპზე განსახილველ საკითხს. ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაში არის უფლებამოსილი დანიშნოს საქმის არსებითი განხილვა, როდესაც საჩივრის ავტორი გადალახავს დასაშვებობის ეტაპს. სწორედ აღნიშნულ ეტაპზეა სავალდებულო დაზუსტდეს გასაჩივრების ირგვლივ არსებული საკითხი. ამდენად, პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტების მითითება, გასაჩივრების ერთთვის ვადის შესახებ ინფორმაციის წარდგენის თაობაზე, საჩივრის არსებითად განხილვის დროს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ი. ბ-მა და გ. მ-მა, რომელთაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სასარჩილო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორები განმარტავენ, რომ 2013 წელს დაწერეს განცხადება და მოითხოვეს სოციალური დახმარება. 2014 წლის იანვარში მიანიჭეს 58 370 სარეიტინგო ქულა, რაც არ შეესაბამებოდა რეალობას. სოციალური სააგენტოსათვის ხელახალი მიმართვის შემდეგ მოხდა გადამოწმება და 2014 წლის 18 მარტს მიანიჭეს 16 920 სარეიტინგო ქულა, მაგრამ დახმარების გაცემა დაიწყო 2014 წლის 01 ოქტომბრიდან. კასატორები ითხოვენ 2014 წლის იანვრის, მარტის და აგვისტოს შემოწმებასა და კუთვნილი დახმარების ანაზღაურებას. ახალ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით მოხდა ახალი შემოწმება და მანამდე მინიჭებული 17210 სარეიტინგო ქულა, იმავე ფართობსა და პირობებში ცხოვრების მიუხედავად, შეფასდა 107 470 სარეიტინგო ქულით, აღნიშნული ქულა მიმართვის საფუძველზე შემცირდა 73 980 ქულამდე. კასატორები აღნიშნავენ, რომ ყველა საჭირო საბუთი წარდგენილია სასამართლოში, თუმცა მათი შესწავლა არ მომხდარა და სასამართლომ არ მიაქცია სათანადო ყურადღება, კერძოდ, სასამართლომ არასწორად მიიჩნია თითქოს დაგვიანებით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი სა-

მინისტროში, რადგან საქმეში წარმოდგენილია არაერთი განცხადება, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქულების მინიჭებას არ ეთანხმებოდნენ.

კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ მიაქცია ყურადღება და არ იმსჯელა გადაწყვეტილებაში იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ი. ბ-მა 2017 წლის 19 აპრილს განცხადებით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორს ბატონ ზ. ს-ეს, განცხადებით მოთხოვნილ იქნა, რომ მას სურვილი აქვს დაესწროს ზეპირ მოსმენას და მონაწილეობა მიიღოს საჩივრის განხილვაში გ. მ-თან ერთად, ამავე განცხადებაში ი. ბ-მა მიუთითა, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დამატებით დოკუმენტაციას წარადგენდა ზეპირი მოსმენის დროს, ადმინისტრაციულმა ორგანომ ეს განცხადება ჩათვალა, რომ მან დამატებით მიცემულ ვადაში ვერ წარადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია, ამიტომ არ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით.

კასატორები მიუთითებენ, რომ, მართალია, მოსარჩელები გასაჩივრების ერთთვიან ვადაში წერდნენ პრეტენზიებს განცხადების ფორმით, მაგრამ თავისი შინაარსით ამ განცხადებებით ისინი აპროტესტებდნენ მინიჭებულ უკანონო სარეიტინგო ქულას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით ი. ბ-ისა და გ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ბ-ისა და გ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

განსახილველი დავის საგანს ი. ბ-ისა და გ. მ-ის მიმართ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 25 აპრილის №04/26233 გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა და მოპასუხისათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ 2014 წლის აპრილიდან 2014 წლის ოქტომბრამდე და 2015 წლის ნოემბრიდან 2017 წლის მარტამდე პერიოდებში მიუღებელი ფულადი სოციალური დახმარების, ჯამში – 2544 ლარის ანაზღაურება წარმოადგენს.

გასაჩივრებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 25 აპრილის №04/26233 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ი. ბ-ს ეცნობა, რომ 2017 წლის 20 აპრილის №39679 განცხადებით (პოზიცია ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით) მან არ წარადგინა სოციალური მომსახურების სააგენტოს ქმედების კანონმდებლობით დადგენილ ერთი თვის ვადაში სადავოდ ქცევის დამადასტურებელი დოკუმენტი. შესაბამისად, მისი ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში არ იქნა მიღებული. მითითებული პოზიციის საწინააღმდეგოდ მოსარჩელები მიუთითებენ საქმეში არსებულ განცხადებებზე და იმ გარემოებაზე, რომ სარეიტინგო ქულების მინიჭებასთან დაკავშირებით წარდგენილი ყველა განცხადება შეიცავდა პროტესტს და ამასთან, გასაჩივრების ვადის დაცვის დადასტურება არ წარმოადგენს მათი მტკიცების საგანს. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ, მათთან დაცული მტკიცებულებების მიუხედავად, არ გამოიკვლია საქმის გარემოებები სრულყოფილად და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის შესახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტზე და განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადანიშნულია მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაასაბუთოს კანონით გათვალისწინებული რა არსებითი სახის საფუძველი არსებობდა, რომელმაც განაპირობა კონკრეტული გადანიშნულია მიიღება. ამ გარემოების გარკვევას და დასაბუთებას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ დადგინდეს, მოსარჩელებთან მიმართებაში ადგილი ხომ არ ჰქონია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული დანაწესის დარღვევას.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, საკასაციო პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის, მისი დასაშვებობის კრიტერიუმებისა და გასაჩივრების ვადის დაცვის დადასტურების მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტსა და 177-ე მუხლზე, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანი-

ჭებს უფლებას ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, ხოლო ამავე კოდექსის 180-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების ერთთვიანი ვადა, რომლის ათვლაც უკავშირდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღეს, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი. მხარისათვის ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის უფლების მინიჭება უზრუნველყოფს როგორც პირთა უფლების შელახვის აღმოფხვრასა და უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას, ასევე უშუალოდ ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ეფექტურ კონტროლს.

განსახილველ შემთხვევაში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერით დადგენილია, რომ ი. ბ-ისა და გ. მ-ის ოჯახი რეგისტრირებულია მითითებულ ბაზაში, საიდენტიფიკაციო ნომრით: *... . 2016 წლის 17 დეკემბერს შევსებული ოჯახის დეკლარაციის საფუძველზე, 2016 წლის 17 დეკემბერს ოჯახის სარეიტინგო ქულა განისაზღვრა 29790 ერთეულით. ამავე ამონაწერში ასახულია ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულების შესახებ მონაცემები 2009 წლიდან.

დადგენილია, რომ ი. ბ-მა 2017 წლის 6 აპრილს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. მან სადავოდ გახადა 2014 წლის 15 თებერვალს და 2015 წლის 25 ნოემბერს სარეიტინგო ქულების (58370, 107470 ერთეული) განსაზღვრის გადანყვეტილებები და კორექტირების თაობაზე სააგენტოს 2016 წლის 19 აპრილის №04/31432 გადანყვეტილება და მოითხოვა მათი ბათილად ცნობა. ამასთან, მიუთითა, რომ ოჯახის დეკლარაციაში არ არის შეტანილი გ. მ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხოლო გრაფაში „სხვა ფულადი დახმარება, რომლის გაცემა დამოკიდებულია სარეიტინგო ქულაზე“ – მითითებულია 200 ლარი, რაც რეალურად არის რაიონის გამგეობის მიერ ქირაში გადახდილი თანხა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 10 აპრილის №04/22350 გადანყვეტილებით ი. ბ-ს დაევალა, ორი კვირის ვადაში, დამატებით წარედგინა ადმინისტრაციული საჩივრის ერთთვიან ვადაში წარდგენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე, დაეფიქსირებინა სურდა თუ არა საჩივრის განხილვაში მონაწილეობის მიღება და წარედგინა მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება.

გ. მ-მა 2017 წლის 20 აპრილს №39679 განცხადებით წარადგინა ი. ბ-ის განცხადება, რომლის თანახმადაც, მან გამოთქვა სურვილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში მონაწილეობის თაობაზე. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 25 აპრილის №04/26233 გადაწყვეტილებით ი. ბ-ს ეცნობა, რომ 2017 წლის 20 აპრილის №39679 განცხადებით (პოზიცია ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით), მან არ წარადგინა სოციალური მომსახურების სააგენტოს ქმედების კანონმდებლობით დადგენილ ერთი თვის ვადაში სადავოდ ქცევის დამადასტურებელი დოკუმენტი. შესაბამისად, მისი ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში არ იქნა მიღებული.

დადგენილია, რომ გ. მ-მა 2015 წლის 1 დეკემბერს №118399, 2016 წლის 2 მარტის №23736 განცხადებებით, ხოლო ი. ბ-მა 2013 წლის 25 დეკემბრის №140071, 2014 წლის 5 მარტის №22453, 2014 წლის 19 მაისის №50608, 2014 წლის 2 ივლისის №68482, 2015 წლის 25 მაისის №47862, 2015 წლის 30 დეკემბრის №130108, 2016 წლის 9 თებერვლის №14070, 2016 წლის 29 თებერვლის №22003 და №22004, 2016 წლის 2 მარტის №23469, 2016 წლის 22 მარტის №31473, 2016 წლის 21 აპრილის №44340 განცხადებით მიმართეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. ისინი სადავოდ ხდიდნენ შესაბამის პერიოდში ოჯახისათვის მინიჭებულ სარეიტინგო ქულას და ითხოვდნენ მის კორექტირებას, თავიდან გადამონმების შედეგად.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები გადის ტექნიკურ დამუშავებას, კომპიუტერული პროგრამის საშუალებით. ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ოჯახის დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ გამოყენებით მიიღება ოჯახის სარეიტინგო ქულა, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის სამართლებრივ შედეგს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (იხ. სუსგ 30.11.2017 წლის საქმე №ბს-509-

506(2კ-17)), რომლის გასაჩივრებისათვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისაგან განსხვავებული წესი დადგენილი არ არის.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა წერილობითი ან ზეპირი ფორმით. როგორც აღინიშნა, სარეიტინგო ქულის მინიჭებასთან დაკავშირებით მონაცემების ასახვა ხორციელდება წარდგენილი დეკლარაციის შემონიშნების შედეგად და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერში ფიქსირდება სარეიტინგო ქულა, რომელმაც ი. ბ. ისა და გ. მ.-ის შემთხვევაში შეზღუდა მათი სოციალური უზრუნველყოფის უფლება მიეღოთ ფულადი სოციალური დახმარება. ასეთი შეზღუდვა კი მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წერილობითი ფორმით გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სარეიტინგო ქულის მინიჭების შესახებ. აქტის გამოცემა შესაძლოა განხორციელდეს როგორც მატერიალური დოკუმენტის სახით, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით, თუმცა ასეთ შემთხვევაში ორგანო უზრუნველყოფს აქტის კანონიერ ძალაში შესვლას ადრესატისათვის მისი ოფიციალური გაცნობით. მმართველობის ღონისძიებების ეფექტურად, ორგანიზებულად და ეკონომიურად განხორციელების მიზნით, ორგანო უფლებამოსილია შეარჩიოს მხარის ინფორმირების ყველაზე მიზანშეწონილი საშუალება, მოახდინოს დაინტერესებული პირის ინფორმირება ელექტრონულად. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ შესაძლოა მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს ჩაურევლად განხორციელდეს გარკვეულ მონაცემთა ელექტრონული დამუშავება და აქტის ავტომატურად შედგენაც კი, თუმცა ეს არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს დაინტერესებული პირის ინფორმირების ვალდებულებისგან, რადგან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობის ან საჯარო გამოქვეყნების შემდეგ, აქტის ძალაში შესვლის მომენტის დადგენა არის ადმინისტრაციული საჩივრის და სარჩელის წარდგენისათვის კანონით დადგენილი ვადის ათვლის პირობა (იხ. სუსგ 25.01.2018 წლის საქმე №ბს-236-234(კ-16)).

მოსარჩელეთა მიერ ადმინისტრაციული საჩივრის საგანს წარმოადგენდა 2014 წლის 15 თებერვალს და 2015 წლის 25 ნოემბერს სარეიტინგო ქულების (58370, 107470 ერთეული) განსაზღვრისა და

კორექტირების საკითხი და შესაბამისად, მიუღებელი სოციალური ანაზღაურება, ასევე სააგენტოს 2016 წლის 19 აპრილის №04/31432 გადაწყვეტილების კანონიერება, რომლითაც გ. მ-ს ეცნობა კონკრეტული პირობა, დეკლარაციის კორექტირების საკითხის განხილვისათვის, კერძოდ, თუ წარადგენდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/6 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დიაგნოზებიდან ერთ-ერთის დამადასტურებელ დოკუმენტს, განიხილებოდა დეკლარაციის კორექტირების საკითხი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 25 აპრილის წერილით ადმინისტრაციული საჩივარი არსებითი მსჯელობის გარეშე იქნა დატოვებული განუხილველად იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელებმა ვერ წარადგინეს სოციალური მომსახურების სააგენტოს ქმედების (უმოქმედობის) კანონმდებლობით დადგენილ ერთი თვის ვადაში სადავოდ ქცევის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისად, მათ განემარტათ, რომ სააგენტო უფლებამოსილი იყო წარმოებაში არ მიეღო ადმინისტრაციული საჩივარი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმის მასალებით უდავოდ დადასტურებულ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ი. ბ-ის მიერ 2014 წლის 5 მარტს №22453 განცხადება შეეხება ადმინისტრაციული საჩივრის საგნის, კერძოდ, 2014 წლის 15 თებერვალს 58 370 სარეიტინგო ქულის მინიჭების კანონიერებას, ხოლო 2015 წლის 25 ნოემბერს 107470 სარეიტინგო ქულის მინიჭების შემდეგ, 2015 წლის 30 დეკემბერს წარდგენილი №130108 განცხადების შინაარსი, ასევე შეიცავს ახალი ქულების მინიჭების პროცედურებით გამოწვეულ პროტესტს. ამდენად, ცალსახაა, რომ განმცხადებელი მოითხოვდა ადმინისტრაციული ორგანოსგან დახმარებას და ასევე პასუხს მის სამართლებრივ და სოციალურ პრობლემასთან დაკავშირებით, რასაც მოპასუხის შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია. საქმის მასალებით არ დასტურდება, სარეიტინგო ქულების მინიჭების შესახებ მოსარჩელეთა ინფორმირებულობა და დაინტერესებული პირისთვის სარეიტინგო ქულების მინიჭების შესახებ აქტის ოფიციალურად გაცნობა, შესაბამისად, 2017 წლის 10 აპრილის წერილით მხარისათვის ისეთი მტკიცებულების წარდგენის დავალება, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მტკიცების

ტვირთს წარმოადგენს, წინააღმდეგობრივია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მოთხოვნებთან. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას, საქმის მასალებით მოსარჩელეთა მიერ დადასტურებულია საპრეტენზიო განაცხადის კანონით დადგენილ ერთვინ ვადაში წარდგენა.

საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს 2017 წლის 25 აპრილის წერილში დაფიქსირებულ პოზიციას, ასევე სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილია კანონით დადგენილი ერთვინ ვადის დარღვევით, ვინაიდან აღნიშნულის დასადასტურებლად სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თავად მოსარჩელებმა არ უარყვეს 2017 წლის 6 აპრილს 2016 წლის 19 აპრილის წერილის გასაჩივრების ფაქტი, თუმცა შეფასების გარეშე იქნა დატოვებული ადმინისტრაციული საჩივრის საგანი სრული მოცულობით, რაშიც მოიაზრებოდა არა მხოლოდ 2016 წლის 19 აპრილის წერილის კანონიერების განხილვა, არამედ კონკრეტული სარეიტინგო ქულების მინიჭებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შეფასება. ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ 2017 წლის 25 აპრილს მიღებული წერილის კანონიერების დასადასტურებლად სასამართლოში არ არის წარმოდგენილი რაიმე ისეთი სახის წერილობითი მტკიცებულება, რომლითაც უტყუარად დადგინდებოდა სარეიტინგო ქულების მინიჭების შესახებ 2014 წლის 15 თებერვლის და 2015 წლის 25 ნოემბრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ასევე 2016 წლის 19 აპრილის წერილის კანონით დადგენილი წესით მოსარჩელებისთვის ჩაბარება, რამდენადაც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება. ადმინისტრაციულ ორგანოს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი პირდაპირ ავალდებულებს გადაწყვეტილება მიიღოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რაც განსახილველ შემთხვევაში ვერ იქნა დადასტურებული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელეთა განცხადების განხილვის დროს, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მასთან წარდგენილი არაერთი განცხადების შინაარსის, განმცხადებლის მიმართ არსებული ყველა მონაცემის შესწავლისა და გამოკვლევის გზით უნდა დაედგინა, არსებობდა თუ არა განცხადების ფორმით დაფიქსირებულ საჩივარში მითითებული პრეტენ-

ზიის დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ორგანოს ავალდებულებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიჩინოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონიერი გადაწყვეტილების წინაპირობას წარმოადგენს. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ეს გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ რადგან, მოპასუხის მიერ ვერ იქნა დადასტურებული სადავო აქტების კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცემისა და მხარისათვის ოფიციალურად ჩაბარების ფაქტი, მტკიცების ტვირთის განაწილება არასწორად განხორციელდა მოსარჩელე მხარეზე. საქმეში დაცულია გასაჩივრებული სარეიტინგო ქულების მინიჭებიდან ერთი თვის ვადაში წარდგენილი საჩივრები, რის გამოც უსაფუძვლოა ი. ბ-ისა და გ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმა და სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის არსებითი განხილვისა და განმცხადებლებისთვის დასაბუთებული პასუხის გაცემის დავალების საფუძველი, სააგენტოს მიერ ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება უნდა შეფასდეს მთლიანობაში, განცხადების წარდგენიდან მასზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მხარისათვის გასაგები უნდა იყოს რა მოტივით იქნა მიღებული განმცხადებლის მიმართ კონკრეტული გადაწყვეტილება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამდენად, ვინაიდან დადასტურებულია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, არსებობს საკითხის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაბრუნების წინაპირობები. განცხადების განხილვის დროს, უმთავრესია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების ფარგლებში, გამოკვლევულ იქნეს სარეიტინგო ქულის მინიჭებისათვის საქმის ფაქტობ-

რივი გარემოებები და გამოცემული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას, განცხადების დაკმაყოფილებისა თუ მასზე უარის საფუძვლის ზუსტი მითითებით.

რაც შეეხება მაღალი სარეიტინგო ქულების მინიჭების გამო, მიუღებელი სოციალური დახმარების შესახებ სასარჩელო მოთხოვნას, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხი საჭიროებს არსებითად განხილვას, ამ ეტაპზე, არ არსებობს ზემოაღნიშნული მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. ბ-ისა და გ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ი. ბ-ისა და გ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ი. ბ-ისა და გ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 25 აპრილის №04/26233 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ი. ბ-ისა და გ. მ-ის მიერ 2017 წლის 6 აპრილს წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 299 72 23
www.supremecourt.ge